In this context, the business plan occupies a central position in the investment decision-making process. It provides a structured framework through which project ideas are translated into coherent strategic, operational, and financial narratives. Despite its widespread use, the role of the business plan is often misunderstood or underestimated. In many cases, it is perceived merely as a document prepared to satisfy external investors or lenders. However, from a strategic management and corporate finance perspective, the business plan is far more than a fundraising instrument.

In emerging and transition economies, where uncertainty, information asymmetry, and capital constraints are more pronounced, the importance of a robust business plan becomes even greater. Firms must convincingly demonstrate the economic viability, risk profile, and strategic relevance of investment projects to secure financing and ensure long-term success.

This article analyzes the role of the business plan in investment projects by addressing three core questions:

How does the business plan contribute to investment project evaluation?

What strategic and financial functions does it perform?

Why is it essential throughout the entire investment project life cycle?

Main Text

A business plan is a comprehensive document that describes the objectives, strategy, market context, operational structure, and financial projections of a business or investment project. In the context of investment projects, the business plan serves as a bridge between strategic intent and financial execution.

Unlike general corporate plans, investment-focused business plans emphasize:

- Project objectives and strategic rationale
- Market demand and competitive positioning
- Cost structures and revenue generation mechanisms
- Capital requirements and financing structure
- Risk analysis and mitigation strategies

By integrating qualitative and quantitative elements, the business plan enables decision-makers to assess whether an investment project aligns with corporate strategy and delivers acceptable risk-adjusted returns.

The business plan plays a critical strategic role by ensuring coherence between the investment project and the firm's long-term objectives.

First, it clarifies the strategic justification of the investment. Projects are evaluated not only based on financial returns but also on their contribution to market expansion, technological advancement, or competitive positioning.

Second, the business plan supports strategic choice and prioritization. Firms often face multiple investment opportunities with limited capital. A structured business plan allows managers to compare projects systematically and allocate resources more efficiently.

Third, the business plan facilitates strategic communication. It provides a common language for managers, investors, lenders, and other stakeholders, reducing information asymmetry and aligning expectations.

Financial Role of the Business Plan

From a financial perspective, the business plan is a core instrument for evaluating the economic viability of an investment project.

It includes detailed financial projections such as:

- Capital expenditure estimates
- Operating cost forecasts
- Revenue projections
- Cash flow statements
- Profitability indicators (NPV, IRR, Payback Period)

These elements enable firms to assess whether the project generates sufficient cash flows to justify the initial investment and compensate for risk. Sensitivity and scenario analyses further strengthen the plan by illustrating how changes in key assumptions affect project outcomes.

Importantly, the business plan provides the basis for financing decisions, including the optimal mix of equity, debt, and alternative funding sources.

Investment projects are inherently exposed to uncertainty related to market demand, costs, regulation, technology, and macroeconomic conditions. The business plan plays a vital role in identifying, analyzing, and managing these risks.

Through structured risk analysis, the business plan:

Identifies key project risks

Assesses their probability and potential impact

Proposes mitigation strategies

Evaluates downside scenarios

This systematic approach improves decision quality and enhances the credibility of the investment project in the eyes of external financiers.

Managerial and Operational Role

Beyond strategy and finance, the business plan serves as an operational roadmap for project implementation. It defines timelines, responsibilities, performance indicators, and control mechanisms.

During project execution, the business plan acts as a benchmark against which actual performance can be measured. Deviations from planned outcomes signal the need for corrective actions, allowing managers to adapt strategies and improve project governance.

Thus, the business plan supports not only investment approval but also ongoing project monitoring and control.

The role of the business plan evolves across the stages of the investment project:

- Initiation stage: Idea generation and preliminary feasibility analysis
- Evaluation stage: Detailed financial and strategic assessment
- Financing stage: Communication with investors and lenders
- Implementation stage: Operational guidance and performance monitoring
- Post-investment stage: Evaluation of outcomes and learning

This life-cycle perspective highlights that the business plan is a dynamic tool rather than a static document.

Conclusion

Digital transformation is reshaping the competitive foundations of Georgian companies and redefining pathways to sustainable growth. While leading firms—particularly in banking and telecommunications—demonstrate advanced digital capabilities, many companies remain at early stages of transformation. The Georgian case underscores that digital transformation is not primarily a technological challenge, but a strategic leadership and change-management process.

As artificial intelligence, fintech ecosystems, and cloud technologies continue to evolve, digital capabilities will become increasingly critical for firm-level and national competitiveness. For Georgian companies, embracing digital transformation is no longer optional; it is a strategic imperative for resilience, innovation, and long-term success.

References

1. Becherer, R. C., & Helms, M. (n.d.). The Value of Business Plans for New Ventures: Company and Entrepreneur Outcomes. Journal of Small Business Strategy.

2. Ma, R. (2025). Research on Investment Decision-making Method Based on Business Plan. Highlights in Business, Economics and Management, 61, 145–150.

3. Samchkuashvili, N. (2019). The role and importance of financial services industry in the development of the country's economy. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.

4. Samchkuashvili, N. (2018). Financial globalization: the modern stage of internationalization of world economy. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.

5. Rustamovna, T. G. (2025). The role and importance of a business plan in entrepreneurial activity. Ethiopian International Journal of Multidisciplinary Research, 12(05), 639–642.

6. Nakajima, H., & Sekiguchi, T. (2025). Is Business Planning Useful for Entrepreneurs? A Review and Recommendations. Businesses, 5(1), 10.

რუსეთის ფედერაციის კიბერაქტორების მოკლე დახასიათება
A Brief Characterization of the Cyber Actors of the Russian Federation

ანდრო გოცირიძე
კიბერუსაფრთხოების საგანმანათლებლო
კვლევითი ცენტრის CYSEC დამფუძნებელი
Andro Gotsiridze
Founder of the Cyber Security Education and
Research Center (CYSEC)

აბსტრაქტი. ნაშრომი ეხება რუსეთის ფედერაციის კიბერშესაძლებლობების კომპლექსურ დახასიათებას და მისი ძირითადი აქტორების ანალიზს. სტატიაში განხილულია რუსეთის კიბერეკოსისტემის ევოლუცია 2008 წლის ომისა და სხვა გეოპოლიტიკური მოვლენების ფონზე. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი სპეციალური სამსახურების (FSB, GRU, SVR) როლი, მათთან დაკავშირებული მაღალტექნოლოგიური ჰაკერული ჯგუფების (APT28, APT29, Sandworm) საქმიანობა და მათი კავშირი კიბერკრიმინალურ ორგანიზაციებთან. ავტორი ყურადღებას ამახვილებს "ჰიბრიდული" მიდგომის თავისებურებებზე, სადაც სახელმწიფო ინტერესების მისაღწევად გამოიყენება როგორც ტექნიკური დივერსია, ისე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციები. ნაშრომი ხაზს უსვამს ამ საფრთხეების გააზრების მნიშვნელობას საქართველოსა და დასავლური სამყაროს ეფექტური კიბერთავდაცვის ჩამოსაყალიბებლად.

საკვანძო სიტყვები: კიბეროპერაციები, ჰაკერული დაჯგუფებები, რუსეთის სპეცსამსახურები, კიბერშპიონაჟი, ჰიბრიდული ომი.

Abstract. The paper provides a comprehensive characterization of the Russian Federation's cyber capabilities and an analysis of its primary actors. The article examines the evolution of Russia's cyber ecosystem in the context of the 2008 war and other geopolitical shifts. It details the roles of special services (FSB, GRU, SVR), the activities of affiliated advanced persistent threat (APT) groups like APT28, APT29, and Sandworm, and their ties to cybercriminal organizations. The author highlights the peculiarities of a "hybrid" approach, where technical sabotage and information-psychological operations are integrated to achieve state objectives. The study emphasizes the importance of understanding these threats to develop effective cyber defense models for Georgia and the wider Western community.

Keywords: Cyber operations, Hacker groups, Russian intelligence services, Cyber espionage, Hybrid warfare.

შემტევი კიბერპოტენციალის თვალსაზრისით, რუსეთი ერთ- ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს მსოფლიოში. საქართველოსთან 2008 წლის ომის, არაბული გაზაფხულისა და 2011 წელს რუსული ოპოზიციის მიერ სოციალური ქსელებით ორგანიზებული მასშტაბური გამოსვლების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, კრემლმა განახორციელა ორგანიზაციულდოქტრინალური ცვლილებები და გააქტიურა კიბერსივრცის კონტროლი.

რუსული კიბერაქტორების ჩამონათვალი მოიცავს როგორც სახელმწიფო უწყებებს, რომელთაგან მნიშვნელოვანი წილი სპეცსამსახურებზე მოდის, ასევე კრემლთან აფილირებულ კერძო დაჯგუფებებს, კიბერკრიმინალურ ორგანიზაციებს, ჰაქტივისტებს თუ „პატრიოტ ჰაკერთა“ ჯგუფებს. უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სტრუქტურების დიდ ნაწილს კრემლთან დაახლოებული ოლიგარქები აფინანსებენ და მართავენ.

თანამედროვე რუსული სპეცსამსახურებისთვის დამახასიათებელია უკიდურესი პოლიტიზირება, წაშლილი ზღვარი პარტიასა და სახელმწიფოს შორის, მმართველი რეჟიმის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, უწყებათაშორისი კონკურენცია კრემლის კეთილგანწყობისა და შესაბამისად რესურსების მოსაპოვებლად, ასევე პოლიტიკურ იარაღად მათი გამოყენება.

კონსპირაციის მაღალი დონის გამო, მონაცემები რუსეთის კიბერშესაძლებლობების და კიბერეკოსისტემის შესახებ ერთობ ბუნდოვანია, ხოლო კლასიკური ტერმინებით სტრუქტურების და დანაყოფების დახასიათება, შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაშიც კი, გართულებულია, რადგან ისინი შინაარსობრივად განსხვავდება დასავლეთის ქვეყნების შესაბამისი ერთეულებისგან.

არსებული მონაცემებით, რუსული კიბერაქტორები ძირითადად კონცენტრირებულია ძალოვან ბლოკსა და სპეცსამსახურებში. ამასთან, რუსეთის კიბერაქტივობა არ არის ერთი უწყების მონოპოლია; იგი წარმოებს რამდენიმე ინსტიტუციური ცენტრის მიერ, განსხვავებული ოპერაციული კულტურითა და პრიორიტეტებით, რაც ერთდროულად ზრდის მოქნილობას და ქმნის კოორდინაციის სირთულეებს.

უსაფრთხოების ფედერალური სამსახური (ФСБ, Федеральная Служба Безопасности)

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მემკვიდრე და რუსეთის უძლიერესი სპეცსამსახურია. მიუხედავად მკაფიო კონტრდაზვერვითი ფუნქციისა, უწყება ხშირად საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი ე.წ. „პოსტსაბჭოთა სივრცეში“ ახორციელებს ოპერაციებს, რადგან რუსეთი ამ რეგიონს საკუთარ გავლენის სფეროდ მოიაზრებს და მის დასავლურ ინტეგრაციას კონტრდაზვერვით საფრთხედ აღიქვამს. ФСБ, საზედამხედველო უწყებებთან და პროფილურ სამინისტროსთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსეთის საინფორმაციო სფეროს უსაფრთხოების დაცვაში. მაგალითად, იგი, ინტერნეტ-პროვაიდერების მონიტორინგის ფარგლებში, უფლებამოსილია აწარმოოს სატელეფონო მოსმენები და ინტერნეტის ტრაფიკის კონტროლი. თუმცა, მისთვის არც შემტევი კიბეროპერაციებია უცხო: სწორედ ФСБ-ს უკავშირდება ცნობილი მაღალტექნოლოგიური ჰაკერული ჯგუფი Turla (Snake, Uroburos, Venomous Bear). იგი ერთ ერთი უძველესი ჰაკერული ჯგუფია, რომლის კვალიც აღმოჩენილ იქნა ჯერ კიდევ 2008 წელს აშშ-ის სამხედრო ქსელებსა თუ ირანელი ჰაკერების სერვერების კომპრომეტაციაში მათი შემდგომი გამოყენების მიზნით.

სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველო - ГРУ ან ГУ (Главное Разведывательное Управление, Главное Управление Генерального Штаба Вооружённых Сил РФ) წარმოადგენს საგარეო დაზვერვის განმახორციელებელ უწყებას. კიბეროპერაციების ადრეულ ეტაპზე, მაგალითად 2007-2008 წლებში ესტონეთისა და საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულკიბერშეტევებში ГРУ-ს შედარებით მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით, ეს უწყება გადაიქცა შემტევი კიბეროპერაციების ფლაგმანად. დასავლური სპეცსამსახურები სწორედ მას მიაწერენ მნიშვნელოვან გახმაურებულ კიბერშეტევებს საინფორმაციო-ტექნიკური თუ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ეფექტით, რომლებიც ფართოდ არისაღწერილი სხვადასხვა წყაროს მიერ. მიუხედვად სპეცსამსახურისთვის დამახასიათებელი

მკაცრი კონსპირაციისა, ცნობილია კიბეროპერაციების განმახორციელებელი ГРУ-ს რამდენიმე დანაყოფი:

- 85-ე სპეციალური უზრუნველყოფის ცენტრი (ს/ნ 261651)[20] - ნომინალურად პასუხისმგებელია რადიოელექტრონულ დაზვერვასა და კრიპტოგრაფიაზე თუმცა სწორედ მას უკავშირდება ბოლო დრომდე APT28-ის (Fancy Bear, Pawn Storm, Sofacy, Strontium) სახელით ცნობილი აქტივობები. იგი წარმოადგენს ერთ ერთ ყველაზე აქტიურ, მაღალტექნოლოგიურ, მეტად დესტრუქციულ კიბერაქტორს და პასუხისმგებელია საჰაერო სივრცეზე, თავდაცვის და ენერგეტიკის სფეროებსა თუ სახელმწიფო და მედიასექტორზე განხორციელებულ კიბერთავდასხმებზე. თავდასხმების არეალი ფართოა და მოიცავს აშშ-ს, დასავლეთ ევროპას, ირანს, იაპონიას, საქართველოს, მალაიზიასა და სამხრეთ კორეას. APT28 ცნობილია თავდაცვის სექტორსა და სხვა სამხედრო მიზნებზე განხორციელებული კიბერშპიონაჟის გახმაურებული ფაქტებით. (FireEye 2014) ცნობილ შეტევებს მიეკუთვნება 2014 წ. უკრაინის და 2016 წ. აშშ-ის საპრეზიდენტო, 2015 წ. ბუნდესთაგის საარჩევნო სისტემებზე თავდასხმა, ფრანგულ ტელემაუწყებელ TV5Monde -ზე კიბერშეტევა კიბერხალიფატის საფარქვეშ და 2018 წელს ფხენიანის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე თავდასხმა. ცნობილია კარგად ორგანიზებული ფიშინგშეტევებით.
- სპეციალური ტექნოლოგიების მთავარი ცენტრის (ს/ნ 74455) ძირითადი აქტივობები კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ოპერაციების უკავშირდება. მისი ქოლგის ქვეშ მოქმედებს ჰაკერული ჯგუფი Sandworm (Telebots, Voodoo Bear, Iron Viking), რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური და დესტრუქციული კიბერშეტევებით. იგი წარმოადგენს ტექნიკურ ეფექტზე ორიენტირებულ აქტორს და პასუხისმგებელია აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის ტექნიკურ მხარეზე, NotPetya-სა[21] და უკრაინის ენერგეტიკული სექტორის წინააღმდეგ 2015-2016 წლებში გამოყენებული KillDisk და Industroyer შექმნა-გავრცელებაზე. Sandworm-ის ანგარიშზეა ასევე 2018 წელს ფხენიანის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე განხორციელებული კიბერშეტევა.
- 72-ე სპეციალური ღონისძიებების ცენტრი (ს/ნ 54777) წარმოადგენს ГРУ-ს ფსიქოლოგიური ომის ბირთვს, მინიმუმ 2014 წლიდან წარმართავს კიბერშეტევებს საინფორმაციო ოპერაციების განსახორციელებლად. აღნიშნული დანაყოფი მჭიდროდ თანამშრომლობს შეფარების უწყებებთან და პროქსი-ორგანიზაციებთან.
- სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველოს კიბეროპერაციების კიდევ ერთი ინსტრუმენტია დაჯგუფება „კიბერბერკუტი“ (Киберберкут), რომელიც თითქოსდა ჰაქტივისტური მოტივით ახორციელებს რუსული სამხედრო ოპერაციებისა და სტრატეგიული ამოცანების მხარდაჭერას როგორც ტექნიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ეფექტზე გათვლილი კიბერშეტევებით. კიბერბერკუტი 2014 წლიდან აქტიურადაა ჩართული კიბერშპიონაჟის აქტებსა თუ DDoS -ს შეტევებში ნატოსა და უკრაინის, ასევე - გერმანიის სამთავრობო საიტების წინააღმდეგ. ფოკუსირება ხდება ჰაკერული გზით მოპოვებული დოკუმენტაციის ონლაინ

[20] ს/ნ - სამხედრო ნაწილი. საბჭოთა დროიდან შეორჩენილი საიდუმლო სარეჟიმო ობიექტების აღრიცხვის მიღებული ფორმა.

[21] რუსეთის სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველოს კიბერდაჯგუფება Sandworm -ის მიერ 2017 წელს განხორციელებული მაღალტექნოლოგიური შეტევა რომელმაც გაანადგურა მონაცემები უკრაინის საბანკო და ენერგეტიკული სექტორის, სახელმწიფო უწყებებისა და აეროპორტების სერვერებზე. მოგვიანებით, მალვეარი გავრცელდა ევროპაშიც და მილიარდობით ზარალი მიაყენა ლოგისტიკურ კომპანიებს, ფარმაცევტულ სექტორს და სახელმწიფო უწყებებს.

გამოქვეყნებაზე, რაც ძირითადად ემსახურება მთავრობების დისკრედიტაციას, არჩევითი ორგანოებისადმი ნდობის შემცირებას, მოწინააღმდეგის დემორალიზებას, დაშინებას.

საგარეო დაზვერვის სამსახური (CBP) აწარმოებს სტრატეგიულ სადაზვერვო ოპერაციებს, მათ შორის კიბერსივრცეშიც. სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველოსგან განსხვავებით, რომლის ამოცანასაც კიბერშპიონაჟთან ერთად, საბოტაჟი და საინფორმაციო ოპერაციებიც შეადგენს, საგარეო დაზვერვის სამსახური ძირითადად კონცენტრირებულია კიბერშპიონაჟის ტრადიციულ მიზნებზე პოლიტიკურ დაზვერვასა და საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებაზე. CBP-თან არის დაკავშირებული ცნობილი APT29 (Cozy Bear/The Dukes)-ის აქტივობები. ეს მაღალტექნოლოგიური ჯგუფი კიბერშეტევებისთვის იყენებს ძვირ და კომპლექსურ ინფრასტრუქტურას. ახლო წარსულში CBP -მა განახორციელა წარმატებული კიბერშეტევები თეთრ სახლზე, სახელმწიფო დეპარტამენტსა და აშშ-ის გაერთიანებულ შტაბებზე. გარდა აღნიშნულისა, დაჯგუფების სამიზნეებს წარმოადგენს თავდაცვისა და ენერგეტიკის სექტორი, საფინანსო და სადაზღვევო სფერო, ფარმაცევტული სფერო, ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური კვლევები, მედია და ანალიტიკური ცენტრები. აღწერილია თავდასხმები დასავლეთ ევროპის, ჩინეთის, ბრაზილიის, მექსიკის, იაპონიის, თურქეთის და სხვა სახელმწიფოების ქსელებზე. ცნობილია Spear-Phishing ტექნიკის მიზანმიმართული ფიშინგ-შეტევებით. ГРУ-სთან ერთად CBP-ის კიბერდანაყოფები არიან პასუხისმგებელი 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევაზე. ამ უკანასკნელს უკავშირდება ასევე აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოსა და კანადის COVID -ვაქცინაციის ცენტრებზე თავდასხმები და კიბერშპიონაჟის ბოლო წლების უმსხვილესი კამპანია 2020 წელს აშშ-ის სამთავრობო ქსელების, უსაფრთხოების სექტორის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ, რომელიც „SolarWinds hack“-ის სახელითაა ცნობილი.

საინფორმაციო კონფრონტაცია[22] და მისი თანმხლები კიბეროპერაციები რუსეთის სახელისუფლებო ვერტიკალში სპეცსასმსახურების პასუხისმგებლობის ზონად ითვლება. აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორის ინფორმაციით, ესსამსახურები აქტიურად ავითარებენ კრიტიკული ინფრასტრუქტურის ICS-ზე (Industrial Control Systems - ICS)[23] დისტანციური წვდომის საშუალებებს: ჯერ კიდევ 2015 წლის მონაცემებით, უცნობმა რუსმა აქტორებმა წარმატებულად განახორციელეს რამდენიმე ICS მწარმოებლის პროგრამის კომპრომეტაცია, ლეგალური პროგრამული უზრუნველყოფის განახლებებში მავნე პროგრამული კოდის ჩანერგვა და ამ გზით მომხმარებლის სისტემასთან პირდაპირი წვდომის დამყარება. მოგვიანებით, „SolarWinds” კიბერშეტევამ დაადასტურა რუსული სპეცსამსახურების ეს შესაძლებლობა, როდესაც ათასობით კომპანია თუ სახელმწიფო უწყება დაინფიცირდა პროგრამული განახლებების ლეგალური სერვერიდან გადმოწერილი რუსული მალვეარის შედეგად.

[22] საინფორმაციო კონფრონტაცია - დაპირისპირება საინფორამციო სფეროში, რომელიც მოიცავს კომპლექსურ დესტრუქციულ ზემოქმედებას მოწინააღმდეგე მხარის ინფორმაციაზე, საინფორმაციო სისტემებსა და ინფრასტრუქტურაზე, ამავდროულად საკუთარი ინფორამციის, საინფორმაციო სისტემებისა და ინფრასტრუქტურის დაცვის გათვალისწინებით. ინფორამაციული კონფრონტაციის საბოლოო მიზანს ინფორმაციული უპირატესობის მოპოვება წარმოადგენს.

[23] ICS (Industrial control system) - კოლექტიური ტერმინი, რომელიც გამოიყენება კონტროლის სისტემებისა და მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტების აღსაწერად და აერთიანებს ინდუსტრიული პროცესების ავტომატიზაციისა და ოპერირებისათვის გამოყენებულ მოწყობილობებს, სისტემებს, ქსელებს და კონტროლის მექანიზმებს. დღეისათვის ფართოდ გამოიყენება კრიტიკული ინფრასტრუქტურის თითქმის ყველა მიმართულებაზე, როგორიცაა ინდუსტრია, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ჰიდრომეურნეობა და სხვა, რის გამოც წარმოადგენს დესტრუქციული კიბეროპერაციების სამიზნეს. ICS-ს გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს ე.წ. SCADA (Supervisory Control and Data Acquisition) და DCS (Distributed Control Systems) სისტემები.

რუსეთის შეიარაღებული ძალების პასუხისმგებლობის სფეროა რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები და კიბეროპერაციების მათთან მომიჯნავე ველი. 2014 წელს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ს. შოიგუმ დააანონსა კიბერსარდლობის შექმნა, თუმცა მოგვიანებით, 2017 წლის თებერვალში გაცხადდა საინფორმაციო ოპერაციების ჯარების შექმნის შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია, როგორც ტექნიკური ეფექტის მქონე კიბეროპერაციების წარმოებაზე, ისე საბრძოლო მოქმედებებისას პროპაგანდის გავრცელებასა და საინფორმაციო კონფრონტაციის სხვა ელემენტებზე. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კიბერდანაყოფები მონაწილეობენ შემტევი კიბეროპერაციების, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ეფექტის მქონე კიბერღონისძიებებისა და მოწინააღმდეგის მართვისა და კონტროლის სისტემებში მავნებელი პროგრამული უზრუნველყოფის ჩანერგვაში. რუსეთის მაღალი რანგის სამხედრო პირებზე დაყრდნობით, საინფორმაციო ოპერაციების ჯარებმა 2016 წლის სექტემბერში პირველად მიიღეს მონაწილეობა სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში „Кавказ-2016“.

საინფორმაციო კონფრონტაციის პროცესში დომინირებისათვის რუსეთი გარდა სახელმწიფო აქტორებისა, აქტიურად იყენებს კიბერკრიმინალის შესაძლებლობებს, რაც მას საშუალებას აძლევს დაუსჯელად და იაფად დააზიანოს მოწინააღმდეგე ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურა. ლიეტუვას და საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს განხორციელებულ კიბერშეტევებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძლიერი ტექნიკური შესაძლებლობების მქონე კიბერკრიმინალურმა ორგანიზაციამ RBN (Russian Business Network), რომელმაც ინტენსიური თავდასხმა განახორციელა ქართულ ქსელებზე. 2020 წელს აშშ- ის ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობსადენზე განხორციელებული “Ransomware”[24]

კიბერშეტევის შედეგად, კომპანია Colonial Pipeline- მა ნავთობსადენის მუშაობა დროებით შეაჩერა. ჰაკერებმა მილსადენის კომპიუტერულ სისტემაში შეაღწიეს და ხელში თითქმის 100 GB-ის მოცულობის მონაცემები ჩაიგდეს, ხოლო დაშიფრული მონაცემების გასახსნელად კომპანიისგან გამოსასყიდად რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების ბიტკოინები მიიღეს. თავდამსხმელი, DarkSide რუსეთში ბაზირებული კიბერკრიმინალური დაჯგუფებაა, რომელმაც 2019 წლიდან დასავლეთის ქვეყნებს უკვე მილიარდობით ზარალი მიაყენა. აშშ-ის მთავრობა იძულებული გახდა საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა.

მილსადენის გაჩერებამ საწვავის ფასის ზრდა გამოიწვია. რამდენიმედღიანი შეფერხების შედეგად, საწვავის ფასმა 2014 წლის ოქტომბრის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. ოდნავ მოგვიანებით, იმავე წლის ივნისის დასაწყისში განხორციელებულმა მორიგმა „Ransomware“ შეტევამ ხორცპროდუქტების უმსხვილეს მწარმოებელზე „JBS”-ზე აშშ-ის, კანადისა და ავსტრალიის ოპერაციებში მნიშვნელოვანი შეფერხება და ხორცპროდუქტებზე ფასების ზრდა გამოიწვია. შეტევის უკან რუსული კიბერკრიმინალური დაჯგუფება „REvil“ იდგა. „REvil“, იგივე Sodinokibi ცნობილი კიბერკრიმინალური ჯგუფია. იგი მინიმუმ 2019 წლიდანაა აქტიური და მისი წევრები რუსეთისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქეები არიან.

[24] „Ransomware“კიბერშეტევის ფორმაა, რომლის დროსაც კრიმინალები, არასანქცირებული წვდომის შედეგად მათ მიერვე დაშიფრული ან ბლოკირებული ინფორმაციის გასახსნელად გამოსასყიდს ითხოვენ. ამ ტიპის შეტევის გამოყენება, როგორც ფინანსურად მოტივირებული კიბერკრიმინალის, ასევე სახელმწიფოთა მიერ მხარდაჭერილი შეტევებისას დრამატულად გაიზარდა, რაც აშშ-ის უსაფრთხოების სამსახურების მზარდ შეშფოთებას იწვევს. ანონიმურობის და ქსელის დაცულობის მაღალი ხარისხის გამო, კიბერკრიმინალი გადახდის საშუალებად ხშირად კრიპტოვალუტას იყენებს. ატრიბუციის გარდა, გართულებულია ბიტკოინის ტრანზაქციის შეჩერება, მისი ამოღება, წართმევა ან უკან დაბრუნება.

გართულებული ატრიბუციის გამო, რუსული სადაზვერვო სამსახურები აარსებენკონსპირაციის მაღალი დონის მქონე ჰაქტივისტურ ჯგუფებს ან მოქმედებენ უკვე არსებულთა საფარქვეშ. ჰაქტივისტური კიბერშეტევები წარმოადგენდა ერთ-ერთ ელემენტს რუსეთის მთავრობის მიერ მხარდაჭერილ კიბერშეტევებში 2007 წელს ესტონეთის, 2008 წელს კი საქართველოს წინააღმდეგ, ასევე მუდმივად იყო გამოყენებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში მეიდანზე განვითარებული პროცესებისას თუ ყირიმის ანექსიისას. რუსეთი კიბერშეტევებს ე.წ. false flag ოპერაციებითაც ახორციელებს. პარტნიორი სპეცსამსახურების დადასტურებული მონაცემებით, სწორედ რუსეთი იდგა "ისლამურ სახელმწიფოსთან" ასოცირებული კიბერხალიფატის ("Cyber Chaliphate") მიერ ჰაქტივიზმის საფარვეშ საფრანგეთის სატელევიზიო არხ TV5 Monde-ზე 2015 წლის აპრილში განხორციელებული თავდასხმის უკან. შეტევა კარგად იყო ორგანიზებული და დაიწყო არხის თანამშრომლებისათვის ფიშინგ-წერილების დაგზავნის კამპანიით, რამაც კიბერკრიმინალებს შესაძლებლობა მისცა 3 თვის შემდგომ მოეპოვებინათ კონტროლი ათამდე საინფორმაციო არხსა და მათ სოციალურ მედიაარხებზე, გაევრცელებინათ ჯიჰადისტური პროპაგანდა და გამოექვეყნებინათ სირიაში დისლოცირებული ფრანგი სამხედროების პერსონალური მონაცემები.

საინფორმაციო კონფრონტაციის მიზნების მისაღწევად რუსეთი ფართოდ იყენებს ანაზღაურებად კომენტატორთა არმიას - ე. წ. ტროლებს. ტროლები წარმოადგენენ შედარებით ღია, თუმცა მაინც გართულებული ატრიბუციის ინსტრუმენტს ანტირუსული ინფორმაციის დისკრედიტაციისა და პროკრემლისტური განწყობების ჩამოსაყალიბებლად. კონკრეტული ტროლი ხშირად მართავს მრავალრიცხოვან ონლაინპროფაილსა და ბლოგს. რუსული ტროლინგის მიზანი ყოველთვის რუსული თვალსაზრისის სისწორეში აუდიენციის დარწმუნება კი არ არის, არამედ, მათ მისიას წარმოადგენს სოციალური მედიის წალეკვა ყალბი კონტენტით, ეჭვის, შიშის, არასტაბილურობის განცდის შექმნა და ინტერნეტის დემოკრატიულ სივრცედ გამოყენების ხელისშეშლა.

ამრიგად, რუსეთში ზღვარი სახელმწიფო და არასახელმწიფო კიბერაქტორებს შორის წაშლილია. ეს აქტორები ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოქმედებენ კოორდინირებულად, ხშირად იყენებენ კრიმინალური ჯგუფების საფარს და ახორციელებენ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს და მთელ დასავლურ საზოგადოებას. სტატიაში აღწერილია ჩვენთვის ცნობილი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სისტემასთან პირადპირ თუ ირიბად დაკავშირებული კიბერ ჯგუფების პასუხისმგებლობის ზონები, მოტივაცია და შეტევის მეთოდები. აღნიშნულის ცოდნა დაგვეხმარება საქართველოში ეფექტური კიბერთავდაცვის მოდელების ჩამოყალიბებაში.

ბიბლიოგრაფია:

1. Janne Hakala, Jazlyn Melnychuk. Russia's strategy in Cyberspace. e NATO StratCom COE. Riga, June 2021. ISBN: 978-9934-564-90-1

2. Joint Cybersecurity Advisory co-authored by authorities of the United States, Australia, Canada,

New Zealand, and the United Kingdom. Russian State-Sponsored and Criminal Cyber Threats to Critical Infrastructure. April 20. 2020.

3. Defence Intelligence Agency. Russia Military Power - building a military to support great power aspirations. dia-11-1704-161. www.dia.mil/military-power-publications

4. UK Foreign and Commonwealth Office Report “UK exposes Russian involvement in SolarWinds cyber compromise” 2021

5. Hearing: Worldwide Cyber Threats (Open). Testimony of The Honorable James Clapper, Director of National Intelligence. September 10, 2015.

6. Nakashima E. and Timberg C. Russian government hackers are behind a broad espionage campaign that has compromised U.S. agencies, including Treasury and Commerce, The Washington Post, 14 December 2020

7. Russia’s Cyber Tactics: Lessons Learned in 2022 — SSSCIP analytical report on the year of Russia’s full-scale cyberwar against Ukraine. 2023

აზიური „დრაკონის“ მიერ ეკონომიკური პროგრესის ქვეშ შენიღბული სტრატეგიული სვლა მსოფლიო დომინირებისთვის

A strategic move for world domination by the Asian „dragon“ disguised as economic progress

ქეთევან მესხიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დოქტორი

Ketevan Meskhidze
Associate Professor of Master’s program
in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Academic Doctor of International Relations

აბსტრაქტი. ნაშრომში საუბარია აფრიკის რქის რეგიონში (სომალის ნახევარკუნძული) მოქცეულ პატარა ქვეყანა ჯიბუტზე, რომლისთვისაც გეოგრაფია ფასდაუდებელ აქტივად იქცა, სადაც ადენის ყურესა და წითელ ზღვას შორის ყოველდღიურად მსოფლიო მასშტაბით ტრილიონი დოლარის ღირებულების საქონლი გადის. ანუ, ეს არის დერეფანი, რომლითაც საერთაშორისო მასშტაბის საზღვაო გადაზიდვები ხორციელდება.

აფრიკის კონტინენტსა (სომალი, ჯიბუტი, ერიტრეა) და არაბეთის ნახევარკუნძულს შორის (იემენი) მდებარე ბაბ-ელ-მანდების სრუტე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წითელ ზღვასა და ადენის ყურეს, არის სრუტე, რომელიც სულ რაღაც 29 კილომეტრი სიგანისაა და ჯიბუტს იემენისგან გამოყოფს. ეს ის ადგილია, რომელიც ჩინეთმა შეარჩია გასაკონტროლებლად.

ნაშრომში აქცენტირება ხდება იმ გარემოებაზე, რომ ამ დრომდე ჩინეთის არც ერთი სამხედრო ბაზა მის საზღვრებს მიღმა გახსნილი არ ყოფილა. ახლა კი მისი არჩევანი შეჩერდა არა მის უახლოეს კუნძულზე ან მოკავშირეთა ტერიტორიაზე, არამედ ჯიბუტზე - პლანეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო მარშრუტის ცენტრსა და აფრიკაში შეერთებული შტატების უდიდეს სამხედრო ბაზა კემპ-ლემონიდან 10 კილომეტრში მდებარე ლოკაციაზე, რაც თვისთავად ბადებს კითხვას: დამთხვევაა ყოველივე ეს თუ ფრთხილად გათვლილი სვლა ჭადრაკის დაფაზე? რატომ მაინც და მაინც ჯიბუტი? იმიტომ, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით ეს პატარა ქვეყანა ასრულებს გლობალური სარქველის ფუნქციას.

ეს არის სტრატეგია და მას უკვე აქვს სახელწოდება - „მარგალიტის სიმი“. ეს არის ტერმინი, რომელსაც იყენებენ სამხედრო სრატეგები ჩინეთის მიერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საზღვაო მარშრუტების გასწვრივ შექმნილი საყრდენი პუნქტების აღსაწერად. სადაც თითოეული მარგალიტი - პორტია; თითოეული სიმი - მომარაგების ხაზი და ამ ყველაფერის ცენტრში ჯიბუტის მსგავსი ბაზაა - მყარი, დაცული, უხილავი მათთვის, ვინც საქმის კურსში არაა.

ამდენად, კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ წითელი ზღვის ღრმული მხოლოდ ზღვის ფსკერზე ფიზიკური ღარი არაა. ის, რაც ჩინეთმა ჯიბუტში ააშენა, უბრალოდ სამხედრო ბაზა კი არა, იმის დასტურია, რომ ახალი მსოფლიო ძალა თავს იმკვიდრებს არა ყვირილით, არამედ დაჟინებით. ეს არის ჩუმი მოქმედება, რომელიც უკვე აყალიბებს მომავალს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ვინ რაზე და რამდენ ხანს იქნება პასუხისმგებელი შემდგომი ათწლეულების მანძილზე.

საკვანძო სიტყვები: წითელი ზღვა, ბაბ-ელ-მანდების სრუტე, ჯიბუტი, ჩინეთი, სამხედრო ბაზა, მარგალიტის სიმები.

Abstract. The paper focuses on Djibouti, a small country in the Horn of Africa (the Horn of Africa), for which geography has become an invaluable asset, where trillions of dollars worth of goods pass through the world every day between the Gulf of Aden and the Red Sea. In other words, it is a corridor through which international maritime transport is carried out.

Located between the African continent (Somalia, Djibouti, Eritrea) and the Arabian Peninsula (Yemen), the Bab el-Mandeb Strait, which connects the Red Sea and the Gulf of Aden, is a strait just 29 kilometers wide and separates Djibouti from Yemen. This is the place that China has chosen to control.

The work emphasizes the fact that so far, not a single Chinese military base has been opened outside its borders. Now, its choice has stopped not on its nearest island or on the territory of its allies, but on Djibouti - the center of one of the most important trade routes on the planet and a location 10 kilometers from Camp Lemmon, the largest US military base in Africa. Which in itself raises the question: is all this a coincidence or a carefully calculated move on the chessboard? Why Djibouti? Because from a strategic point of view, this small country acts as a global valve.

So it's a strategy, and it already has a name: the "String of Pearls." It's a term used by military strategists to describe the footholds China has created along vital sea routes. Each pearl is a port; each string is a supply line, and at the center of it all is a base like Djibouti—solid, protected, invisible to those who aren't in the know.

Thus, the study found that the Red Sea Trench is not just a physical groove on the seabed. It is a symbol, a dividing line between the world we know and the world to come, and although the surface is calm, ships still come and go, loaded not only with containers, but also with weapons, sensors, and intentions that few dare to set foot in. What China has built in Djibouti, not just a military base, is proof that a new world power is asserting itself not by shouting, but by persistence. It is a silent act that is already shaping the future, which will decide who will be responsible for what and for how long in the decades to come.

Keywords: Red Sea, Bab el-Mandeb Strait, Djibouti, China, military base, strings of pearls.

შესავალი

ყველაფერი რუკაზე პატარა ადგილიდან იწყება, რომელიც თავის ზომასთან შედარებით, არაპროპორციულ ძლაუფლებას ფლობს. ჯიბუტი - აფრიკის რქის რეგიონში (სომალის ნახევარკუნძული) მოქცეული პატარა ქვეყანაა, რომლისთვისაც გეოგრაფია ფასდაუდებელ აქტივად იქცა. სწორედ იქ, ადენის ყურესა და წითელ ზღვას შორის ყოველდღიურად მსოფლიო მასშტაბით ნავთობით, მარცვლეულით, ნედლეულითა თუ ელექტრონიკით დატვირთული გემების საშუალებით ტრილიონი დოლარის ღირებულების საქონლი გადის. ანუ, ეს არის დერეფანი, რომლითაც საერთაშორისო მასშტაბის საზღვაო გადაზიდვები ხორციელდება. აფრიკის კონტინენტსა (სომალი, ჯიბუტი, ერიტრეა) და არაბეთის ნახევარკუნძულს შორის (იემენი) მდებარე ბაბ-ელ-მანდების სრუტე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წითელ ზღვასა და ადენის ყურეს, არის სრუტე, რომელიც სულ რაღაც 29 კილომეტრი სიგანისაა და ჯიბუტს იემენისგან გამოყოფს. თუმცა, თავისი მოკლე მანძლის მიუხედავად, საერთაშორისო გადაზიდვების ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ წერტილს წარმოადგენს, სადაც ნებისმიერ ჩარევას, შეფერხებასა თუ ბლოკირებას მთელ მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია - შეწყდება ნავთობის მიწოდება, გაიზრდება ინფლაცია, გაჩერდება პორტები.

ეს ის ადგილია, რომელიც ჩინეთმა შეარჩია გასაკონტროლებლად. მაგრამ არა ტანკებითა და ჯარით, არამედ სტრატეგიული სვლით - მოქმედებაში მოყვანილი მძიმე აღჭურვილობით, საზღვაო ბულდოზერებით, სატვირთო გემებითა და ტონობით ამოთხრილი ქვიშით, ჩინელი ინჟინრებით, თანამედროვე ფსკერსაღრმავებელი ხომალდებითა და სიჩუმით, რომელიც ოპერაციის რეალურ მასშტაბებს მალავს. ვიდრე მსოფლიოს ყურადღება გაფანტული და კონცენტრირებულია სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებზე, წითელ ზღვაში ინჟინრების თავგანწირვისა და გმირობის ფასად ჩუმად ხორციელდება თხრილის გაჭრა, რომელზეც არავინ საუბრობს - არ გვხვდება ახალ ამბებსა თუ გაერთიანებული ერების მხურვალზე გამოსვლებში. თხრილი კი დღითი-დღე ჩუმად იზრდება. გლობალური დიპლომატიის ყრუ დუმილის ფონზე, ჩინეთი ახორციელებს გეგმას, რომელსაც შეუძლია კარდინალურად შეცვალოს სავაჭრო ნაკადები, პოლიტიკური ალიანსები და გლობალური ძალაუფლების ცენტრები. ეს არის ეკონომიკური პროგრესის ქვეშ შენიღბული სტრატეგიული სვლა, რომლის მიღმა რაღაც უფრო ღრმა, უხილავი ჩანაფიქრი - მსოფლიო მასშტაბით დომინირების სურვილი იმალება. მაგრამ რატომ ჯიბუტი? პასუხი ამ კითხვაზე არა მხოლოდ რუკაზე, არამედ ისტორიაში უნდა ვეძებოთ.

ჯერ კიდევ 1896 წელს, როდესაც ჯიბუტი საფრანგეთის კოლონია იყო, ევროპელებმა კარგად დაინახეს ამ პატარა სანაპირო ზოლის ღირებულება და ააშენეს პირველი პორტები ეთიოპიის მომსახურებისთვის[25]. ქვეყნისთვის, რომელსაც არ ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი და როლის ეკონომიკა სწორედ ზღვაზე წვდომაზე იყო დამოკიდებული. გეოგრაფიამ ჯიბუტი სასიცოცხლო მნიშვნელობის რგოლად აქცია, ხოლო დრომ კიდევ უფრო სტრატეგიული გახადა იგი. მსოფლიო ვაჭრობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ხომალდები. სულ უფრო ვიწროვდებოდა მარშრუტები და ჯიბუტი თავისი არაღრმაწყლებითა და მოძველებული ინფრასტრუქტურით როგორც პრობლემად, ისე დიდ შესაძლებლობად იქცა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჩინეთი. ათწლეულების განმავლობაში აზიური ქვეყანა მოთმინებით აკვირდებოდა როგორ „ვიწროვდებოდა“ ჯიბუტი. როგორ იყრიდა თავს ერთად ათასობით კონტეინერი და კვირების განმავლობაში შეფერხებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ეთიოპია კი, რომელიც თვისი საგარეო ვაჭრობის 95%-ზე მეტს სწორედ ამ ქვეყნის გავლით ახორციელებს[26], ეკონომიკურად ზარალდებოდა ყოველ ჯერზე, როდესაც გემი იგვიანებდა. აღნიშნული ვითარება პეკინისთვის იდეალურ ხელჩასაჭიდ გარემოებად იქცა. აზიური „დრაკონი“ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დაპირებებით ჩამოვიდა, თუმცა, ის, რაც ერთი შეხედვით ეკონომიკურ დახმარებას ჰგავდა, სინამდვილეში გეოპოლიტიკურ ხრიკს - ინვესტიციებად შენიღბულ შემოდინებას წარმოადგენდა.

აქ ლოგიკურად ისმის კითხვა: „რა არის ასეთი საეჭვო პორტის გაუმჯობესებაში?“, რომლის პასუხად ჩნდება თხრილი, რომელიც მხოლოდ წყლის ნაკადის გასაზრდელად არ ყოფილა გაკეთებული. საუბარია ზვღის ფსკერზე წარმოებულ ღრმა, ფართომასშტაბიან გათხრებსა და მილიონობით კუბური მეტრი ქვიშის გადაადგილებაზე და, რაც ყველაზე მთავარია, ამაზე არავინ საუბრობს. არცერთ მსხვილ საერთაშრისო ორგანიზაციას განგაში არ აუტეხავს, არცერთი ქვეყანა ღიად არ გამოსულა ჩინეთის წინააღმდეგ. ყველაფერი ჩუმად განხორციელდა - ზედმეტი ხმაურისა თუ აჟიოტაჟის გარეშე.

[25] Mormul, Joanna., „Ethio-Djibutian Relations in the 21st Century – Towards New African Cooperation“, Jagiellonian University in Krakow, Poland, Pdf, 2016;

[26] Erko, Hailu Gelana., „Analysing Opportunities and Obstacles in Ethio-Djibouti Relations: Post-Cold War Era Historical Analysis, Analysis“, Current Research Journal of Social Sciences and Humanities, Pdf, 2023,

ზოგადად, სიჩუმე დამახასიათებელია ჩინეთისთვის - პომპეზურობა არ სჩვევია. მას სჭირდება დრო ჯიბუტის სოფლის მეურნეობის საკუთრი გემოვნებით გარდაქმნის, დატბორილი მიწების ხელოვნურ ნიადაგად ქცევისა და ინფრასტრუქტურის მოსაწყობად იქ, სადაც ოდეზღაც მხოლოდ წყალი იყო. და სწორედ აქ იცვლება ისტორიის ტონი, რამდენადაც იჭრება არა მხოლოდ ზღვის ფსკერი, არამედ ყალიბდება ნდობა, სუვერენიტეტის ცნება და იდეაც, რომ ალიანსები დიპლომატიის სახელით ინარჩუნებენ ერთობას. პეკინი არა უბრალოდ აგროვებს ქვიშას, არამედ ნელ-ნელა ასამარებს ილუზიას, რომ მსოფლიო ვაჭრობა მხოლოდ ეკონომიკაა. ის პოლიტიკოსი, სტრატეგი, ჯარისკაცია და თხრილი ამ თამაშში - როგორც ჩანს, ოკეანეში ჩადებული ნაღმია, რომელიც მზადაა გამოსაყენებლად. ამ თხრილით იგი ფაქტიურად ხელახლა განსაზღვრავს ძალთა ბალანსს პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ რეგიონში.

მეთოდოლოგია

ნაშრომი დაფუძნებულია სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდზე. კერძოდ, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიზნით კვლევა განხორციელებულ იქნა პროცესის მიდევნების (Process Tracing), შემთხვევის შესწავლისა (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით. აგრეთვე, კვლევის პროცესში მოხდა მეორეული სამეცნიერო-ლიტერატურული წყაროების ანალიზი, რათა შექმნილიყო ბაზისი შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით კვლევის გასაგრძელებლად.

ძირითადი ნაწილი

აღნიშნული პროექტი რამდენიმე არასასიამოვნო კითხვას ბადებს: თუ ჩინეთი ამ თხრილს ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით ჭრის, რატომ აკეთებს ამას ასე საიდუმლოდ? რატომ იყენებენ ტექნოლოგიას, რომელიც ჩვეულებრივ, საომარი მოქმედებების ზონებისთვისაა განკუთვნილი? რატომ ხელმძღვანელობდნენ პროცესს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პორტებში მუშაობის გამოცდილების მქონე ინჟინრები? და რაც ყველაზე მთავარია, ვინ მართვს რეალურად ჯიბუტს ახლა? ამ კითხვებზე პასუხი არცთუ მარტივი გასაცემია. თუმცა, ერთი რამ უკვე აშკარაა: ის, რაც დღეს წყალქვეშ ხდება, განსაზღრავს ვინ იქნება დომინანტი ხვალ ხმელეთზე. ჯიბუტი კი მხოლოდ დასაწყისია. ყველაზე საშიში კი ისაა, რომ ვიდრე მსოფლიოს ყურადღება გადატანილია სანქციებზე, ინფლაციასა და სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებზე, ჩუმი ტრანსფორმაცია წითელი ზღვის ქვეშ განაგრძობს ზრდას. თხრილი, რომელიც ერთი შეხედვით ინჟინრების გმირობად აღიქმება, რეალურად შორსმიმავალ, გრძელვადიან გეგმას მალავს. გეგმას, რომელიც სცილდება ჩვეულებრივ ვაჭრობას და აერთიანებს გავლენის სტრატეგიას, სამხედრო-საზღვაო სიძილერესა და პლანეტის ლოგისტიკურ კვანძზე (არტერიაზე) კონტროლს. და კითხვა, რომლის დასმაც დღეს არავის სურს, მაგრამ აუცილებლად უნდა დაისვას, არის ის, გახდება თუ არა წითელ ზღვაში არსებული ეს თხრილი ის არხი, რომლის მეშვეობითაც შემდეგი იმპერია დაიმკვიდრებს თავის ადგილს. რამდენადაც, სწორედ ეს თხრილი წარმოადგენს ახალი მსოფლიო ძალთა ბალანსის ფუნდამენტს. ის, რასაც ჩინეთი ჯიბუტში აშენებს, შესაძლოა უბრალო ინფრასტრუქტურაზე მეტი იყოს - შესაძლოა ეს იყოს მომავალი.

წარმოიდგინეთ, რომ ერთ გზაზე ხართ დამოკიდებული არსებობისა და გადარჩენისთვის საჭირო რესურსების - საკვების, საწვავის, მედიკამენტების, ენერგეტიკის მისაღებად. ეს გზა კი სულ უფრო გადატვირთული ხდება, მომსახურება უარესდება და რაც ყველაზე მთვარია - შეუძლებელია სახლიდან გასვლა ამ გზის გავლის გარეშე. ეს არის ეთიოპიის რეალობა - 102 მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე ქვეყანა, რომელიც ზღვაზე გასასვლელის არ ქონის გამო

მთლიანად ჯიბუტის ერთ პორტზეა დამოკიდებული[27]. სწორედ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რგოლის გარდაქმნა ხდება ჩინეთის მიერ.

მაგრამ როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

საუკუნეების განმავლობაში ჯიბუტი პატარა ფიგურას წარმოადგენდა გაცილებით დიდ საჭადრაკო დაფაზე, რომელსაც ევროპული იმპერიები ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან მოყოლებული დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. როდესაც რეგიონი ფრანგებმა დაიკავეს, კარგად გააცნობიერეს ბაბ-ელ-მანდების სრუტესთან სიახლოვის უპირატესობა[28]. ეს სწორედ ის არტერეაა, რომელიც ინდოეთის ოკეანეს ხმელთაშუა ზღვასთან აკავშირებს. ეს იყო ევროპასა და აზიას შორის უმოკლესი და ყველაზე სტრატეგიული გზა, რომელზეც დღეს მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 10% გადის. ჯერ კიდევ მაშინ, იგი წარმოადგენდა ერთადერთ ფანჯარას მსოფლიოსკენ გასასვლელ გზაზე. ზღვიდან სრულად მოწყვეტილი ეთიოპია ჯიბუტის პორტს იყენებდა როგორც მაშველ რგოლს ქვეყანაში წარმოებული თუ არსებობისთვის საჭირო ნედლეულის - მარცვლეულის, მინერალების, საწვავის, სასუქებისა და ა.შ. იმპორტისა თუ ექსპორტის უწყვეტი ნაკადისთვის, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო ნელი და საშიში ხდებოდა[29]. გემებს კვირების განმავლობაში უხდებოდათ ლოდინი კონტეინერების გადმოსატვირთად პორტში, რომელიც უბრალოდ ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნას. სწორედ ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი ჯიბუტში 2008-დან 2016 წლამდე. კონტეინერების რაოდენობა გასამმაგდა, რიგები უსასრულოდ გრძელდებოდა და რიგის მეორე ბოლოში მყოფ ეთიოპიას ეკონომიკური სტაგნაციისა და კოლოსალური დანაკარგებისთვის მძიმე ფასისი გადახდა უწევდა. თუმცა, ჩინეთი ამ ლოგისტიკური კრიზისით არ შეშინებულა. პირიქით, ამაში შესაძლებლობა დაინახა და იქ, სადაც მსოფლიო მოწყვლად ადგილებსა თუ შეფერხებებს ხედავდა, ჩინეთისთვის წვდომის შესაძლებლობა გახდა, ხოლო რისკები - ბერკეტი მომავალი მოქმედებისთვის.

გადატვირთული პორტები წარმოადგენდა იდეალურ შესაძლებლობას და „მოსაწვევს“ ჩინეთისთვის რაღაც უფრო დიდის დასაწყებად და ისეც გამოჩნდა -დორალეს მრავალფუნქციური პორტის პროექტის სახით. ახალი, ღრმაწყლოვანი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ჩინური პორტი, რომელიც „ექსიმ“ ბანკის მიერ დაახლოებით 580 მილიონი დოლარის დაფინანსებით დაიწყო[30].

რამდენიმე წლის განმავლობაში გიგანტური მანქანები თხრიდნენ, აწყობდნენ ძელებს, აშრობდნენ და აღრმავებდნენ ზღვის ფსკერს. წყალმარჩხობა შეცვალა მისადგომებმა, რომელსაც 100 000 ტონაზე მეტი წონის გემების გატარება შეეძლო. პორტი გადაიქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მჩქეფარე ობიექტად, ხოლო პატარა ქვეყანა ჯიბუტი - წყნარი გეოპოლიტიკური რეორგანიზაციის მნიშვნელოვან ცენტრად. მიუხედავად იმისა, რომ ახალი პორტი ყველას ემსახურება, იგი ჩინეთის ხელშია და ეს ყველაფერს ცვლის. ამ ახალი პორტის გაჩენით ეთიოპიამ დაინახა როგორ ცვლის იგი საქონლის მიწოდების დროს. ლოდინის პერიოდი მკვეთრად შემცირდა. საქონელი, რომლის მიწოდებას ადრე კვირები სჭირდებოდა, ახლა საათებში ხდება. ვაჭრობა დაჩქარდა. კონტეინერები უწყვეტ ნაკადად მოედინება, მაგრამ ეს კომერციული წარმატება შემაშფოთებელ დეტალს მალავს. დამოკიდებულება ახლა ორმაგი გახდა: არა მხოლოდ ჯიბუტიდან, არამედ ჩინეთის მიერ მართული ჯიბუტიდან. თითქოს

[27] Burger, Johan., „Ethiopia's Red Sea Gambit“, A Landlocked nation is search of an alternative port, Nanyang Technological University, Singapore, 2024, https://tinyurl.com/ye24yete, (13.11.2025)

[28] Adhithyan, K. P., Djibouti: „A strategic chokepoint in the Bab el-Mandeb region“, Electronic Journal of Social and Strategic Studies, 2024, Pdf;

[29] იქვე;

[30] Styan, David., „Doraleh Multipurpose Port“, Logistics, 2022, https://tinyurl.com/fdt7r7cc, (13.11.2025);

ეთიოპიის ერთადერთი გზა მსოფლიოსკენ ახლა სხვა ქვეყნის მიერ მართულ პუნქტზე გადის. ქვეყნის, რომელსაც უფრო მკაფიო და შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა. აქ ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რაში სჭირდებოდა ჩინეთს ამის გაკეთება? იმიტომ, რომ ჯიბუტი - არა უბრალოდ პორტია, არამედ, ჩინეთის გლობალური პროექტის „სარტყელი და გზის“ მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს მისი ბაზრების დანარჩენ მსოფლიოსთან დაკავშირებას[31]. ეს არის პროექტი, რომელშიც ჩრთულია 140-ზე მეტი ქვეყანა და ტრილიონობით დოლარის ინვესტიციას მოიცავს: პორტები, რკინიგზა, გზატკეცილები, აეროპორტები, სპეციალური ეკონომიკური ზონები - ყველაფერი დაპროექტებულია ისე, რომ ჩინეთი არა მხოლოდ მონაწილეობდეს მსოფლიო ვაჭრობაში, არამედ მისი ორგანიზება, კონტროლი და მართვა შეძლოს. ჯიბუტი კი იდეალური ადგილია ამისთვის - ქვეყანა ცუდი ინფრასტრუქტურითა თუ სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობით და მეზობლად მყოფი - ეთიოპია, რომელიც საჭიროებდა დახმარებას. მთვრობა მზად იყო მოლაპარაკებებისთვის. ამ ფონზე ჩინეთი არ მოსულა ტანკებით ან დიპლომატიით, ის მოვიდა ამწეებით, ბეტონით, კაპიტალითა და ერთი გასროლის გარეშე პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული მარშრუტის შუაგულში განლაგდა[32]. ყველაზე შთამბეჭდავი კი ისაა, რამდენად სწრაფად მოხდა ეს ყველაფერი. ათწლეულზე ნაკლებ დროში ჯიბუტი მოძველებული კოლონიური პორტიდან საერთაშორისო ლოგისტიკურ ცენტრად გარდაიქმნა. ახალმა ცენტრმა მიიღო ამწეები, სასაწყობე შენობები, ზონები მანევრირებისთვის და ავტომატიზირებული სისტემები. აგრეთე მიიღო ის, რასაც ცოტა თუ ვინმე აცნობიერებს: ჯვარედინი ინტერესები, ვალები, გრძელვადიანი კონტრაქტები და საგარეო დამოკიდებულების ახალი ფორმა, რომელიც ვლინდება პორტში მიღებულ გადაწყვეტილებებში, ოცწლიანი ვადით გაგრძელებულ კონტრაქტებში, რომელთა განახლება ავტომატურად ხდება, ჩინეთის სპეციფიკაციების შესაბამის ტექნიკურ სტანდარტებში, ჩინელი ინჟინრების მიერ დახელოვნებულ ადგილობრივ მუშა-ხელსა და პორტის მოგებაში, რომელიც მიემართება ჩინური სახელმწიფო კომპანიებისკენ, რომლებიც საბოლოოდ ანგარიშვალდებულნი არიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინაშე.

შესაძლოა გაზვიადებულად ჟღერდეს, მაგრამ ერთი წუთით რომ დავფიქრდეთ, **ვინც აკონტროლებს პორტებს, აკონტროლებს გემებს, ხოლო ვინც აკონტროლებს გემებს, აკონტროლებს ვადებს და ვინც აკონტროლებს ვადებს - აკონტროლებს ეკონომიკას. უფრო მეტიც, ისინი, ვინც აკონტროლებენ ვაჭრობას, გავლენას ახდენენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ხელშეკრულებებზე, კენჭის ყრაზე გაეროსა და დიპლომატიურ ძალთა ბალანსზე.** ერთი შეხედვით ყველაფერი ბანალურად დაიწყო - კონტეინერების ექსპორტ-იმპორტით ქვეყნის პატარა პორტიდან, რომელიც რუკაზე თითქმის არც ჩანს. თუმცა, ზემოქმედება ტალღებივით ვრცელდება და ჩინეთმა ისე, როგორც არავინ სხვამ, ყველაზე კარგად იცის როგორ გაუმკლავდეს ამ ტალღებს. ყოველდღიურად ათობით გემი ჯიბუტში დგას. კონტეინერები იტვირთება და ჩინური საქონელი აფრიკის შიდა ნაწილში იგზავნება. და ეს ყველაფერი ჩინური კომპანიების მიერ აშენებულ და მართულ ობიექტებში ხორციელდება. წარმოდგენილი კომპანიები კი წასვლას არსად აპირებენ.

შესაძლოა ფიქრობდეთ, რომ ეს ყველაფერი შორსაა თვენი რეალობისგან, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ზეთი, რომელიც თქვენი მანქანის გასამართადაა საჭირო, თქვენს სუპერმარკეტში არსებული ყავა, ინფლაცია, რომელიც თქვენს ელექტრონიკას უფრო ძვირს ხდის

[31] Mazzucco, Leonardo Jacopo Maria., „China's Dual Strategy in the Red Sea: Balancing Economic Expansion and Military Presence“, Defence and Security, https://tinyurl.com/mt9mdsff, (13.11.2025);

[32] Nantulya, Paul., „China's Strategic Port Development in Africa“, Africa Center for Strategic Studies, 2025, https://tinyurl.com/4czybaxp, (13.11.2025);

- ყველაფერზე შეიძლება გავლენა იქონიოს ათასობით მილის დაშორებით მდებარე პორტის ტერმინალში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა. სიმართლე კი ისაა, რომ ეს გადაწყვეტილებები ახლა ჩინურ ღარებში გადის. თხრილი, რომელიც თავდაპირველად გემების წვდომის გასაუმჯობესებლად იყო გაჭრილი, სავსებით შესაძლებელია რაღაც უფრო დიდის - ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების სიმბოლო იყოს, რომელშიც ვაჭრობის, გავლენისა და ძალაუფლების ნაკადები მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად თავიდან დაპროექტებულ მარშრუტებზე გადის.

მაგრამ კვლავ ჩნდება კითხვა: რამდენად შორსმავალი იქნება ეს ყველაფერი? რადგანაც ჯიბუტი მხოლოდ ფაზლის ერთი პატარა ნაწილია. რადგან ის, რაც ჩინეთმა წყალზე ააშენა, არაფერია იმასთან შედარებით, რაც წყლის ქვეშ ხდება. ესაა ლოგისტიკური განვითრების საფარქვეშ შენიღბული მეგაოპერაცია, რამდენადაც საუბარია წყალქვეშა დერეფანზე, რომელსაც პლანეტის უდიდესი სატვირთო გემების მიღება-განთვსება შეუძლია.

ჩინეთმა ჯიბუტში ააშენა არა მხოლოდ თანამედროვე პორტი, არამედ ყინულმჭრელი გემების გამოყენებით შეცვალა რეგიონის წყალქვეშა გეოგრაფია[33]. ჩინელმა ინჟნრებმა ხელახლა დააპროექტეს ოკეანის მთელი მონაკვეთი. გაცხადებული მიზანი ნათელი იყო: 50 ფუტი წყალშიგი გემების ნავსადგომებთან მარტივად შეყვანა. მაგრამ როგორც კი პროექტის ტექნიკური დეტალები გამჟღავნდა, თავი იჩინა შემაშფოთებელმა კითხვამ: მარტო ვაჭრობასთან იყო აღნიშნული პროექტი დაკავშირებული, თუ მის უკან სხვა, რაღაც უფრო დიდი და შორსმიმავალი გეგმა იმალებოდა?

როდესაც გვესმის, რომ განხორციელებულ იქნა ფსკერის გაღრმავების სამუშოები და 20 მილიონი კუბური მეტრი ქვიშა და ნალექი ამოიღეს ზღვის ფსკერიდან, ეს შესაძლოა, ერთი შეხედვით უბრალო ციფრები ჩანდეს, მაგრამ სინამდვილეში, აღნიშნული უჩვეულო ზრდა - განზრახ გეოლოგიური ტრანსფორმაციაა[34]. თუმცა, ყველაზე შთამბეჭდავია არა ზომა, არა მოცულობა, არამედ მის უკან არსებული ინჟინერიაა.

თავდაპირველად ჩინელმა ჯგუფებმა შეადგინეს ზღვის ფსკერის რუკა მაღალი სიზუსტის ჰიდროლოკაციური აპარატურის გამოყენებით. სადაც ზღვის ფსკერის ყოველი მეტრი გამოთვლილ, გაზომილ, მოდელირებულ და დატანილ იქნა სპეციალურ გრაფიკულ ქაღალდზე. შემდეგ გამოჩნდა ფსკერსაჭრელები, რომლებიც ზღის ფსკერს თიხასავით აქუცმაცებდნენ. მოპოვებული მასალა კი თვითმცლელი მანქანებით ორ დანიშნულების ადგილზე მიეწოდებოდა: წინასწარ განსაზღვრულ გადასაყრელ ზონებსა და შენახვის ზონებში. ამგვარად, ზღვიდან თავი იჩინა ახალმა ტერიტორიებმა - ხელოვნურმა კუნძლებმა. ეს იყო ნულიდან შექმნილი მიწები ოკეანის ფსკერზე. შედეგად, ჯიბუტის სანაპირო ზოლი 2.2 მილიონ კვადრატული მეტრით გაიზარდა, რაც საკმარისი სივრცეა ლოგისტიკური საწყობებისა თუ ახალი სამრეწველო ობიექტების განსათავსებლად[35]. მაგრამ რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი სიღრმიდან ამოყვანილი გაფართოვება? იმიტომ, რომ ინფრასტრუქტურა შესაძლოა იყოს სამხედრო ან სამოქალაქო და როდესაც იგივე კომპანიები რომლებიც აშენებენ პორტს, მაგალითად, როგორიცაა China Civil Engineering Construction Corporation და China Harbor Engineering, ასევე ჩართულნი

[33] Article: „China's Engagement in Djibouti", Congressional Research Service, 2025, https://tinyurl.com/9aphuzr6, (13.11.2025);

[34] Théo du Couëdic., „Djibouti, a port ecosystem designed for global trade", African Business, 2025, https://tinyurl.com/25adjszm, (13.11.2025);

[35] Dutton, Peter,. Kardon Isaac., Kennedy, Conor., „Djibuti: China's Firsr Overseas Strategic Strongpoin"t, China Maritime Report, 2020, Pdf;

არიან და მონაწილეობენ სხვა ქვეყნების სტრატეგიულ თავდაცვით პროექტებში[36], გამაფრთხილებელი ნიშანი ირთვება და თავს იჩენს არაერთი ლოგიკური კითხვა: რატომ უნდა იჭრებოდეს ასეთი ღრმა არხები რეგიონში, სადაც აფრიკის ან ახლო აღმოსავლეთის გემების უმეტესობა არ საჭიროებს ღრმა წყალშიგს? რატომ უნდა გამოიყენებოდეს სამხედრო თხრის ტექნოლოგია თითქოსდა კომერციულ პროექტში? და რაც მთავარია, რა საჭიროა ოპერაციის მასშტაბების გასაიდუმლოება? შესაძლოა, ამას თვისი ახსნა ჰქონდეს: დორალეს მრავალფუნქციური პორტის გახსნიდან ორი თვის შემდეგ, ჩინეთის ახალი განაცხადი ბომბის აფეთქებას ჰგავდა. პეკინი პორტიდან სულ რაღაც რამდენიმე წუთის სავალზე საზღვრებს მიღმა თავის პირველ უცხოურ სამხედრო ბაზას ხსნიდა. ეს იყო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ნაგებობა, რომელიც მშვიდ გარემოში აშენდა[37]. აქ ლოგიკურად ჩნდება კითხვა: დამთხვევაა ეს თუ დატბორილი თხრილი შესაძლოა ორმაგი დანიშნულების არტერიად იქცეს - გამოყენებულ იქნას როგორც სატვირთო ხომალდების, ისე ესმინეცებისთვისაც. და თუ ასეა, რას ნიშნავს ეს წითელ ზღვაში ძალთა ბალანსის თვალსაზრისით?

შექმნილი ვითარების უკეთ აღსაქმელად, საკმარისია წარმოვიდგინოთ რა შესაძლებლობები არსებობს კარგად განლაგებული სამხედრო-საზღვაო ბაზით, გარანტირებული ჩაღრმავებული ფსკერით, მართვადი რაკეტებით აღჭურვილი თანამედროვე ესმინეცებით, რომლებსაც შეზღუდვების გარეშე მოქმედებების განხორციელება, ხოლო ატომურ წყალქვეშა ნავებს - თანამგზავრების გაფრთხილების გარეშე მისადგომთან შესვლა შეუძლიათ. და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი - ავიამზიდებს შესაძლებლობა ეძლევა ბაზა გამოიყენონ პლაცდარმად მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მარშრუტის ცენტრში[38]. ახლა დავფიქრდეთ, რა შეიძლება მოხდეს, თუ საერთაშორისო კრიზისის დროს ჩინეთი გადაწყვეტს ბაბ-ელ-მანდების სრუტეში გემების გავლის კონტროლს ან თუნდაც მონიტორინგს? რა მოხდება თუ აღნიშნული არხი გადაიქცევა პოლიტიკური დღის წესრიგის მძევლად? შესაძლოა ყოველივე ეს გაზვიადებულადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან მოყოლებული, თანამგზავრები აფიქსირებენ ამ ჩინური სამხედრო ბაზის მუდმივ გაფართოვებას: ახალი ნავმისადგომები, საბრძოლო მასალისა და საწვავის საწყობები, შვეულმფრენების დასაფრენი მოედნები, სამეთაურო პუნქტები - ეს არის ინფრასტრუქტურა, რომელიც გათვლილა არა დროებით, არამედ მუდმივ ბაზირებაზე. ამიტომ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ანალიტიკოსების უმრავლესობა აღნიშნულ თხრილს ნელი მოქმედების ნაღმად მოიხსენიებს. ეს არის ღია ჭრილი ზღვის ფსკერზე, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს არა მხოლოდ ჩინეთის ტექნოლოგიურ ძლევამოსილებას, არამედ მის გეოსტრატეგიულ ამბიციებსაც[39]. არა და, ისტორიულად, თხრის პროცესი სიმბოლურად, ყოველთვის ასოცირდებოდა მომავალში განსახორციელებელი ქმედებებისთვის მზადებასთან. თუმცა, მსოფლიო აღნიშნულ მოცემულობას კვლავ ინფრასტრუქტურაში ჩადებულ ინვესტიციებად აღიქვამს. ოფიციალური ანგარიშები ზღვის ფსკერს, თხრილს, ნავმისადგომებს, სატვირთო ტერმინალებს ისე აღწერენ, თითქოს საქმე გვქონდეს მხოლოდ პორტის მოდერნიზაციასთან. თუმცა, ის, რასაც იგი მალავს, თუ ავლენს, სცილდება ყოველივე ამას. ამიტომ, იგი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც

[36] Yang, Domingo I-Kwei., The Weaponization of BRI in the South Pacific, Defense Security Brief, Institute for National Defense and Security Research, 2022, Pdef;

[37] იხ.სქოლიო 11;

[38] იქვე;

[39] Ali, A., Bhatti, M, N & Nawaz, A. (2025). A geo-strategic importance of Djibouti: Presence of foreign military bases. Social Sciences Spectrum, 4(2), 681-688. https://doi.org/10.71085/sss.04.02.302, (13.11.2025);

უბრალოდ დერეფანი კონტეინერებისთვის. ეს არის გეოპოლიტიკური ნაპრალი, რომელიც ჩვენს თვალწინ იხსნება და როდესაც მსოფლიო ამას გააცნობიერებს, შესაძლოა დაგვიანებულიც იყოს.

პანამის არხმა შეცვალა მსოფლიო ვაჭრობის პრინციპები. სუეცის არხმა ხელახლა განსაზღვრა კონტინენტთაშორის გადაზიდვების დრო და ღირებულება. ახლა კი, შესაძლოა, იხსნებოდეს წყნარი ღრმული წითელ ზღვაში - არა მხოლოდ ფიზიკური მარშრუტი, არამედ ახალი ერა, ეპოქა, რომელშიც ძალაუფლების თავსმოხვევა ხდება არა ძალით, არამედ - ინფრასტრუქტურით. ეპოქა, რომელშიც დომინირება მიიღწევა არა დაპყრობით, არამედ გრძელვადიანი კონტრაქტებით, მიწისქვეშა გათხრებით, განვითრების სახით შენიღბული მოწინავე ინჟინერიით. ჯიბუტი კი ამ ყველაფრის ნათელი მაგალითია, სადაც ყველაფერი ფესვგადგმულია გეოპოლიტიკაში. ეს არის გეგმა, რომელსაც როგორც ჩანს, უკვე ბოლო არ უჩანს. მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ აღნიშნული თხრილი კვლავ იზრდება. პროექტი და სამუშაოები გრძელდება, სიღრმე იზრდება და ფართოვდება, სიჩუმე კი რჩება.

თუ კარგად დავაკვირდებით თხრილის გვერდით მდებარე ჩინეთის სამხედრო ბაზას, დავინახავთ, რომ მისი სტრუქტურა სცილდება მეკობრეებისგან დაცვის მიზნებს და წარმოადგენს პირველ ნაბიჯებს აფრიკაში ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუდმივად დასარჩენად, რომლის წარმომადგენლითობა რადიკალურად ცვლის არსებულ სურათს.

განვიხილოთ აღნიშნული ვითარება მომავლის პერსპექტივიდან.

ამ დრომდე ჩინეთის არც ერთი სამხედრო ბაზა არ ყოფილა გახსნილი მის საზღვრებს მიღმა. და მისი პირველი არჩევანი იყო არც უახლოესი კუნძული ნიკი და არც მოკავშირეთა ტერიტორია. ეს იყო ჯიბუტი - პლანეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მარშრუტის ცენტრი და აფრიკაში შეერთებული შტატების უდიდესი სამხედრო ბაზა კემპ-ლემონიდან 10 კილომეტრში[40]. აქ ლოგიკურად ჩნდება კითხვა: დამთხვევაა ყოველივე ეს თუ ფრთხილად გათვლილი

სვლა ჭადრაკის დაფაზე? რატომ მაინც და მაინც ჯიბუტი? იმიტომ, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით ეს პატარა ქვეყანა ასრულებს გლობალური სარქველის ფუნქციას. იგი არეგულირებს გასასვლელს ინდოეთის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვას შორის. ვინც აკონტროლებს ჯიბუტს, პირდაპირ გავლენას ახდენს იქ არსებულ ვითარებაზე - ყველაფერზე რაც გადის: ნავთობი, სურსათ-სანოვაგე, იარაღი, ტექნოლოგიები. მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 10% სწორედ იმ ადგილზე გადის, სადაც ჩინეთმა თავისი ბაზა ააშენა.

საგულიხმოა, რომ ბაზის მშენებლობა თხრილის გაჭრის პარალელურად განხორციელდა. იგივე ხომალდები, რომლებიც ჭრიდნენ არხს ახალი პორტისთვის, გამოყენებულ იქნა სამხედრო ბაზის ირგვლივ ზღვის ფსკერის დასაღრმავებლად. შედეგად წარმოიშვა ახალი ღრმაწყლოვანი მისადგომები, რომლებსაც შეუძლიათ სამხედრო ღრმაწყლოვანი გემების მიღება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, რაც თავიდანვე ორმაგი დანიშნულების სამოქალაქო პროექტად გამოიყურებოდა, ბაზას, რომელსაც ოფიციალურად ჯიბუტის გეგმების მხარდამჭერი ბაზა ჰქვია, 2000-მდე სამხედრო მოსამსახურის, მათ შორის ქვეითი ჯარისკაცების, ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების, მხარდამჭერი შვეულმფრენებისა და მძმე ტექნიკის განთავსების შესაძლებლობას იძლევა[41]. ობიექტს გააჩნია უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკომუნიკაციო სისტემები, მიწისქვეშა საწყობები და სატვირთო პორტთან პირდაპირი წვდომა. თუმცა, ყველაზე მეტად შთამბეჭდავია ზრდის ტემპი მისი გახსნის შემდეგ. ბაზა ჩუმად გაფართოვდა. კომერციული თანამგზავრული ფოტოებიდან გაჟონილი გამოსახულებები ავლენს

[40] Kuoman, Andrea., „Djibuti: The tiny valuable nation hosting the world's military giants", Global Affairs and Strategic Studies, 2024, https://tinyurl.com/sba6yt75, (13.11.2025);

[41] Dutton, Peter., Kardon Isaac., Kennedy, Conor., „Djibuti: China's Firsr Overseas Strategic Strongpoint", China Maritime Report, 2020, Pdf;

330 მეტრიანი ახალი ნავმისადგომის მშენებლობას, რაც საერთო ქროს-დოკინგის (ტვირთის მიწოდების ჯაჭვში ლოგისტიკური ოპერაციების ერთობლიობა) ტევადობას ორმაგად ზრდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა შესაძლებელი ხდება ერთდროულად ორი „ესმინეცის“ ან დიდი სამხედრო გემის მიღება და ეს მხოლოდ დასაწყისია.

ერთი შეხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ აქ განსაკუთრებული არაფერია და სხვა ქვეყნებსაც გააჩნიათ საკუთარი ბაზები საზღვარგარეთ. მაგალითად, შეერთებულ შტატებს, საფრანგეთს, იაპონიას აქვს სამხედრო წარმომადგენლითობა ჯიბუტში[42], მაგრამ აქ არის ერთი ფუნდამენტური განსხვავება - არცერთ მათგანს არ შეუცვლია გეოგრაფიული გარემო საკუთარი წარმომადგენლითობის შესანარჩუნებლად. არცერთ მათგანს არ გაუჭრია თხუთმეტმეტრიანი თხრილი ზღვის ფსკერზე, არ აუშენებია ხელოვნური კუნძულები და არავის გაუერთიანებია კომერციული პორტი სამხედრო ობიექტთან ასე ინტეგრირებული სახით - სწორედ ამაშია ჩინური მოდელისგან განსხვავება - კომერციული ინფრასტრუქტურა, როგორც გეოპოლიტიკური ტროას ცხენი. და სწორედ ეს ხდის ჯიბუტს ასეთ სიმბოლურს, რაც სრულიად ცვლის თამაშის წესებს.

არსებობს კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც იშვიათად ამახვილებენ ყურადღებას - თვითკმარობა. ბაზის დანიშნულებაა ლოგისტიკური ოპერაციების მხარდაჭერა, ანუ ბაზა მოწყობილია ისე, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩინეთიდან მოწოდებებზე დამოკიდებულების გარეშე შეძლოს ფუნქციონირება. მას გააჩნია საწყობები საწვავისა და საბრძოლო მასალებისთვის, სამეთაურო პუნქტები, სახელოსნოები, სასადილოები, საცხოვრებელი ფართები, სამედიცინო ცენტრი და სასაწყობე ფართები თვეების განმავლობაში გარკვეული მარაგების შესანახად. ეს არის სამხედრო წარმომადგენლობის ავტონომიური კუნძული, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შუაგულში მდებარეობს. ყოველივე ეს კი ნიშნავს, რომ ჩინეთს აღარ სჭირდება გემების საკუთარ ტერიტორიაზე დაბრუნება ინდოეთის ან წითელ ზღვაში გარკვეული ოპერაციების განსახორციელებლად. ბაზა ამცირებს ხარჯებს, აუმჯობესებს რეაგირების დროს და შესაძლოა, ყველაზე მთავარი - სტაციონარული სამუშაო სადგური ჩინეთს აძლევს ბერკეტებს მუდმივი ზემოქმედებისთვის, მაშინ, როდესაც დასავლური სახელმწიფოები აქამდე მარტო მოქმედებდნენ.

გასაკვირი არ არის, რომ ანალიტიკოსები ჯიბუტს გუანტანამოს ადარებენ[43] იმ განსხვავებით, რომ იგი კონფლიქტის შედეგად კი არ იყო თავსმოხვეული, არამედ, შეთანხმებული იყო დაუძლეველი ეკონომიკური პაკეტის ნაწილად. ჯიბუტის მთავრობა, არსებული ვალების ზეწოლისა და განვითარების დაპირებებით მოხიბლული, დათანხმდა ათწლეულების განმავლობაში განახლებად კონტრაქტებს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ აღნიშნული სცენარი იზრდება და მრავლდება. რა მოხდება თუ ჯიბუტი მხოლოდ საპილოტე მოდელია? რა მოხდება თუ ჯიბუტში გამოცდილი მეთოდი სხვაგან, მაგალითად, შრი-ლანკაში, პაკისტანში, მოზამბიკში ან თუნდაც ლათინურ ამერიკაში სტრატეგიულ სავაჭრო მარშრუტებზეც განხორციელდება? ეს იქნება სავაჭრო ცენტრებად შენიღბული ლოჯისტიკური ბაზების ახალი ქსელის დასაწყისი, სადაც აღმოჩნდება გაჭრილი თხრილები სატვირთო გემებისთვის, შემდეგ კი ჩუმად ხელახლა მოწყობილი (გადაკეთებული) პუნქტი სამხედრო გემებისთვის. ეს არ არის ფიქცია. ესაა მუდმივი სტრატეგია და მას უკვე აქვს სახელწოდება - „მარგალიტის სიმი“[44]. ეს არის ტერმინი, რომელსაც იყენებენ სამხედრო

[42] იხ.სქოლიო 16;

[43] Congressional Research Service, „U.S. Overseas Basing: Background and Issues for Congress“, 2024, https://tinyurl.com/26uuajx6, pdf, (13.11.2025);

[44] Templeton, Ethan., „Navigation the String of Pearls“, Leeds Policy Institute, 2025, https://tinyurl.com/vevt6kv, (13.11.2025);

სრატეგები ჩინეთის მიერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საზღვაო მარშრუტების გასწვრივ შექმნილი საყრდენი პუნქტების აღსაწერად. თითოეული მარგალიტი - პორტია; თითოეული სიმი - მომარაგების ხაზი და ამ ყველაფერის ცენტრში ჯიბუტის მსგავსი ბაზაა - მყარი, დაცული, უხილავი მათთვის, ვინც საქმის კურსში არაა. ამას ამჩნევთ, რადგან წითელი ზღვის ღრმული მხოლოდ ზღვის ფსკერზე ფიზიკური ღარი არაა. ის სიმბოლოა, გამყოფი ხაზია ჩენთვის ნაცნობ და მომავალ სამყაროს შორის და მიუხედავად იმისა, რომ ზედაპირზე სიმშვიდეა, გემები კვლავ მიდი-მოდიან დატვირთული არა მხოლოდ კონტეინერებით, არამედ იარაღით, სენსორებითა და განზრახვებით, რომელშიც ეჭის შეტანას ცოტა თუ ვინმე ბედავს. ის, რაც ჩინეთმა ჯიბუტში ააშენა, უბრალოდ სამხედრო ბაზა კი არა, იმის დასტურია, რომ ახალი მსოფლიო ძალა თავს იმკვიდრებს არა ყვირილით, არამედ დაჟინებით.

საგულისხმოა, რომ ჩინეთის მიერ წარმოებული გათხრების 2/3 უკვე დასრულებულია. ვნახოთ როგორ უკავშირდება ეს ბაზა აფრიკის ყველაზე სტრატეგიულ რკინიგზას, იმას, რომელიც ჯიბუტს ეთიოპიასთან აკავშირებს[45]; როგორ ემთხვევა გემებისა და ჯარების მარშრუტები ერთმანეთს და როგორ ჩუმად, უხილავად გარდაიქმნება ეკონომიკური დამოუკიდებლობა იძულებით ალიანსად. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ მომავალი გადაწყდება არა მხოლოდ დიპლომატიურ შეხვედრებზე, არამედ იქ ჩუმად გაჭრილ თხრილებშიც. პირველი კითხვა, რომელიც დასაწყისში დავსვით იყო: რატომ ჭრის ჩინეთი წითელ ზღვაში თხრილს აფრიკაში მოსახვედრად? ახლა ამ კითვაზე პასუხი შესაძლოა უფრო ნათელი და საშიშიც კი იყოს, რადგან ის, რაც საზღაო ინჟინერიის მიღწევად ჩანდა, უჩვეულოდ კარგად კოორდინირებული გეგმის ნაწილი აღმოჩნდა. გეგმის, რომელიც მხოლოდ ზღვის ფსკერით არ სრულდება და გრძელდება. 2018 წელს, სამხედრო-საზღაო ბაზისა და ჯიბუტის ახალი პროექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან ერთი წლის შემდეგ, ჩინეთმა დაასრულა კიდევ ერთი მონუმენტური პროექტი - ადის-აბება - ჯიბუტი რკინიგზა, რომლის სიგრძე 750 კილომეტრია და ეთიოპიას ახლად გათხრილ ნაწილებთან აკავშირებს[46]. ეს არის ხაზი, რომელმაც 2004 წელს ექსპლუატაციიდან ამოღებული ძველი ფრანგული კოლონიალური რკინიგზა ჩაანაცვლა, რომელსაც წელიწადში დაახლოებით 25 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა შეუძლია, აფრიკის სიდიდით მეორე ქვეყანას მსოფლიოსთან აკავშირებს და ჩინეთის ლოგისტიკური კონტროლის წყალობით საავტომობილო გზით ტრანსპორტირების დრო, რომელიც ადრე რამდენიმე დღეს საჭიროებდა, საათებამდე შემცირდა. ვაჭრობაც დაჩქარდა, თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი დეტალით - ყველაფერი დამოკიდებულია ინფრასტრუქტურაზე, რომელსაც ეთიოპია სრულად აღარ აკონტროლებს. რკინიგზა აშენდა 102.4 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ჩინური სესხების წყალობით. მატარებლები, წყლის სისტემები, მენეჯმენტი, ოპერატორები - ყველაფერი აკმაყოფილებს ჩინურ სტანდარტებს - ტექნიკური მომსახურების კონტრაქტების ჩათლით. ხოლო ფინანსური შეთანხმემებები მოიცავს პუნქტებს, რომელიც პეკინს ვეტოს, კონტროლისა და ათწლეულების მანძილზე ყოფნის გაგრძელების უფლებას აძლევს. წარმოვიდგინოთ ვითარება, როდესაც ქვეყნიდან გასვლისა და ქვეყანაში შემოსვლის მთავარი არხი სხვის ხელშია. რა ხდება, როდესაც არ არსებობს ალტერნატიული მარშრუტი და როდესაც ვალი მხოლოდ რიცხვები კი არა გეოპოლიტიკური გავლენის ბერკეტია. ის, რაც ჩინეთმა ჯიბუტსა და ეთიოპიას შორის ააშენა, უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ სავაჭრო დერეფანი და დამოკიდებულების ჯაჭვი. შესაძლოა ეს ყველაფერი უხეშად ჟღერდეს, მაგრამ

[45] Dutton, Peter,. Kardon Isaac., Kennedy, Conor., „Djibuti: China's Firsr Overseas Strategic Strongpoint", China Maritime Report, 2020, Pdf;

[46] Article: „Addis Ababa-Djibouti Railway Ethiopia", China Railway Group Limited, Core Business, 2018, https://tinyurl.com/mukj5zd2, (13.11.2025);

ვიდრე მსოფლიო შეიარაღებულ კონფლიქტებს, პანდემიებსა თუ სავაჭრო ომებთან გამკლავებით იყო დაკავებული, ჩინეთმა შექმნა სტრუქტურული კონტროლის ჩუმი და მშვიდი ეკოსისტემა: მიწისქვეშა სარკინიგზო, საზღვაო, შეთანხმებებისა და უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ქსელი. ყველაფერი ინვესტიციების სახით შეფუთული, შორსმიმავალი მიზნებით.

აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ ჩინეთი უკვე აკონტროლებს ან მართავს 78-ზე მეტ პორტს აფრიკის 32 ქვეყანაში[47]. მან განახორციელა მილიარდობით დოლარის ოდენობის ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, ააშენა სპეციალური ეკონომიკური ზონები და წარმოდგენილია სუეცის არხსა და პორტებში ეგვიპტეში, ტანზანიაში, კენიაში, სუდანსა და ნიგერიაში. და ეს ყველაფერი არ არის. მისი წარმომადგენლითობა ვრცელდება ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ამერიკაშიც კი.

წითელ ზღვაში დაწყებული თხრილი სინამდვილეში წარმოადგენს გლობალური გავლენის უხილავი რუკის ნაწილს, თუმცა, აქ ლოგიკურად კვლავ ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა: რატომ არავინ საუბრობს ამაზე სერიოზულად, ისე, როგორც არსებული ვითრება იმასხურებს? პასუხი ამ კითხვაზე შესაძლოა იყოს ის, რომ ახალი მსოფლიო არ ჰგავს ძველს. აქ ვერ ვხედავთ საზღვარზე შემოჭრილ ტანკებს, აღმართულ დროშებს, მაგრამ არის რაღაც ბევრად უფრო ეფექტური: კონტრაქტები, სესხები, რკინიგზა, გემები და თანმიმდევრული დამოკიდებულების ჯაჭვი, რომელიც დომინოს ქვებივით გროვდება და როდესაც ყველა მათგანი ერთმანეთზე დევს, უბრალო ბიძგიც საკმარისია.

დასკვნა

ამდენად, შეჯამების სახით შესაძლოა ითქვას, რომ ეს არის გარდამტეხი მომენტი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. და თუ ვიკითხავთ რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ჩვენთან, პასუხი შესაძლოა იყოს - გაცილებით მეტი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, რამდენადაც კონტროლი ამ ლოგისტიკურ მარშრუტებზე გავლენას ახდენს ჩვენს მიერ გადახდილი საწვავის ფასზე, შეძენილი პროდუქციის მიწოდების ვადებსა და იმ ბაზრების სტრაბილურობაზე, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამუშაო ადგილებს ქმნიან. თუ ეს მარშრუტები გადატვირთულია, დაიკეტება ან სავაჭრო იარაღად იქნება გამოყენებული, შედეგები რამდენიმე დღეში ასახვას ჰპოვებს გლობალურ ეკონომიკაზე და როდესაც ამ ყველაფერზე ეკონომკა რეაგირებს, ის რეაგირებს ჩვენზე - ანგარიშებზე, გადასახადებზე, ელექტროენერგიაზე, ფასებზე, ქვეყანაში ინფლაციის რისკზე.

ერთი შხედვით, ეს თხრილი შესაძლოა შორეულად მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში უკვე ჩვენს ფეხქვეშ გადის და სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ამ ისტორიის გაგება-ანალიზი. ეს არის ჩუმი მოქმედება, რომელიც უკვე აყალიბებს მომავალს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ვინ რაზე და რამდენ ხანს იქნება პასუხისმგებელი შემდგომი ათწლეულების მანძილზე.

ისტორია, რომელიც გათხრებით დაიწყო, ქსელის აღმოჩენით დასრულდა. ქსელით, რომელიც აერთიანებს პორტებს, რელსებს, კონტრაქტებსა და დამალულ ნაგებობებს. ამიტომ საჭიროა უფრო კირტიკული დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ, რამდენადაც ის, რასაც ინვესტიციად ან თანამშრომლობად გვთავაზობენ და პროგრესად გვეჩვენება, სინამდვილეში შესაძლოა დომინირების მაუწყებელი იყოს, რომლის შეცვლა გაცილებით რთულია.

[47]Brzozowski, Tadeusz., „Chinese firms now control over a third of Africa's ports - raising fears of Beijing's expanding global reach", Gazeta Morska, 2025, https://tinyurl.com/mumdt4th, (13.11.2025);

გამოყენებული ლიტერატურა

1. Adhithyan, K. P., Djibouti: „A strategic chokepoint in the Bab el-Mandeb region“, Electronic Journal of Social and Strategic Studies, 2024, Pdf;

2. Article: „China's Engagement in Djibouti“, Congressional Research Service, 2025, https://tinyurl.com/9aphuzr6, **(13.11.2025);**

3. Article: Utility Asset Location Plays Key Role in U.S. Military Base Expansion in Africa, Stanley Consultants, https://tinyurl.com/2ctkr5mu, **(13.11.2025);**

4. Ali, A., Bhatti, M, N & Nawaz, A. „A geo-strategic importance of Djibouti: Presence of foreign military bases“. Social Sciences Spectrum, 4(2), 681-688. https://doi.org/10.71085/sss.04.02.302, **(13.11.2025);**

5. Article: „Addis Ababa-Djibouti Railway Ethiopia“, China Railway Group Limited, Core Business, 2018, https://tinyurl.com/mukj5zd2, **(13.11.2025);**

6. Brzozowski, Tadeusz., **„Chinese firms now control over a third of Africa's ports - raising fears of Beijing's expanding global reach“, Gazeta Morska, 2025,** https://tinyurl.com/mumdt4th, **(13.11.2025);**

7. Burger, Johan., Ethiopia's Red Sea Gambit, A Landlocked nation is search of an alternative port, Nanyang Technological University, Singapore, 2024, https://tinyurl.com/ye24yete, **(13.11.2025)**

8. Congressional Research Service, „U.S. Overseas Basing: Background and Issues for Congress“, 2024, https://tinyurl.com/26uuajx6, pdf, **(13.11.2025);**

9. Dutton, Peter,. Kardon Isaac., Kennedy, Conor., „Djibuti: China's Firsr Overseas Strategic Strongpoint“, China Maritime Report, 2020, Pdf;

10. Erko, Hailu Gelana., „Analysing Opportunities and Obstacles in Ethio-Djibouti Relations: Post-Cold War Era Historical Analysis“, Analysis. Current Research Journal of Social Sciences and Humanities, Pdf, 2023,

11. **Cabestan, Jean-Pierre.,** „Djibouti, New Battlefield of China's Global Ambitions**“, Journal of Political Risk, Vol. 7, No. 5, Hong Kong Baptist University, 2019,** https://tinyurl.com/yre423f7, **(13.11.2025)**

12. Kuoman, Andrea., „Djibuti: The tiny valuable nation hosting the world's military giants“, Global Affairs and Strategic Studies, 2024, https://tinyurl.com/sba6yt75, **(13.11.2025);**

13. Mormul, Joanna., „Ethio-Djibutian Relations in the 21st Century – Towards New African Cooperation“, Jagiellonian University in Krakow, Poland, Pdf, 2016;

14. Mazzucco, Leonardo Jacopo Maria., „China's Dual Strategy in the Red Sea: Balancing Economic Expansion and Military Presence“, Defence and Security, https://tinyurl.com/mt9mdsff, **(13.11.2025);**

15. **Nantulya, Paul., China's Strategic Port Development in Africa, Africa Center for Strategic Studies, 2025,** https://tinyurl.com/4czybaxp, **(13.11.2025);**

16. Styan, David., „Doraleh Multipurpose Port“, Logistics, 2022, https://tinyurl.com/fdt7r7cc, **(13.11.2025);**

17. Théo du Couëdic., „Djibouti, a port ecosystem designed for global trade“, African Business, 2025, https://tinyurl.com/25adjszm, **(13.11.2025);**

18. Templeton, Ethan., „Navigation the String of Pearls“, Leeds Policy Institute, 2025, https://tinyurl.com/vevt6kv, **(13.11.2025);**

19. **Yang, Domingo I-Kwei., The Weaponization of BRI in the South Pacific, Defense Security Brief, Institute for National Defense and Security Research, 2022, Pdef.**

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერგრაცია ფინანსურ მენეჯმენტში: ფინანსური შესაძლებლობებისა და რისკების ანალიზი

Integration of a Master's Program in Healthcare Management with Financial Management: Analysis of Financial Opportunities and Risks

ლია ოტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მოწვეული ასისტენტ პროფესორი
Lia Otiashvili
Georgian Technical University
Visiting Assistant Professor

აბსტრაქტი: ჯანდაცვის მენეჯმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯანდაცვის ორგანიზაციების წარმატებაში. მენეჯერის როლი მრავალმხრივია და მრავალფეროვანია მათი ინდივიდუალური სამუშაო გარემოს მიმართ. ეს როლი უნდა იყოს მოქნილი, რათა მოერგოს მუდმივად ცვალებად, ტურბულენტურ ჯანდაცვის ატმოსფეროს. ჯანდაცვის მენეჯმენტი არის მმართველობისა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა ორგანიზაციებისთვის, მათი ქვედანაყოფებისა და დეპარტამენტებისთვის, რომლებიც ჯანდაცვის მომსახურებას სთავაზობენ საზოგადოებას. ჯანდაცვის ორგანიზაციებისა და ორგანიზაციული ქცევის მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების გაგებამ შეიძლება გააძლიეროს ინდივიდის უნარი, გახდეს მოწინავე ლიდერი. ორგანიზაციების ქცევის შესახებ ცოდნის გაღრმავება აუცილებელია ორგანიზაციული წარმატებისთვის. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირებას ფინანსურ მენეჯმენტში, რათა უზრუნველყოს სამომავლოდ კურსდამთავრებულთა მომზადება ცვალებად გარემოსთან მიმართებაში. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს თუ რამდენად მიმზიდველია დღეს ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამები, რამდენად უზრუნველყოფს ასევე არსებული პროგრამები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსურ დაინტერესებას და კურსდამთავრებულები უზრუნველყოფენ თუ არა მომსახურების ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. ნაშრომში გაანალიზებულია ჯანდაცვის სექტორში მენეჯერის პოზიციაზე დასაქმებულთა მხრიდან ჯანდაცვის სექტორის ბიზნესუწყვეტობის პრინციპი, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ფინანსურ უზრუნველყოფას, რა სამომავლო ხედვებით უზრუნველყოფენ ბიზნესუწყვეტობას, სადაც ამავდროულად რა თქმა უნდა გათვალისწინებული იქნება პაციენტის ინტერესებიც. ნაშრომში გაანალიზებულია ასევე ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი სუსტი მხარეები, როგორიც შესაძლოა იყოს თეორიული ცოდნის დაკავშირება პრაქტიკასთან მიმართებაში და ასევე ინოვაციური ხედვები, ფინანსური მხარეების გათვალისწინება მენეჯერული პოზიციიდან გამომდინარე, რაც საბოლოოდ პრაქტიკულ საქმიანობაში იწვევს ფინანსური აზროვნების განვითარების შეფერხებას.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული ავტორის მიერ შემუშავებული ხედვები და სამომავლო რეკომენდაციები, რომელიც რა თქმა უნდა სამომავლოდ ხელს შეუწყობს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დანერგონ ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ჯანდაცვის მენეჯმენტის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამები, რომელიც რა თქმა უნდა იქნება მოთხოვნადი და სამომავლოდ კურსდამთავრებულები შეძლებენ ჯანდაცვის ბიზნესის ფინანსების გონივრულ მართვას, რომლის დროსაც რა თქმა უნდა სამედიცინო მომსახურეობა იქნება ყველასათვის ხელმისაწვდომი.

საკვანძო სიტყვები: ბაზრის მოთხოვნები, მენეჯერული პოზიცია, ბიზნესუწყვეტობის პრინციპი, ჯანდაცვის სექტორი.

Abstract: Healthcare management plays a significant role in ensuring the success of healthcare organizations. The manager's role is multifaceted and dynamic, shaped by the specific work environment, and must remain flexible to adapt to the continuously changing and turbulent healthcare landscape. Healthcare management encompasses the provision of governance and leadership for healthcare organizations, including their units and departments that deliver services to the public. A thorough understanding of the fundamental concepts related to healthcare organizations and organizational behavior can strengthen an individual's capacity to become an effective and forward-thinking leader. Deepening knowledge of organizational behavior is essential for organizational success.

The present paper aims to integrate master's-level educational programs in healthcare management with financial management in order to ensure the future preparedness of graduates to respond to a changing environment. The objective of the study is to determine how attractive healthcare master's programs are today, the extent to which existing programs ensure financial incentives for higher education institutions, and whether graduates are able to establish their position in the service market.

The paper analyzes the principle of business continuity in the healthcare sector from the perspective of individuals employed in managerial positions, examining the extent to which financial sustainability is ensured and what future visions support business continuity, while simultaneously taking patient interests into account. The study also analyzes the main weaknesses of healthcare management educational programs, such as the connection between theoretical knowledge and practical application, innovative perspectives, and consideration of financial aspects from a managerial standpoint, which ultimately leads to limitations in the development of financial thinking in practical activities.

In the concluding part of the paper, the author presents perspectives and future recommendations developed based on the research findings. These recommendations aim to support higher education institutions in implementing integrated healthcare management master's programs aligned with market demands, which are expected to be in demand and enable graduates to manage healthcare business finances effectively, while ensuring that healthcare services remain accessible to all.

Keywords: market demands, managerial position, business continuity principle, healthcare sector.

შესავალი: თანამედროვე ეკონომიკაში ჯანდაცვის სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ და ფინანსურად დატვირთულ სფეროს. ფინანსური მენეჯმენტის ღრმა გააზრებას მოითხოვს სამედიცინო ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირება, მხოლოდ კლინიკური ცოდნით ვერ შემოიფარგლებიან. სწორედ ამიტომ, ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამებში ფინანსური მენეჯმენტის ინტეგრაცია სულ უფრო აქტუალური ხდება, როგორც საგანმანათლებლო, ისე სამედიცინო ,,ბიზნესის" კონტექსტში.

ძირთადი ნაწილი

ჯანდაცვის ორგანიზაციების აღმასრულებელ დირექტორებში მენეჯმენტის კომპეტენციების განვითარების მნიშვნელობის გააზრება ნელა, თუმცა პროგრესირებს. ამის საუკეთესო დასტურია ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მზარდი მოთხოვნა. აღნიშნულ პროგრამებს ახორციელებენ ბიზნეს სკოლები. პროგრამებს ასევე ახორციელბენ სხვადასხვა ხანგრძლივობის დამოუკიდებელი პროგრამების ფორმატშიც და ასევე დამატებითი კურსების ნაკრების სახითაც. აშკარაა, რომ ეროვნული და ინდუსტრიული მასშტაბით ასეთი პროგრამების კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა კვლავ უმნიშვნელოა, მაგრამ მათი არსებობის ფაქტი მნიშვნელოვანი და უაღრესად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებზე გადის.

მენეჯმენტის პროცესში გამოიყენება რამდენიმე პრინციპი, მათ შორის დაგეგმვა, ორგანიზება, პერსონალის შერჩევა, კონტროლი, გადაწყვეტილების მიღება და ხელმძღვანელობა. დაგეგმვა წარმოადგენს იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს, როდის უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა გაკეთდეს და ვინ უნდა გააკეთოს ეს.

ორგანიზება მოიცავს აქტივობების იდენტიფიცირებას, კლასიფიკაციას და განაწილებას. პერსონალი მოიცავს შესაბამისი, კვალიფიციური ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას დაქირავების, შერჩევის, ტრენინგისა და დასაქმების გზით.

მიმართულება გულისხმობს ორგანიზაციის განვითარების უზრუნველყოფას ეფექტიანი ლიდერობის, კომუნიკაციისა და მოტივაციის გზით. კოორდინაცია გულისხმობს გუნდების განვითარებას საერთო მიზნების მისაღწევად. კონტროლი გულისხმობს სტანდარტების

დადგენას, შესრულების გაზომვას და საჭიროების შემთხვევაში მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას.

ყოველივე აღნიშნული კი რა თქმა უნდა ფინანსურ უზრუნველყოფასაც გულისხმობს.

უნდა აღინიშნოს, ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ჯანდაცვის სისტემები ხასიათდება მზარდი ფინანსური სირთულეებით, რესურსების შეზღუდულობითა და ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობით. ამ პირობებში კი ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში ფინანსური მენეჯმენტის ინტეგრაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს მენეჯერული კომპეტენციების განვითარებისთვის. ფინანსური მენეჯმენტი უზრუნველყოფს მომავალი ჯანდაცვის მენეჯერების უნარს, გაანალიზონ ხარჯები, შემოსავლები, ბიუჯეტირება და ინვესტიციების ეფექტიანობა, როგორც საგანმანათლებლო, ისე სამედიცინო ორგანიზაციების კონტექსტში. ინტეგრაციის მიზანს კი წარმოადგენს პრაქტიკული ფინანსური უნარებისა და თეორიული ცოდნის სინთეზი, რომელიც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების მიღებას მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფინანსური ანალიზის საფუძველზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ მენეჯმენტთან ინტეგრაცია შექმნის რიგ ფინანსურ შესაძლებლობებს. უპირველეს ყოვლისა, გაიზრდება პროგრამის კონკურენტუნარიანობა და მიმზიდველობა პოტენციური სტუდენტებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა რაოდენობის ზრდასა და შემოსავლების სტაბილურობას. მეორე მხრივ კი, ინტეგრირებული პროგრამები გააძლიერებს უნივერსიტეტების შესაძლებლობას, მოიზიდონ საერთაშორისო გრანტები, პარტნიორული პროექტები და დაფინანსება, რომლებიც ორიენტირებულია ჯანდაცვის ეკონომიკასა და მენეჯმენტზე. ფინანსური მენეჯმენტის კომპონენტი ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო რესურსების უფრო რაციონალურ განაწილებას და პროგრამის თვითდაფინანსების პოტენციალის ზრდას.

რაც შეეხება სამედიცინო ორგანიზაციებისთვის ფინანსურად განათლებული მენეჯერების მომზადება წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობას. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში ფინანსური მენეჯმენტის ინტეგრაცია ხელს შეუწყობს ისეთი კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ სამედიცინო დაწესებულებების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას. ჯანდაცვის სექტორში კი ფინანსური მდგრადობა მოიცავს ხარჯების კონტროლს, მომსახურების თვითღირებულების განსაზღვრას, ფინანსური რისკების შეფასებასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად კი, სამედიცინო ორგანიზაციები იღებენ შესაძლებლობას გაზარდონ ეფექტიანობა და შეამცირონ ფინანსური დანაკარგები მაქსიმალურად.

არსებული შესაძლებლობების მიუხედავად, ფინანსური მენეჯმენტის ინტეგრაციას თან ახლავს გარკვეული რისკები. საგანმანათლებლო დონეზე ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს კადრების კვალიფიკაცია, ვინაიდან ინტეგრირებული პროგრამის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს, როგორც ჯანდაცვის, ისე ფინანსური მენეჯმენტის კომპეტენციის მქონე აკადემიურ პერსონალს. სამედიცინო სექტორში რისკები უკავშირდება ფინანსური გადაწყვეტილებების ზედმეტად ეკონომიკურ ჭრილში აღქმას, რაც შესაძლოა კონფლიქტში მოვიდეს პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომასთან. გარდა ამისა, ფინანსური ინსტრუმენტების არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გაზარდოს ორგანიზაციული რისკები და დააზიანოს სამედიცინო მომსახურების ხარისხი. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრაციას ფინანსური მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამაში

შესაძლებელია, რომ გააჩნდეს, როგორც რიგი ნაკლოვანებები ასევე რიგი დადებითი მხარეები. ერთ-ერთ ასეთ დადებით ფაქტორად შეგვიძლია, რომ განვიხილოთ ინტეგრაციის ეფექტიანობა, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწავლის შინაარსის ბალანსზე, ინტერდისციპლინურ მიდგომებსა და პრაქტიკულ კომპონენტებზე. ფინანსური მენეჯმენტი უნდა აღიქმებოდეს არა როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, არამედ, როგორც ინსტრუმენტი ჯანდაცვის მენეჯმენტის მიზნების მისაღწევად.

სისტემური და ეტაპობრივი ინტეგრაცია ხელს შეუწყობს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე ჯანდაცვის ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის ზრდას.

კვლევაში მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები და მონაწილეები: სტატიაზე მუშაობისას კვლევა განხორციელდა შერეული კვლევის მეთოდის გამოყენებით (Mixed Methods), რომელიც განპირობებულია კვლევის მიზნებით და მოითხოვს, როგორც სიღრმისეულ ინტერპრეტაციას ასევე რიცხვობრივ მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიზს ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მენეჯმენტთან ინტეგრაციის კონტექსტში.

კვლევის განხორციელების მიზანს წარმოადგენდა ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მენეჯმენტთან ინტეგრაციის შეფასება, ფინანსური შესაძლებლობების გამოკვეთა და რისკების გაანალიზება.

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, ასევე საკვლევი საკითხის მიზნიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ მიზნობრივი (purposeful) შერჩევის მეთოდი. მიზნობრივი შერჩევის მეთოდის გამოყენების გზით კვლევაში ჩართულ იქნენ უშუალოდ ის მონაწილეები, რომლებიც არიან დაკავშირებულნი ჯანდაცვისა და ფინანსური მენეჯმენტის საგანმანათლებლო ან პრაქტიკულ საქმიანობასთან.

კვლევაში მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა უპირატესობა მივანიჭეთ:

აკადემიურ კვალიფიკაციას, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები უნდა ყოფილიყვნენ:

- ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მოქმედი სტუდენტები ან კურსდამთავრებულები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ჯანდაცვის სექტორში;
- შესაბამისი პროგრამების აკადემიური პერსონალი (პროგრამის ხელმძღვანელები და ლექტორები);
- ჯანდაცვის ეკონომიკის და ფინანსური მენეჯმენტის მიმართულების სპეციალისტები.
- ჯანდაცვის ორგანიზაციების ფინანსური მენეჯერები ან ადმინისტრაციული ხელმძღვანელები.

პროფესიულ კვალიფიკაციას, რომლის ფარგლებშიც შევარჩიეთ მიზნობრივი აუდიტორია იმის გათვალისწინებით, რომ უნდა ჰქონოდათ:

- მინიმუმ 2-3 წლიანი სამუშაო გამოცდილება უნდა ჰქონოდა ჯანდაცვის ორგანიზაციებში;
- უნდა ჰქონოდა გამოცდილება ფინანსური დაგეგმვის, ბიუჯეტირების ან ფინანსური რისკების მართვის სფეროში.

კვლევაში ჩაერთნენ ის რესპოდენტები, რომლებიც მონაწილეობდნენ შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავებაში ან განახლებაში და ფინანსური მენეჯმენტის სწავლების პროცესში ჯანდაცვის კონტექსტში. კვლევაში ჩართულმა ყველა მონაწილემ რა თქმა უნდა გამოთქვა ნებაყოფლობითი თანხმობა და იცოდა ასევე კვლევის მიზნები, კონფიდენციალურობის პირობები და მონაცემთა გამოყენების პრინციპები.

კვლევაში მონაწილეთა ასეთი სტრუქტურა შესაძლებელს ხდის შეფასდეს ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ მენეჯმენტთან ინტეგრაცია, როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული პერსპექტივიდან, რაც ზრდის რა თქმა უნდა კვლევის შედეგების სანდოობასა და გამოყენებადობას.

მონაწილეთა ჯგუფი	აღწერა	მონაწილეთა რაოდენობა
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები	ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მოქმედი სტუდენტები	35
კურსდამთავრებულები	პროგრამის კურსდამთავრებულები, დასაქმებულნი ჯანდაცვის სექტორში	20
აკადემიური პერსონალი	ლექტორები, პროგრამის ხელმძღვანელები, განათლების ექსპერტები	15
პრაქტიკოსი მენეჯერები	ჯანდაცვის ორგანიზაციების ფინანსური მენეჯერები ან ადმინისტრაციული ხელმძღვანელები	10
სულ:		80

კვლევის მონაცეთა შეგროვების მეთოდები

რაოდენობრივი მონაცემები შეგროვებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც განკუთვნილი იყო სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. კითხვარი შედგენილ იყო დახურული ტიპის კითხვებისგან და ასევე მოიცავდა ლიკერტის სკალასაც, რომელიც გამოიყენებოდა:

- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული შესაბამისობის შეფასების მისაღებად;
- ფინანსური შესაძლებლობებისა და რისკების აღქმის გასაზომად;
- ფინანსური მენეჯმენტის კომპონენტების ინტეგრაციის ხარისხის შეფასებისთვის.

თვისებრივი კვლევის შედეგები შეგროვებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების საშუალებით, რომელიც ჩავატარეთ, როგორც აკადემიურ პერსონალთან ასევე ჯანდაცვის ორგანიზაციების პრაქტიკოს მენეჯერებთან. ინტერვიუები მოიცავდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის ფინანსური მენეჯმენტის სწავლების გამოწვევები, შესაძლებლობების იდენტიფიცირება, პროგრამის ინტეგრაციის პროცესების დროს არსებული რისკების სიღრმისეულ ანალიზი და საგანმანათლებლო და პრაქტიკული სფეროების ურთიერთკავშირის შეფასება. შეგროვებული მონაცემები კი გაანალიზებულ იქნა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით.


კვლევა ჩატარებულ იქნა ეთიკური ნორმების დაცვით, ყველა მონაწილეს მივაწოდეთ ინფორმაცია კვლევის მიზნების შესახებ, მონაცემების გამოყენებისა და კონფიდენციალურობის შესახებ, ხოლო მიღებული მონაცემები კი გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ მხოლოდ აკადემიური მიზნებისთვის და დაცულ იქნა მონაწილეთა ანონიმურობა.

კვლევის შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია

კვლევის ფარგლებში დამუშავებულ იქნა შეგროვებული მონაცემები. შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ ჩვენი რესპოდენტების უმრავლესობა აფასებს დადებითად ჯანდაცვის

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში ფინანსური მენეჯმენტის კომპონენტების ინტეგრაცის მნიშვნელობას. გამოკითხული რესპოდენტთა დაახლოებით 72 % თვლის, რომ ფინანსური მენეჯმენტის საგნები ხელს უწყობს სტუდენტებში პროფესიული კომპეტენციის განვითარებას, განსაკუთრებით ბიუჯეტირების, ფინანსური დაგეგმვისა და რესურსების ეფექტიანი მართვის მიმართულებით, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დაახლოებით 18 % გამოხატავს ნეიტრალურ დამოკიდებულებას, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პრაქტიკული კომპონენტების სიმცირით და კვლევაში მონაწილეთა საშუალოდ 10 % კი ნაკლებ კმაყოფილებას გამოხატავს პროგრამის ფინანსური მიმართულებით ინტეგრაციის მიმართ.


დიაგრამა N1. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერგრაციის მნიშვნელობის შეფასება ფინანსურ მენეჯმენტში:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპოდენტთა 72 % ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ფინანსური მენეჯმენტის ინტეგრაციას აფასებს, როგორც მნიშვნელოვან საჭიროებად, რაც რა თქმა უნდა მიუთითებს პროგრამის მაღალი საჭიროების აღქმაზე.

თუ ჩაუღრმავდებით ინტეგრაცის მნიშვნელობას, ალბათ შეგვიძლია მივიდეთ იმ დასკვნამდეც, რომ პროგრამა გაზრდის შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობას და გააძლიერებს კარიერული განვითარების პერსპექტივებს. რა თქმა უნდა არ უნდა გამოგვრჩეს რისკების აღქმაც, რაც შესაძლებელია ფინანსური მენეჯმენტის სწავლებისას გამოიკვეთოს, ერთ-ერთ ასეთ რისკად კი შეგვიძლია დავასახელოთ ფინანსური მენეჯმენტის სწავლება შესაძლოა ატარებდეს მეტწილად მხოლოდ თეორიულ ხასიათს და ნაკლებად იყოს მორგებული რეალურ ჯანდაცვის ორგანიზაციულ პრაქტიკაზე.

დიაგრამა N2 ფინანსური მენეჯმენტის ინტერპრეტაციის შესაძლებლობების აღქმა ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში



როგორც დიაგრამიდან ჩანს ყველაზე მეტად იკვეთება შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობები, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ფინანსური მენეჯმენტის ინტეგრაცია შრომით ბაზარზე ნამდვილად გაზრდის კონკურენტუნარიანობას. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ასევე ძირითადი რისკები, რომელიც დაკავშირებულია სწავლების თეორიულ ხასიათთა და პრაქტიკული ელემენტების სიმცირესთან. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ინტეგრაციის საჭიროება, რასაც რესპოდენტთა 72 % ადასტურებს, გამოიკვეთა ასევე პრაქტიკული სწავლების მოთხოვნა (41 %) და პროგრამების გაუმჯობესების საჭიროება.

აკადემიური პერსონალის და პრაქტიკოსი მენეჯერების ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხი:

პირველი და მნიშვნელოვანი: ფინანსური შესაძლებლობები, რომელთა შორისაც გამოიკვეთა:

- ფინანსური გადაწყვეტილებების მიზანმიმართულობის გაუმჯობესება;
- ჯანდაცვის ორგანიზაციებში რესურსების ეფექტიანი განაწილება;
- სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობების ზრდა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, იგი ეხება ძირითადად ფინანსურ რისკებს, რომლებიც რესპოდენტების აზრით, უმეტესწილად უკავშირდება:

- სასწავლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტების არასაკმარის მოცულობას;
- აკადემიურ და პრაქტიკულ სფეროეს შორის კავშირის სისუსტეს.

რაოდენობრივმა და თვისებრივმა კვლევის შედეგების ანალიზმა დაგვანახა, რომ ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ფინანსური მენეჯმენტის ინტეგრაცია აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, მაგრამ ამავე დროს გარკვეულ რისკებთანაც არის დაკავშირებული.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემებით დაფიქსირებული მაღალი მხარდაჭერა ფინანსური კომპონენტების მიმართ თანხვედრაშია თვისობრივ ინტერვიუებში გამოთქმულ მოსაზრებებთან. კვლევა ცხადყოფს, რომ პროგრამის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად

იზრდება იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური მენეჯმენტის სწავლება ემყარება პრაქტიკულ მაგალითებს, ქეისებსა და რეალურ ფინანსურ მონაცემებზე მუშაობას.

შედეგების ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ არსებული რისკები არ წარმოადგენს ინტეგრაციის უარყოფის საფუძველს, არამედ ხაზს უსვამს პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების აუცილებლობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმის სტრუქტურული გადახედვა, ფინანსური საგნების თანმიმდევრული ინტეგრაცია და პრაქტიკული სწავლების გაძლიერება.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრაცია ფინანსურ მენეჯმენტში ქმნის მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და პროფესიულ შესაძლებლობებს. ამავდროულად, გამოვლენილი ფინანსური რისკები მიუთითებს პროგრამის განვითარების საჭიროებაზე, რათა გაიზარდოს მისი პრაქტიკული ღირებულება და შესაბამისობა ჯანდაცვის სექტორის რეალურ მოთხოვნებთან.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს პროგრამის შემდგომი განვითარებისა და დახვეწის საჭიროებას, განსაკუთრებით პრაქტიკული სწავლების გაძლიერებისა და ფინანსური კომპონენტების თანმიმდევრული ინტეგრაციის თვალსაზრისით. რეკომენდირებულია შემთხვევითი ან რეალური ჯანდაცვის მონაცემების გამოყენება, რაც გაზრდის პროგრამის ეფექტიანობას და პრაქტიკულობას.

სამომავლო ხედვა

სამომავლოდ რეკომენდირებულია ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური კომპონენტების შემდგომი გაძლიერება და პრაქტიკულად ორიენტირებული სწავლების მოდელების განვითრება. გარდა აღნიშნულისა სასურველია სამომავლოდ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნა, რომელიც პერიოდულად გაზომავს, როგორც ფინანსური კომპეტენციების განვითარებას, ისე რისკების ეფექტიან მართვას. სასურველია ასევე სამომავლოდ გაფართოვდეს კვლევები სხვა ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე, რათა შედარებითი ანალიზი გაკეთდეს და გამოიკვეთოს საუკეთესო პრაქტიკები. შედეგად, პროგრამის პრაქტიკული დახვეწა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა უზრუნველყოფს არა მხოლოდ სტუდენტთა კვალიფიკაციის გაუმჯობესებას, არამედ ჯანდაცვის ორგანიზაციებში ფინანსური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის ზრდას, რომლის შედეგადაც გაძლიერდება სისტემური მდგრადობა და გაუმჯობესდება ჯანდაცვის სისტემის ხარისხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გერზმავა ო. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, თბილისი 2016 წ.
2. ვერულავა თ. ,,ჯანდაცვის პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციოლოგიის აქტუალური საკითხები“, თბილისი 2019 წ.
3. Dorothy Howell; Whitney Hamilton; Melissa Jordan - The Fundamentals of Healthcare Administration https://web.ung.edu/media/university-press/fundamentals-of-healthcare-administration.pdf?t=1751241600035
4. Kristina Russo, Healthcare Financial Management: An Expert Guide, 2023

Reviewing healthcare financial management: Strategies for cost-effective care, World Journal of Advanced Research and Reviews, 2024, 21(02), 958–966 https://wjarr.com/sites/default/files/WJARR-2024-0523.pdf

აუდიტისა და ფინანსური არბიტრაჟის სინერგია: გლობალური მიდგომები და პრაქტიკა
Synergy of Audit and Financial Arbitration: Global Approaches and Practices

ელენე გაბაძე
ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტის დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Elene Gabadze
Doctoral Student, Department of Business Administration
Georgian Technical University

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატია განიხილავს აუდიტისა და ფინანსური არბიტრაჟის სინერგიას, როგორც ფინანსური დავების ეფექტიანი და ობიექტური გადაწყვეტის თანამედროვე მექანიზმს გლობალურ ეკონომიკურ გარემოში. კვლევაში გაანალიზებულია აუდიტის როლი ფინანსური ინფორმაციის სიზუსტისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში, ასევე ფინანსური არბიტრაჟის მნიშვნელობა ალტერნატიული დავების გადაწყვეტის პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტს, რომ აუდიტორული დასკვნები და ფინანსური ანალიზი ხშირად წარმოადგენს გადამწყვეტ მტკიცებულებას არბიტრაჟის პროცესში, რაც ზრდის გადაწყვეტილებების სამართლიანობასა და სანდოობას. სტატიაში განხილულია საერთაშორისო პრაქტიკა, სხვადასხვა იურისდიქციებში არსებული მიდგომები, ინსტიტუციური არბიტრაჟის როლი და თანამშრომლობისას წარმოშობილი ძირითადი გამოწვევები. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აუდიტისა და ფინანსური არბიტრაჟის კოორდინირებული გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ფინანსურ და სამართლებრივ რისკებს, აუმჯობესებს ბიზნესგარემოს სტაბილურობას და ხელს უწყობს გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების მდგრად განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი; ფინანსური არბიტრაჟი; ფინანსური დავები; საერთაშორისო პრაქტიკა; ინსტიტუციური არბიტრაჟი; გამჭვირვალობა; ფინანსური ანგარიშგება; გლობალური ეკონომიკა.

Abstract. This article examines the synergy between audit and financial arbitration as an effective and objective mechanism for resolving financial disputes in the global economic environment. The study analyzes the role of audit in ensuring the accuracy, transparency, and reliability of financial information, as well as the importance of financial arbitration as an alternative dispute resolution mechanism. Special attention is given to the fact that audit reports and financial analyses often serve as crucial evidence in arbitration proceedings, enhancing the fairness and credibility of arbitral decisions. The article reviews international practices, approaches across different jurisdictions, the role of institutional arbitration, and key challenges arising from the cooperation between auditors and arbitrators. The findings indicate that the coordinated use of audit and financial arbitration significantly reduces financial and legal risks, strengthens business stability, and contributes to the sustainable development of global economic relations.

Keywords: Audit; Financial Arbitration; Financial Disputes; International Practice; Institutional Arbitration; Transparency; Financial Reporting; Global Economy.

შესავალი

ფინანსური კონფლიქტები გლობალურ ეკონომიკაში უამრავი გამოწვევის წინაშე აყენებს კომპანიებს, მთავრობებსა და ინდივიდებს. დავები შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა მიზეზების გამო, როგორიცაა კონტრაქტის დარღვევები, საგადასახადო დავები, ინვესტირებისა და ინტერესთა კონფლიქტები. ასეთი საკითხების გადაწყვეტა ხშირად ძალიან კომპლექსური და დროში გაწელილი პროცესია. სწორედ აქ ერთვება პროცესში აუდიტი და ფინანსური არბიტრაჟი- ორი მძლავრი ინსტრუმენტი, რომლებიც ხელს უწყობენ ფინანსური სისტემის სტაბილურობასა და ინვესტორების უფლებების დაცვას.

აუდიტი როგორც დამოუკიდებელი და ობიექტური პროცესი, უზრუნველყოფს სანდო და მართებული ინფორმაციის მიწოდებას ფინანსურ საკითხებზე. ფინანსური არბიტრაჟი კი, როგორც ალტერნატიული დავების გადამწყვეტი მექანიზმი არეგულირებს და აგვარებს კონფლიქტებს სასამართლო პროცესების გარეშე.

ამ ორი ინსტრუმენტის სინერგია, მათი გაერთიანება, საშუალებას იძლევა, რომ ფინანსური დავები უფრო სწრაფად და ეფექტურად გადაწყდეს, ხოლო მხარეებმა მიიღონ სანდო და

უტყუარი გადაწყვეტილებები. ეს სტატია ემსახურება აუდიტის და ფინანსური არბიტრაჟის ურთიერთობებსა და გლობალურ მიდგომებს, რომლებიც ამ პროცესებში წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია.

აუდიტი და მისი როლი ფინანსურ დავებში

აუდიტი წარმოადგენს ფინანსური სისტემის ერთ-ერთ ყველაზე სანდო და ობიექტურ ინსტრუმენტს, რომელიც არა მხოლოდ ზუსტად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, არამედ ამჟღავნებს იმ საფრთხეებსაც, რაც შეიძლება მომავალში პრობლემად იქცეს.

ფინანსური დავების დროს აუდიტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ის ხშირად წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან მტკიცებულებას, რომელიც ეხმარება მხარეებს აჩვენონ, ჰქონდათ თუ არა ფინანსური ანგარიშგებები სწორად, სტანდარტების შესაბამისად წარმოებული. ასეთ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გადაწყვეტილება მიღებულ იქნას მხოლოდ რეალურ და სანდო ფაქტებზე დაყრდნობით.

ფინანსური დავები ხშირად უკავშირდება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, კონტრაქტების შესრულებას ან სხვა სამართლებრივ საკითხებს, სადაც შესაძლებელია ისეთი დარღვევების აღმოჩენა, რაც ფინანსურ ზარალამდე მიდის.

მაგალითად, როდესაც ერთი მხარე უჩივის კომპანიას იმ მიზეზით, რომ არასწორად გააკეთა გადასახადების აღრიცხვა და მოითხოვს კომპენსაციას, აუდიტის დასკვნა შეიძლება გახდეს ის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს – ნამდვილად იყო თუ არა ანგარიშგება შეცდომით ან არაკეთილსინდისიერად შესრულებული.

აუდიტორები ასევე აფასებენ კომპანიის ფინანსურ სისტემებს და შიდა კონტროლის მექანიზმებს იმის დასადგენად, რამდენად გამჭვირვალედ და ეფექტიანად იმართება ორგანიზაციის ფინანსები. ამ პროცესში ისინი წარმოადგენენ ობიექტურ შეფასებას იმაზე, რამდენად სწორად შესრულდა ფინანსური ოპერაციები, გადასახადების გადახდა ან კონტრაქტის პირობები.

თუმცა აუდიტის როლი მხოლოდ ფინანსური დოკუმენტების გადამოწმებით არ შემოიფარგლება. ის მოიცავს კომპანიის საბუღალტრო პრაქტიკისა და მეთოდების ანალიზსაც — მათ შორის იმასაც, შეიძლებოდა თუ არა გარკვეული დარღვევების თავიდან აცილება.

როდესაც აღმოჩნდება რეგულაციების ან ფინანსური წესების დარღვევა, აუდიტორები ხშირად გასცემენ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ეს ხარვეზები. მათი მიზანია, მომავალში დოკუმენტაცია იყოს უფრო სანდო, გამჭვირვალე და დაცული სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური არბიტრაჟი : კონცეფცია და მექანიზმები

ფინანსური არბიტრაჟი არის ალტერნატიული გზა, რომლის მეშვეობითაც ფინანსური დავების გადაჭრა შესაძლებელია სასამართლოს გარეშე. მისი მთავარი ფუნქციაა დაეხმაროს მხარეებს ისეთი ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა გადასახადების დავები, კონტრაქტის დარღვევები ან ფინანსური ანგარიშგებების სიზუსტე.

მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟი ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, იურისდიქციების მიხედვით მასში შეიძლება არსებობდეს მცირე განსხვავებები. სწორედ ეს მრავალფეროვნება ზრდის სისტემის მოქნილობას და საშუალებას იძლევა, რომ პროცესი ადაპტირდეს კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ და ეკონომიკურ გარემოსთან.

ფინანსური არბიტრაჟის საფუძველი შეთანხმებაა – როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განიხილოს დამოუკიდებელმა არბიტრმა, რომელსაც მათივე ნდობა აქვს. არბიტრი

დეტალურად სწავლობს საქმეს და იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც სამართლებრივად სავალდებულოა.

არბიტრაჟი განსაკუთრებით ეფექტურია ისეთ საქმეებში, როგორიცაა:

- კონტრაქტული დარღვევები,
- ფინანსური ზარალის ან მორალური ზიანის ანაზღაურება,
- არასწორად შედგენილი ფინანსური ანგარიშგებები,
- საგადასახადო კონფლიქტები.

მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD), არბიტრაჟი ხშირად გამოიყენება ფინანსური დავების გადასაჭრელად.

ამ პროცესში აუდიტი ხშირად თამაშობს გადამწყვეტ როლს. როცა მხარეებს შორის გაჩნდება დავა ფინანსური ანგარიშგებების სიზუსტეზე, აუდიტორების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ეხმარება არბიტრს, რომ მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება. აუდიტის საფუძველზე გაცემული ანალიზი უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ეხმარება ორივე მხარეს, რომ დარწმუნდნენ პროცესის სამართლიანობაში.

ფინანსური არბიტრაჟის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ინსტიტუციური არბიტრაჟი – ეს ნიშნავს, რომ დავა განიხილება სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობით, რომელიც ადგენს კონკრეტულ წესებსა და პროცედურებს. ასეთ ორგანიზაციებად ითვლება, მაგალითად:

- საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC)
- ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის სასამართლო (LCIA)

ამ ორგანიზაციების მიერ დადგენილი სტანდარტები უზრუნველყოფს პროცესის სტაბილურობას, სამართლიანობასა და მაღალი დონის პროფესიონალიზმს.

სინერგია: აუდიტისა და არბიტრაჟის თანამშრომლობა

აუდიტი და ფინანსური არბიტრაჟი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ეს ორივე პროცესი ემსახურება იმას რომ ფინანსური დავები ობიექტუად, სწრაფად და ეფექტიანად გადაწყდეს. აუდიტორები უზრუნველყოფენ ისეთ ინფორმაციას რომელიც შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს არბიტრაჟის მსვლელობისას. სწორედ ამიტომ როდესაც მხარეები მიმართავენ ფინანსურ არბიტრაჟს, მათი საქმე შესაძლოა ბევრად უფრო გამარტივეს იმ შეთვევაში, თუ აუდიორები წარადგენენ სათანადო დოკუმენტაციას და აღნიშნავენ აღმოჩენილ კრიტიკულ შეცდომებს.

ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საერთაშორისო ფინანსური კონფლიქტები, რომელშიც ხშირად იწვევენ აიდიტორებს როგორც ძირითად მტკიცებულებათა წყაროდ. მაგალითად, როდესაც ერთი მხარე უარყოფს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ ანგარიშგებას, აუდიტი შეიძლება იყოს ის ინსტრუმენტი, რომელიც ადასტურებს რამდენად სწორად თუ არასწორადაა საკითხი. სწორედ ამის შემდეგ, არბიტრი ეყრდნობა აუდიტის დასკვნებს და იღებს გადაწყვეტილებას რომელიც არის სამართლიანი და ობიექტური.

ამასთანავე, თუ აუდიტორული დოკუმენტაცია არ არის სწორად წარმოებული, ეს შეიძლება შეიძლება გახდეს არბიტრაჟში მნიშვნელოვანი პრობლემა, იმიტომ რომ არასწორმა ინფორმაციის წარდგენამ ან არასაკმარისმა მტკიცებულებებმა შეიძლება არბიტრის გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს.

აუდიტისა და ფინანსური არბიტრაჟის თანამშრომლობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტური მექანიზმს რომელიც მხარეებს საშუალებას აძლევს, სწრაფად და ზუსტად გადაჭრას

ფინანსური დავები. ეს ორი ინსტრუმენტი მიუხედავად იმისა რომ დამოუკიდებლად მოქმედებენ, ერთმანეთს ურთულეს ფუნანსურ საკითხებში ეხმარებიან. მათი თანამშრომლობა წარმოადგენს გამჭვირვალე, ობიექტურ და ეფექტურ გზას რათა გადაჭრან ისეთი კონფლიქტები რომლებიც ფინანსურ ზარალსა და სამართლებრივ სირთულეებს მოიცავს.

შესაძლო გამოწვევები: აუდიტსა და არბიტრაჟის თანამშრომლობა

როცა საქმე თანამშრმლობას ეხება ყველა სფეროში გარკვეული სახის გამოწვევები არსებობს. განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე ეხება ასეთ კომპლექსურ საკითხეს როგორიცაა ფინანსები. არბიტრაჟში აუდიტის გამოყენებისას ერთ-ერთი დიდი გამოწვევა არის მტკიცებულებების ხარისხი. მოუხედავად იმისა, რომ აუდიტორები მოიცავენ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციებს მათი მხრიდან წარმოდგენილი მონაცემები ყოველთვის არ არის სრულიად ხელმისაწვდომი ან სრულიად აშკარა.

ერთი მხრივ, შესალოა კომპანიებს ჰქონდეთ ისეთი ინფორმაცია რომელსაც არ უმხელენ აუდიტორებს რადგან მათი აზრით შეიცავს კომფიდენციალურ მონაცემებს. ეს რისკი არბიტრაჟის პროცესში ახალი გამოწვევაა, რადგან მხარეებმა შეიძლება წამოაყენონ სხვადასხვა მოსაზრებები და შეარჩიონ ის დოკუმეტაციები რომლებიც მათთვის უფრო ხელსაყრელი და გამოყენებადია. სწორედ ასეთ შემთვევაში მათ მიერ წაროდგენილი ფინანსური ანგარიშგებები რომლებიც არ არის სრულად წაროდგენილი შეიძლება გამოუსადეგარი გახდეს არბიტრაჟისთვის.

მეორე მხრივ, აუდიტორებს შეუძლიათ გამოავლინონ ისეთი ხარვეხები რომელსაც არბიტრჟისთვის იმდენად დიდი მნიშვნელობა არ ქონდეს და არ განახორციელოს არბიტრის გადაწყვეტილებაზე გავლენა. მაგალითად მცირედმა დარღვევებმა შესაძლოა იმოქმედოს მხოლოდ მიკრო დონეზე და არა იმ გლობალურ სამართლებრივ პირობებზე რამაც შესაძლოა საბაზრო გადაწყვეტილების მიღებაზე იმოქმედოს.

სინერგიის შედეგები: როგორ იცვლება პრაქტიკა

როდესაც საქმე საერთაშორისო დავებს და ბიზნეს ვაჭრობას ეხება, აუდიტისა და არბიტრაჟის ერთობლივი მუშაობა ხშირად ქმნის ძლიერ და ეფექტურ შედეგს. საერთაშორისო ბიზნესში, სადაც კომპანიები ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში არიან აქტიურები, მნიშვნელოვანია არსებობდეს სტანდარტები და რეფორმები, რომლებიც ყველას ერთნაირ სტანდარტებზე გადაიყვანს. ამ გზით, ყველა მხარე დარწმუნებულია, რომ ფინანსური დოკუმენტაცია, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, სანდოა როგორც სასამართლოსთვის, ისე არბიტრაჟისთვის.

ინვესტორები ხშირად მიმართავენ არბიტრაჟს, როდესაც მათი საქმიანობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ასეთ პროცესებში აუდიტი ეხმარება მათ, რომ ყველაფერი იყოს გამჭვირვალე და ობიექტური. მაგალითად, საერთაშორისო არბიტრაჟული ორგანიზაცია – საერთაშორისო სავაჭრო პალატა (International Chamber of Commerce ICC) – ბევრ შემთხვევაში ითხოვს არა მხოლოდ ზოგად მტკიცებულებებს, არამედ აუდიტორულ ანალიზსაც, რათა ფინანსური საკითხები ზუსტად გაირკვეს და გადაწყვეტილება სამართლიანად იქნას მიღებული.

სინერგიის გამორჩეული მაგალითი

სხვადასხვა ქვეყანაში არბიტრაჟისა და აუდიტის პროცესებს განსხვავებული სამართლებრივი და ფინანსური სტანდარტები აქვს, რაც პროცესების ეფექტურობაზე დიდ გავლენას ახდენს. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო პრაქტიკაში გაჩნდა მოთხოვნა ისეთი საერთო მიდგომების შექმნაზე, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ინტერესებს.

მაგალითად, ევროკავშირი ცდილობს ერთიანი არბიტრაჟის პრინციპების ჩამოყალიბებას, ხოლო

აშშ-ში პოპულარულია ინსტიტუციური არბიტრაჟი, რომელსაც ამერიკული არბიტრაჟის ასოციაცია (American Arbitration Association AAA) ახორციელებს.

ასეთი საერთაშორისო თანამშრომლობის წარმატებული მაგალითია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინვესტორებსა და სახელმწიფოებს შორის წარმოშობილი დავები, სადაც ხშირად გამოიყენებოდა აუდიტორული დოკუმენტები არბიტრაჟის პროცესში. განსაკუთრებით საინტერესოა ერთ-ერთი საქმე ამსტერდამის საერთაშორისო სავაჭრო სასამართლოში, სადაც მხარეებმა წარადგინეს დეტალური აუდიტის დოკუმენტაცია ფინანსური ანგარიშგებების დასამტკიცებლად. შედეგად, არბიტრმა მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება, რაც დაეხმარა მხარეებს მოლაპარაკებაში და შეთანხმების მიღწევაში.

ასეთი მაგალითები აჩვენებს, რამდენად ეფექტიანია აუდიტისა და არბიტრაჟის სინერგია – როცა ორივე პროცესი ერთად გამოიყენება, შესაძლებელია კომპლექსური ფინანსური კონფლიქტების სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტა.

გლობალური მიდგომები: აუდიტი და არბიტრაჟი სხვადასხვა ქვეყნებში

ბოლო წლებში გაჩნდა საჭიროება ისეთი გლობალური წესების შემუშავებაზე, რომლებიც მოერგება სხვადასხვა ქვეყნის მოთხოვნებს და ინტერესებს – როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამას იწვევს ის, რომ ქვეყნებში განსხვავებულია ფინანსური და სამართლებრივი წესები, რაც ხშირად გავლენას ახდენს არბიტრაჟისა და აუდიტის პროცესზე.

ფინანსური არბიტრაჟის უნივერსალური მოდელი არ არსებობს. თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი წესები და მიდგომები. მაგალითად, ევროკავშირში ცდილობენ ისეთი ერთიანი პრინციპების ჩამოყალიბებას, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო საკითხებს ეფექტურად მოაგვარებს. ამერიკაში კი უფრო გავრცელებულია ინსტიტუციური არბიტრაჟი – ასეთი ორგანიზაციაა, მაგალითად, ამერიკული არბიტრაჟის ასოციაცია (AAA), რომელიც ფინანსური კონფლიქტების სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტაზეა პასუხისმგებელი.

ერთ-ერთი მაგალითია საქმე „ABB Construction“-სა და „ჩინურ სტრუქტურას“ შორის 2018 წელს. ეს იყო გრძელვადიანი კონტრაქტული დავა, რომელშიც მონაწილეობდნენ კომპანიები და სახელმწიფო წარმომადგენლებიც. მათ არჩიეს საერთაშორისო ფინანსური არბიტრაჟი, რის შედეგადაც საქმე მათ სასარგებლოდ მოგვარდა. ამის შემდეგ მხარეებმა თანამშრომლობა გააგრძელეს და ახალ შეთანხმებასაც მიაღწიეს. ამ პროცესში აუდიტი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა – მან მხარეებს დახმარება გაუწია ფინანსური უთანხმოებების მოგვარებაში და სამართლებრივი თანხმობის მიღწევაში.

პრაქტიკა და გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ აუდიტისა და ფინანსური არბიტრაჟის თანამშრომლობა დიდ შესაძლებლობებს ქმნის, მათი სინერგია სრულყოფილი მაინც არ არის და მასთან ერთად მრავალი პრაქტიკული გამოწვევაც დგება დღის წესრიგში.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ აუდიტორები ზოგჯერ ვერ ასწრებენ საჭირო დოკუმენტაციის დროულ და სრულად წარმოდგენას, რაც აფერხებს არბიტრაჟის პროცესს. მაგალითად, რამდენიმე ქვეყნის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა) კანონმდებლობა კომპანიებს საშუალებას აძლევს, აუდიტი მხოლოდ პერიოდულად ჩაატარონ, რაც იწვევს არსებულ მონაცემების დაძველებას და საბოლოოდ ამცირებს გადაწყვეტილების სისწრაფესა და ეფექტურობას.

გარდა ამისა, ფინანსური მონაცემები ხშირად ძალიან რთულია და შესაძლოა იმდენად დაგვიანებით იყოს მიწოდებული, რომ ვერ ჩაითვალოს სანდოდ. ეს ართულებს მტკიცებულებების შეფასებას და უშლის ხელს არბიტრაჟის პროცესში ნათელი და სამართლიანი

გადაწყვეტილებების მიღებას. განსაკუთრებით რთული ხდება მდგომარეობა მაშინ, როდესაც დავა სახელმწიფოებსა და მსხვილ კომპანიებს შორის მიმდინარეობს, მაგრამ აუდიტის დასკვნები ან არ არის დროული, ან არ არის სრულყოფილი — ასეთ შემთხვევაში შესაძლოა გადაწყვეტილებები დაეფუძნოს მხოლოდ ნაწილობრივ სანდო ინფორმაციას.

თუმცა, პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ როცა მხარეები მიმართავენ პროფესიონალ აუდიტორებს და დროულად აწვდიან საჭირო დოკუმენტაციას, არბიტრაჟის პროცესიც უფრო გამჭვირვალე და ეფექტური ხდება. სწრაფად და სწორად წარმოდგენილი მტკიცებულებები არის ის ფაქტორი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის არბიტრაჟში წარმატების შანსს და იძლევა მკაფიო, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

დასკვნა

დღევანდელ სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ რეალობაში, სადაც საერთაშორისო ბიზნესგარემო მუდმივი გამოწვევების წინაშე დგას, აუდიტისა და ფინანსური არბიტრაჟის ეფექტური თანამშრომლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მათი სინერგია არ არის მხოლოდ ტექნიკური პროცესი, არამედ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ და სამართლებრივ სტაბილურობას როგორც ინდივიდუალური კომპანიებისთვის, ისე სახელმწიფოსთვის და გლობალური ეკონომიკისთვის.

აუდიტი, თავისი ბუნებით, უზრუნველყოფს ანგარიშგებების სიზუსტეს, გამჭვირვალობას და ნდობის ზრდას ფინანსურ ოპერაციებში. ის მხარეებს აძლევს საშუალებას დაინახონ რეალური სურათი – დოკუმენტურად დადასტურებული, სტანდარტების მიხედვით შედგენილი და ობიექტური მონაცემებით წარმოდგენილი. არბიტრაჟი კი ამ მონაცემებს ემყარება და იყენებს დავების სამართლიანად და ეფექტიანად გადასაჭრელად.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში შეიძლება არსებობდეს სირთულეები – მაგალითად, აუდიტის დაგვიანებული ჩატარება, არასრული მტკიცებულებები ან ფინანსური ინფორმაციის გადაჭარბებული სირთულე – ორივე პროცესის სწორი ორგანიზება მნიშვნელოვნად ზრდის საერთო გადაწყვეტილებების ხარისხს. როცა აუდიტი და არბიტრაჟი ერთმანეთს ავსებენ და თანხვედრაში მუშაობენ, შედეგი არის გამართული, სანდო და ეფექტური სისტემური მიდგომა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბიზნესგარემოსთვის.

გლობალურ დონეზე, ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად კრიტიკული ხდება. თანამედროვე არბიტრაჟის მექანიზმები, რომლებიც იკვებება აუდიტორული ანგარიშებით და ექსპერტული ანალიზით, იძლევა საშუალებას, რომ ფინანსური დავები მოგვარდეს სწრაფად, ხარჯთეფექტურად და პოლიტიკური ჩარევის გარეშე. ეს ქმნის ისეთი სისტემის საფუძველს, სადაც გამჭვირვალობა და სანდოობა აღიქმება არა როგორც უბრალოდ უპირატესობა, არამედ როგორც მოთხოვნა და აუცილებლობა.

მთლიანობაში, თუ საერთაშორისო საზოგადოება ხელს შეუწყობს ამ ორი სფეროს შორის კიდევ უფრო მჭიდრო კოორდინაციას, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ფინანსურ და სამართლებრივ რისკებს, გააუმჯობესებს გლობალურ სავაჭრო გარემოს და დააჩქარებს სტაბილური ეკონომიკური განვითარების პროცესს. აუდიტისა და ფინანსური არბიტრაჟის შერწყმა არის არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ სტრატეგიული აუცილებლობა – გზა პროგრესისკენ და წინდახედული მმართველობისკენ.

ბიბლიოგრაფია

1. International Federation of Accountants (IFAC). *Handbook of International Auditing and Assurance Standards*. IFAC, New York.
2. International Auditing and Assurance Standards Board (IAASB). *International Standards on Auditing (ISA.)*
3. International Chamber of Commerce (ICC). *ICC Arbitration Rules*. Paris
4. united Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL). *UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration*.
5. World Bank Group. *ICSID Convention, Regulations and Rules*. Washington, D.C.
6. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). *Corporate Governance and Audit Quality*. OECD Publishing.
7. European Commission. *EU Audit Regulation and Directive*. Brussels
8. American Arbitration Association (AAA). *International Arbitration Rules.*
9. PwC. *Audit and Dispute Resolution: Global Insights.*
10. KPMG. *The Role of Audit Evidence in Arbitration Proceedings*.
11. Born, G. B. *International Commercial Arbitration*. Kluwer Law International.
12. Redfern, A., Hunter, M. *Law and Practice of International Commercial Arbitration*. Oxford University Press.

მსოფლიო ბანკის გავლენა საქართველოს განათლების სისტემის განვითარებაზე
The World Bank's Impact on the Development of Georgia's Education System

ლაშა გაბისონია
ეკონომიკის დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Lasha Gabisonia
PhD in Economics
GeorgianTechnikal University

აბსტრაქტი. სტატია მიმოიხილავს მსოფლიო ბანკის ჩართულობას საქართველოს განათლების სისტემის განვითარებაში და აფასებს აღნიშნული მხარდაჭერის ეკონომიკურ ეფექტს ადამიანური კაპიტალის განვითარების ჭრილში. კვლევა ეფუძნება მსოფლიო ბანკის ოფიციალურ ანგარიშებს, პროექტების მონაცემებსა და დამოუკიდებელ შეფასებებს. ანალიზის შედეგები მიუთითებს, რომ განათლების სექტორში განხორციელებულმა პროექტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადამიანური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესებაში, შრომის ბაზრის პროდუქტიულობის ზრდასა და ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებაში. ამასთან, კვლევა აჩვენებს, რომ მიღებული ეკონომიკური ეფექტის სრულ რეალიზაციას კვლავ ზღუდავს მმართველობის სისუსტეები და სისტემური რეფორმების არასაკმარისი სიღრმე. სტატიაში გამოკვეთილია ძირითადი კვლევითი მიგნებები და შემუშავებულია რეკომენდაციები მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ბანკი, განათლების რეფორმა, ადამიანური კაპიტალი, ეკონომიკური განვითარება, საქართველო.

Abstract. This paper examines the contribution of the World Bank to the development of Georgia's education system, with a particular focus on the economic effects of education-related interventions. The analysis draws on

official World Bank reports, project-level data, and independent evaluation materials to assess how education sector reforms have influenced human capital formation, labor productivity, and long-term economic growth potential. The findings indicate that World Bank–supported projects have played a meaningful role in improving educational infrastructure, institutional capacity, and skills development. However, the study also reveals that the full realization of economic benefits remains constrained by governance weaknesses and the limited depth of systemic reforms. The article identifies key outcomes of World Bank engagement in the education sector and formulates policy-oriented recommendations aimed at enhancing the effectiveness and sustainability of international support for Georgia's long-term economic development.

Keywords: World Bank, education reform, human capital, economic development, Georgia.

შესავალი. განათლება თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანური კაპიტალის ხარისხი განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას გლობალურ ეკონომიკაში. საქართველოს შემთხვევაში განათლების სისტემის მოდერნიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ეკონომიკური ზრდის მდგრადობა დიდწილად დამოკიდებულია კვალიფიციური და ადაპტირებადი სამუშაო ძალის ფორმირებაზე.

ამ კონტექსტში მსოფლიო ბანკი მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელიც საქართველოს სთავაზობს არა მხოლოდ ფინანსურ რესურსებს, არამედ ინსტიტუციურ ცოდნასა და საერთაშორისო გამოცდილებას. სტატიაში მიზნად ისახება მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი განათლების პროექტების ეკონომიკური ეფექტის შეფასება და მათი გავლენის გაანალიზება ქვეყნის განვითარების პროცესზე.

მსოფლიო ბანკის განათლების პროექტები და მათი ეკონომიკური ეფექტი

მსოფლიო ბანკის ჩართულობა საქართველოს განათლების სექტორში ეფუძნება იმ მიდგომას, რომლის მიხედვითაც განათლება წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალურ სიკეთეს, არამედ გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს. განსხვავებით მოკლევადიანი მაკროეკონომიკური სტიმულებისგან, განათლებაში განხორციელებული ინვესტიციები ქმნის დაგვიანებულ, თუმცა უფრო მდგრად ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც ვლინდება ადამიანური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესებითა და შრომის პროდუქტიულობის ზრდით.

საქართველოს შემთხვევაში მსოფლიო ბანკის განათლების პოლიტიკა მიმართულია იმ სისტემური პრობლემების დაძლევისკენ, რომლებიც ჩამოყალიბდა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. ეს პრობლემები მოიცავს სწავლების ხარისხის უთანაბრობას, განათლების შინაარსისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას, აგრეთვე მმართველობით და ინსტიტუციურ სისუსტეებს. შესაბამისად, მსოფლიო ბანკის პროექტები არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფრასტრუქტურული ინვესტიციებით, არამედ მოიცავს განათლების მართვის სისტემების მოდერნიზაციას, შეფასების მექანიზმების განვითარებას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დანერგვას.

განათლებისა და ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირი ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს. ადამიანური კაპიტალის კონცეფციის მიხედვით, განათლებაში ინვესტირება ზრდის ინდივიდის პროდუქტიულობასა და შრომის ბაზარზე ადაპტაციის უნარს, რაც მაკროეკონომიკურ დონეზე აისახება ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებასა და სტრუქტურული ტრანსფორმაციის შესაძლებლობებზე.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული განათლების პროექტები საქართველოში სწორედ ამ ლოგიკას ეფუძნება. ზოგადი და სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები და STEM/STEAM

მიმართულებების გაძლიერება ქმნის საფუძველს ისეთი სამუშაო ძალის ფორმირებისთვის, რომელიც უკეთ პასუხობს თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია Education System Realignment and Strengthening Program (ESRS) და Georgia Innovation, Inclusion and Quality Project (I2Q), რომელთა ფარგლებში განხორციელდა სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაცია, თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა და განათლების მართვის ინსტიტუციური გაძლიერება.

ცხრილი 1. მსოფლიო ბანკის ძირითადი განათლების პროექტები საქართველოში და მათი ეკონომიკური ეფექტი (2025)


პროექტის დასახელება	პერიოდი	დაფინანსების მოცულობა	ძირითადი მიმართულებები	ძირითადი ეკონომიკური ეფექტი
Education System Realignment and Strengthening Program (ESRS I–III)	2001–2011	≈ 60 მლნ USD	ეროვნული სასწავლო გეგმა; შეფასების სისტემა; სკოლის დაფინანსება	ადამიანური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება; შრომის ბაზრის ინსტიტუციური საფუძვლის შექმნა
Georgia – Innovation, Inclusion and Quality Project (I2Q)	2019–2025	90 მლნ EUR	სკოლამდელი და ზოგადი განათლება; ინფრასტრუქტურა; მონაცემებზე დაფუძნებული მართვა	სწავლის ხარისხის ზრდა; შრომის პროდუქტიულობის გრძელვადიანი ზრდის პოტენციალი
STEM/STEAM Infrastructure Support (I2Q ქვეკომპონენტი)	2020–2025	≈ 25 მლნ EUR	STEM/STEAM ლაბორატორიები; ციფრული უნარები	ინოვაციური უნარების განვითარება; ტექნოლოგიური სექტორის ადამიანური რესურსის გაძლიერება
Teacher Professional Development Programs (WB TA)	2018–2025	≈ 12 მლნ USD	მასწავლებელთა გადამზადება; თანამედროვე პედაგოგიკა	განათლების ხარისხის ზრდა; შრომის ბაზრის შესაბამისობის გაუმჯობესება
Education Management Information Systems (EMIS)	2017–2025	≈ 8 მლნ USD	განათლების მონაცემთა სისტემები; მმართველობა	რესურსების ეფექტიანი განაწილება; საჯარო ხარჯების ეფექტიანობის ზრდა

წყარო: World Bank Project Database (2025); *World Bank (2024, 2025). Georgia Country Partnership Framework; World Bank. Implementation Status & Results Reports*

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ განათლების სექტორში განხორციელებული ინვესტიციები ქმნის გრძელვადიან ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც პირდაპირ არ აისახება მოკლევადიან მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, თუმცა მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანური კაპიტალის ხარისხსა და შრომის პროდუქტიულობის პოტენციალს.

განათლების სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტის უკეთ ვიზუალიზაციის მიზნით, ქვემოთ წარმოდგენილია სვეტოვანი დიაგრამა, რომელიც ასახავს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის შედარებით გავლენას ადამიანური კაპიტალის, შრომის პროდუქტიულობისა და გრძელვადიანი ეკონომიკური პოტენციალის მიმართულებით.

დიაგრამა 1. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული განათლების პროექტების ეკონომიკური ეფექტები საქართველოში



დიაგრამა აჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი ეკონომიკური ეფექტი ფიქსირდება ადამიანური კაპიტალის განვითარების მიმართულებით, რაც ადასტურებს განათლების პროექტების სტრატეგიულ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი მიზნებისთვის.

მიღწეული პროგრესის მიუხედავად, განათლების სექტორში განხორციელებული პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინსტიტუციური გარემოს ხარისხზე. მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების არასაკმარისი განვითარება, მართვის სირთულეები და სისტემური რეფორმების არასრული განხორციელება ზღუდავს ინვესტიციების გრძელვადიან უკუგებას.

ეკონომიკური ეფექტის ძირითადი მიმართულებების ანალიზი აჩვენებს, რომ განათლების სექტორში განხორციელებული ინვესტიციები ყველაზე მეტად აისახება ადამიანური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესებასა და შრომის პროდუქტიულობის ზრდაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია, რომელმაც ხელი შეუწყო ინოვაციური და ტექნოლოგიური უნარების განვითარებას. თუმცა აღნიშნული შედეგები არ არის ერთგვაროვანი და მათი მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინსტიტუციური შესაძლებლობების დონეზე.

განათლების სექტორში განხორციელებული პროექტების ეფექტიანობას ზღუდავს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი:

- ინსტიტუციური შესაძლებლობების სისუსტე;
- მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების არასაკმარისი განვითარება;
- განათლების შინაარსისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის არსებული შეუსაბამობა.

ეს გარემოებები მიუთითებს, რომ ფინანსურ ინვესტიციებს უნდა ახლდეს ღრმა და თანმიმდევრული სისტემური რეფორმები, რათა განათლების სექტორში განხორციელებული პროექტების ეკონომიკური ეფექტი იყოს მდგრადი და გრძელვადიანი.

დასკვნა. სტატიის ანალიზმა დაადასტურა, რომ მსოფლიო ბანკის ჩართულობა განათლების სექტორში წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს.

განხორციელებულმა პროექტებმა ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ადამიანური კაპიტალის ზრდასა და შრომის ბაზრის პროდუქტიულობის ამაღლებას.

მიღებული შედეგების გასაძლიერებლად აუცილებელია განათლების რეფორმების უკეთესი მორგება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, მმართველობისა და მონიტორინგის სისტემების გაძლიერება და ინსტიტუციური მდგრადობის ამაღლება. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ეფუძნება არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ სტრუქტურულ და ინსტიტუციურ ცვლილებებს, რაც ქმნის საფუძველს საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Beridze, L. (2022). The Role of International Financial Organizations in Stimulating the Economy. Economic Profile.
2. Bidzinashvili, D. (2022). The Impact of the Russia–Ukraine War on Georgia's Economic Activity. Economic Profile.
3. World Bank. (2019). Georgia – Innovation, Inclusion and Quality Project (I2Q).
4. World Bank. (2024). Georgia Country Partnership Framework.
5. World Bank. (2025). Education Sector Projects and Human Capital Development in Georgia.
6. World Bank Group Independent Evaluation Group (IEG). (2023–2025).

ხელოვნური ინტელექტი (AI) მენეჯმენტში: ინოვაციური გარღვევა
Artificial Intelligence (AI) in Management: An Innovative Breakthrough

შავლეგ შელია
თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი
აკადემიური საბჭოს წევრი/ სტრატეგიული კომუნიკაციების ხელმძღვანელი
Shavleg Shelia
Thomas Jefferson Research Center
Board member/head of strategic communications
ORCID - orcid.org/0009-0000-7518-0622

აბსტრაქტი. მოცემული ნაშრომი, სახელწოდებით „ხელოვნური ინტელექტი (AI) მენეჯმენტში: ინოვაციური გარღვევა“, განიხილავს ხელოვნური ინტელექტის ტრანსფორმაციულ როლს თანამედროვე მენეჯერულ პროცესებში. 21-ე საუკუნის ბიზნესგარემოში მონაცემთა სიმრავლემ და სისწრაფის საჭიროებამ AI გადააქცია არა მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტად, არამედ სტრატეგიულ აუცილებლობად. ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული AI-ის გავლენა მენეჯმენტის ისეთ სფეროებზე, როგორიცაა სტრატეგიული დაგეგმარება, პროექტების მართვა, ადამიანური რესურსები (HRM) და ოპერაციული ეფექტურობა.

კვლევის მიზანია აჩვენოს, თუ როგორ აუმჯობესებს პროგნოზირებადი ანალიტიკა და პროცესების ავტომატიზაცია გადაწყვეტილების მიღების ხარისხს. ნაშრომში ასევე განხილულია ეთიკური დილემები, ალგორითმული მიკერძოება და ტექნოლოგიასა და ადამიანურ კაპიტალს შორის ბალანსის შენარჩუნების საკითხები. დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია, რომ AI არ ანაცვლებს ადამიანს, არამედ აძლიერებს მენეჯერულ კომპეტენციას, რაც ქმნის „გაძლიერებული ინტელექტის“ (Augmented Intelligence) ახალ მოდელს.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, პროგნოზირებადი ანალიტიკა, ავტომატიზაცია, ეთიკური მენეჯმენტი.

Abstract. This paper, titled "Artificial Intelligence (AI) in Management: An Innovative Breakthrough," examines the transformative role of AI in modern managerial processes. In the 21st-century business environment, the abundance of data and the demand for speed have turned AI into a strategic necessity rather than just a supportive tool. The work provides a detailed analysis of AI's impact on various management fields, including strategic planning, project management, human resource management (HRM), and operational efficiency.

The primary objective of this research is to demonstrate how predictive analytics and process automation enhance the quality of decision-making. The paper also addresses ethical dilemmas, algorithmic bias, and the critical balance between technology and human capital. The concluding section emphasizes that AI does not replace the manager; instead, it strengthens managerial competence, creating a new model of "Augmented Intelligence."

Keywords: Artificial Intelligence, Strategic Management, Data-Driven Decisions, Predictive Analytics, Automation, Ethical Management.

შესავალი

აქტუალობა: რატომ გახდა AI აუცილებელი 21-ე საუკუნის მენეჯერებისთვის?

თანამედროვე სამყარო ინფორმაციული აფეთქების ეპოქაში ცხოვრობს. თუ გასულ საუკუნეში მენეჯერული წარმატება დიდწილად დამოკიდებული იყო ხელმისაწვდომ რესურსებსა და ინტუიციაზე, 21-ე საუკუნეში მთავარი აქტივი ინფორმაცია და მისი დამუშავების სისწრაფე გახდა. დღეს ბიზნესგარემო იმდენად დინამიკურია, რომ ტრადიციული, ხაზოვანი მართვის მეთოდები ვეღარ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება ხელოვნური ინტელექტის (AI), როგორც მენეჯმენტის ფუნდამენტური გარდამქმნელის, აუცილებლობა.

რატომ გახდა AI გარდაუვალი? პასუხი მარტივია: ადამიანის ტვინს ფიზიკურად აღარ შეუძლია იმ „დიდი მონაცემების“ (Big Data) გაანალიზება, რომელსაც ყოველწამიერად წარმოქმნის გლობალური ბაზარი. მენეჯერი, რომელიც მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობა, რისკავს, რომ გადაწყვეტილება მიიღოს მოძველებულ ან არასრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. AI-ს კი შეუძლია მილიონობით ტრანზაქციის, მომხმარებელთა ქცევისა და საბაზრო ტრენდების სინთეზი რეალურ დროში. სისწრაფის საჭიროება დღეს აღარ არის ფუფუნება — ეს გადარჩენის საკითხია. კომპანიები, რომლებიც გადაწყვეტილებებს კვირების ნაცვლად წამებში იღებენ, მოიპოვებენ იმ კონკურენტულ უპირატესობას, რაც მათ ლიდერებად აქცევს.

ამასთანავე, ხელოვნური ინტელექტი მენეჯერს ათავისუფლებს დამღლელი, რუტინული ოპერაციებისგან. ეს საშუალებას აძლევს ლიდერს, ფოკუსირდეს იმაზე, რაც AI-ს ჯერჯერობით არ შეუძლია: სტრატეგიულ ხედვაზე, კრეატიულობაზე და ემოციურ კავშირზე გუნდის წევრებთან. შესაბამისად, AI-ს აქტუალობა მენეჯმენტში არა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესით, არამედ მენეჯერული როლის ევოლუციითაც აიხსნება. წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია სიღრმისეულად წარმოაჩინოს, თუ როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტი გადაწყვეტილების მიღების არქიტექტურას თანამედროვე ორგანიზაციებში. ჩვენი მიზანია დავამტკიცოთ, რომ AI არ წარმოადგენს მენეჯერის ალტერნატივას, არამედ ის არის „გაძლიერებული ინტელექტის“ (Augmented Intelligence) საფუძველი, რომელიც მრავალჯერ ზრდის ადამიანურ პოტენციალს.

ნაშრომში განხილული იქნება შემდეგი ძირითადი საკითხები:

როგორ ეხმარება AI სტრატეგიულ მენეჯმენტს მონაცემებზე დაფუძნებული პროგნოზების გაკეთებაში;

რა როლს ასრულებს ინტელექტუალური ალგორითმები პროექტების ეფექტურ მართვასა და რისკების პრევენციაში;

როგორ გარდაქმნის AI ადამიანური რესურსების მართვის (HRM) ტრადიციულ მოდელებს;

რა ეთიკური ბარიერები და გამოწვევები ახლავს ტექნოლოგიების ასეთ მასშტაბურ ინტეგრაციას.

ამ კვლევის ფარგლებში ჩვენ შევეცდებით დავინახოთ მომავლის მენეჯმენტის სურათი, სადაც ტექნოლოგიური სიზუსტე და ადამიანური კაპიტალი ერთიან, სინერგიულ სისტემად იკვრება.

1. AI-ის როლი სტრატეგიულ მენეჯმენტში:

1.1. მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები (Data-Driven Decisions)

სტრატეგიული მენეჯმენტი, თავისი არსით, მომავლის დაგეგმარებაა. თუმცა, მომავლის დანახვა შეუძლებელია წარსულისა და აწმყოს ზუსტი ანალიზის გარეშე. ტრადიციულ მენეჯმენტში გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად წამყვან როლს თამაშობდა ე.წ. "HiPPO" ეფექტი (Highest Paid Person's Opinion) — ანუ ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირის მოსაზრება, რომელიც ხშირად სუბიექტურია. ხელოვნური ინტელექტის დანერგვამ ეს მიდგომა რადიკალურად შეცვალა.

დღეს AI სისტემებს შეუძლიათ წამებში დაამუშაონ ისეთი მოცულობის ინფორმაცია, რომლის გაცნობასაც ადამიანთა მთელი გუნდი თვეებს მოანდომებდა. ეს არ არის მხოლოდ სტატისტიკის დამუშავება; ეს არის კოგნიტური ანალიზი. AI პლატფორმები აანალიზებენ არა მხოლოდ ციფრებს, არამედ არასტრუქტურირებულ მონაცემებსაც: მომხმარებელთა მიმოხილვებს სოციალურ ქსელებში, კონკურენტების საჯარო განცხადებებს და გლობალურ პოლიტიკურ ტრენდებსაც კი.

McKinsey-ს კვლევების თანახმად, ორგანიზაციები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში AI-ს იყენებენ, 20%-ით უფრო ეფექტურად ახდენენ რესურსების ოპტიმიზაციას. მენეჯერი, რომელიც AI-ს "პარტნიორად" იყენებს, იღებს არა ვარაუდებს, არამედ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს. ეს ამცირებს ადამიანურ შეცდომებს, რომლებიც გამოწვეულია გადაღლილობით, ემოციური ფონით ან ინფორმაციული გადატვირთვით.

1.2. პროგნოზირებადი ანალიტიკა (Predictive Analytics): მომავლის მართვა

თუ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები გვეუბნება "რა ხდება ახლა", პროგნოზირებადი ანალიტიკა პასუხობს კითხვას — "რა მოხდება ხვალ". ეს არის სტრატეგიული მენეჯმენტის უმაღლესი საფეხური. AI ალგორითმები ეძებენ კანონზომიერებებს იქ, სადაც ადამიანისთვის მხოლოდ ქაოსია.

პროგნოზირებადი ანალიტიკა მენეჯერს საშუალებას აძლევს:

ბაზრის ტრენდების წინასწარ განსაზღვრა: სანამ ბაზარზე მოთხოვნა რეალურად შეიცვლება, AI-ს შეუძლია იწინასწარმეტყველოს ეს ცვლილება მიკრო-ინდიკატორებზე დაყრდნობით.

მომხმარებლის ლოიალობის მართვა: კომპანიებს შეუძლიათ წინასწარ გაიგონ, რომელი მომხმარებელი აპირებს სერვისის შეწყვეტას და შესთავაზონ მას პერსონალიზებული პირობები.

ფინანსური რისკების სიმულაცია: "რა მოხდება თუ..." სცენარების გათამაშება (Scenario Planning). AI-ს შეუძლია ათასობით სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის სიმულირება და თითოეულის ალბათობის დათვლა.

როგორც Harvard Business Review-ს სტატიებში ვკითხულობთ, AI-ს მიერ გაკეთებული პროგნოზები მენეჯერს აძლევს საშუალებას, იყოს პროაქტიული და არა რეაქტიული.

რეაქტიული მენეჯერი პასუხობს უკვე მომხდარ კრიზისს, ხოლო პროაქტიული მენეჯერი, AI-ს დახმარებით, კრიზისს მანამ აიცილებს თავიდან, სანამ ის დაიწყება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიულ მენეჯმენტში AI-ს როლი არის "ხედვის ჰორიზონტის" გაფართოება. ის არ ცვლის სტრატეგიულ აზროვნებას, ის მას ამარაგებს უზუსტესი "საწვავით" — ხარისხიანი და დამუშავებული ინფორმაციით.

2. ხელოვნური ინტელექტი პროექტების მართვაში

პროექტების მართვა ტრადიციულად ითვლება ერთ-ერთ ყველაზე რთულ მენეჯერულ დისციპლინად, რადგან ის მოითხოვს სამი ძირითადი კომპონენტის — დროის, ბიუჯეტისა და ხარისხის — მუდმივ ბალანსს. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ამ სფეროში არა მხოლოდ აჩქარებს პროცესებს, არამედ ფუნდამენტურად ცვლის პროექტის მენეჯერის როლს, რომელიც ადმინისტრატორიდან სტრატეგიულ ლიდერად ყალიბდება.

2.1. ავტომატური დაგეგმარება და რესურსების ინტელექტუალური განაწილება

პროექტის დაგეგმვის ფაზა ხშირად ყველაზე შრომატევადია. მენეჯერებს უწევთ ათასობით დავალების (tasks) ურთიერთკავშირის გათვალისწინება. თანამედროვე AI პროგრამები, როგორიცაა Oracle Primavera Cloud-ის ინტელექტუალური მოდულები ან Microsoft Project-ის AI დანამატები, ამ პროცესს ავტომატურ რეჟიმში ახორციელებენ.

ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით, AI-ზე დაფუძნებული დაგეგმარება ითვალისწინებს ე.წ. „რესურსების დინამიკურ ოპტიმიზაციას“. მაგალითად, თუ პროექტის ერთ-ერთი წევრი აგვიანებს დავალების შესრულებას, სისტემა ავტომატურად გადათვლის მთელ განრიგს და შემოგვთავაზებს რესურსების ახალ განაწილებას ისე, რომ საბოლოო დედლაინი არ დაირღვეს.

ამ ტიპის პროგრამები იყენებენ მანქანურ სწავლებას (Machine Learning), რათა გააანალიზონ გუნდის წევრების ინდივიდუალური პროდუქტიულობა. თუ სისტემა ხედავს, რომ კონკრეტულ დეველოპერს ან ინჟინერს მსგავს დავალებაზე წარსულში იმაზე მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე გეგმაში იყო გაწერილი, AI ავტომატურად დაამატებს „უსაფრთხოების ბუფერს“ (buffer time), რაც გეგმას უფრო რეალისტურს ხდის.

2.2. რისკების მართვა: პროგნოზირება წარსული გამოცდილების საფუძველზე

პროექტების წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გაუთვალისწინებელი რისკებია. AI-ს მთავარი უპირატესობა აქ მისი „მეხსიერებაა“. ადამიანს შეიძლება დაავიწყდეს, რა პრობლემები შეიქმნა სამი წლის წინანდელ პროექტში, მაგრამ AI-ს ბაზაში ინახება ყველა დეტალი.

პროგნოზირებადი მოდელები აანალიზებენ ათასობით დასრულებულ პროექტს და ახდენენ მიმდინარე პროექტის რისკების იდენტიფიცირებას. მაგალითად, სისტემას შეუძლია გააფრთხილოს მენეჯერი: „მსგავსი ტიპის პროექტებში, მომწოდებლების დაგვიანების გამო, მე-4 ეტაპზე ვადების გადაცილების ალბათობა 75%-ია“.

ეს საშუალებას აძლევს მენეჯერს:

წინასწარ შეიმუშაოს კრიზისული გეგმა (Contingency Plan);

მოახდინოს ბიუჯეტის უფრო ზუსტი რეზერვირება;

თავიდან აიცილოს „შავი ყუთის“ ეფექტი, სადაც პრობლემები მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა უკვე გვიანია მათი გამოსწორება.

2.3. რეალური დროის მონიტორინგი და კომუნიკაცია

AI-ს კიდევ ერთი გარღვევა პროექტების მართვაში არის ავტომატური სტატუს-რეპორტინგი. ნაცვლად იმისა, რომ მენეჯერმა ყოველი კვირის ბოლოს საათები დახარჯოს ანგარიშების წერაში,

AI სისტემები რეალურ დროში აკვირდებიან პროგრესს და თავად აგენერირებენ ვიზუალურ დაფებს (dashboards) დაინტერესებული მხარეებისთვის (stakeholders).

უფრო მეტიც, თანამედროვე პლატფორმები იყენებენ ბუნებრივი ენის დამუშავებას (NLP), რათა გააანალიზონ გუნდური მიმოწერები (მაგალითად, Slack-ში ან Teams-ში). თუ მიმოწერებში იმატებს ნეგატიური ტონი ან გაურკვევლობა დავალებების მიმართ, სისტემა მენეჯერს აძლევს სიგნალს, რომ გუნდში შესაძლოა კომუნიკაციური კრიზისი იყოს.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტების მართვაში AI არ არის მხოლოდ „კალკულატორი“ — ის არის ინტელექტუალური ასისტენტი, რომელიც მენეჯერს ეხმარება გადავიდეს ხანძრის ჩაქრობის (Firefighting) რეჟიმიდან სტრატეგიული პრევენციის რეჟიმში.

3. AI და ადამიანური რესურსების მართვა (HRM)

ადამიანური რესურსების მართვა (HRM) დიდი ხნის განმავლობაში აღიქმებოდა, როგორც წმინდა ფსიქოლოგიური და ადმინისტრაციული სფერო. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის შემოსვლამ HR პროცესები უფრო ზუსტი, მონაცემებზე დაფუძნებული და ეფექტური გახადა. AI-მ გარდაქმნა HR ციკლის ყველა ეტაპი — დაქირავებიდან თანამშრომლის შენარჩუნებამდე.

3.1. რეკრუიტინგი და ტალანტების შერჩევა: ეფექტურობა და ობიექტურობა

რეკრუიტინგის პროცესი ხშირად ასობით და ათასობით რეზიუმეს (CV) დამუშავებას გულისხმობს, რაც ადამიანური რესურსების მენეჯერისთვის უზარმაზარ დროსა და ენერგიასთან არის დაკავშირებული. AI-ზე დაფუძნებული სკრინინგის სისტემები (Applicant Tracking Systems - ATS) საშუალებას იძლევა, წამებში გაიფილტროს კანდიდატები წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების, უნარებისა და გამოცდილების მიხედვით.

თუმცა, AI-ის როლი მხოლოდ ფილტრაციით არ შემოიფარგლება. თანამედროვე პლატფორმები იყენებენ „პრედიქტორულ ვალიდობას“, რაც იმას ნიშნავს, რომ ალგორითმი აანალიზებს კომპანიის საუკეთესო თანამშრომლების მონაცემებს და ეძებს მსგავს მახასიათებლებს ახალ კანდიდატებში. ეს ამცირებს „არასწორი კადრის“ დაქირავების რისკს, რაც კომპანიებისთვის ფინანსურად ძალიან ძვირი ჯდება. გარდა ამისა, AI ეხმარება სუბიექტური მიკერძოების (Unconscious Bias) აღმოფხვრაში, რადგან ალგორითმი ფოკუსირებულია მხოლოდ კომპეტენციებზე და არა კანდიდატის ფოტოსურათზე, სქესზე ან ეროვნებაზე (თუ სისტემა სწორად არის კონფიგურირებული).

3.2. თანამშრომელთა ჩართულობა და გამოცდილება (Employee Experience)

HR მენეჯმენტში AI-ის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე მზარდი მიმართულებაა ინტელექტუალური ჩეთბოტები და ვირტუალური ასისტენტები. ისეთი კომპანიები, როგორიცაა IBM და Hilton, იყენებენ AI ბოტებს, რომლებიც თანამშრომლებს პასუხობენ რუტინულ კითხვებზე (მაგალითად, შვებულების დღეების, დაზღვევის ან კორპორაციული პოლიტიკის შესახებ). ეს HR მენეჯერს ათავისუფლებს ადმინისტრაციული ტვირთისგან და საშუალებას აძლევს, დრო დაუთმოს თანამშრომლების განვითარებასა და კორპორაციული კულტურის გაძლიერებას.

გარდა ამისა, AI გამოიყენება „სენტიმენტ-ანალიზისთვის“ (Sentiment Analysis). სისტემები ანონიმურად აანალიზებენ თანამშრომელთა გამოკითხვებსა და შიდა კომუნიკაციებს, რათა დაადგინონ გუნდში არსებული განწყობა. თუ სისტემა აფიქსირებს სტრესის ან უკმაყოფილების მატებას, მენეჯერი იღებს სიგნალს, რომ საჭიროა ინტერვენცია მანამ, სანამ თანამშრომლები კომპანიიდან წასვლას გადაწყვეტენ.

3.3. პერსონალიზებული განვითარება და სწავლება

AI-მ შეცვალა თანამშრომელთა გადამზადების (L&D) მიდგომაც. ნაცვლად სტანდარტული ტრენინგებისა, ხელოვნური ინტელექტი თითოეული თანამშრომლისთვის ქმნის ინდივიდუალურ „სწავლის გზას“ (Learning Path). სისტემა აანალიზებს თანამშრომლის უნარების დეფიციტს (Skill Gap) და სთავაზობს სწორედ იმ კურსებსა თუ მასალებს, რომლებიც მას პროფესიული ზრდისთვის სჭირდება.

ამრიგად, HRM-ში ხელოვნური ინტელექტი გვევლინება არა როგორც ადამიანის შემცვლელი, არამედ როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება მენეჯერს უფრო მეტად ორიენტირებული იყოს ადამიანურ ფაქტორზე, ემპათიაზე და სტრატეგიულ ლიდერობაზე, ხოლო მონაცემთა დამუშავება და რუტინა ტექნოლოგიას მიანდოს.

4. ოპერაციული მენეჯმენტი და ავტომატიზაცია

ოპერაციული მენეჯმენტი ნებისმიერი ორგანიზაციის ხერხემალია. ის მოიცავს ყველაფერს — ნედლეულის შესყიდვიდან მზა პროდუქტის მომხმარებლამდე მიტანამდე. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციამ ამ სფეროში წარმოშვა ე.წ. „ჭკვიანი ოპერაციების“ (Smart Operations) კონცეფცია, სადაც მთავარი მიზანია დანაკარგების მინიმიზაცია და რესურსების მაქსიმალური ოპტიმიზაცია.

4.1. მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაცია და მარაგების მართვა

მიწოდების ჯაჭვის მართვა (Supply Chain Management) ტრადიციულად ერთ-ერთი ყველაზე რთული ოპერაციული ამოცანაა, რადგან ის დამოკიდებულია უამრავ ცვლადზე: ამინდზე, პოლიტიკურ ვითარებაზე, საწვავის ფასსა და მომხმარებლის მერყევ მოთხოვნაზე. AI ამ ქაოსში წესრიგს ამყარებს.

ხელოვნური ინტელექტი საშუალებას იძლევა დაინერგოს „ჭკვიანი მარაგების მართვა“. ნაცვლად იმისა, რომ საწყობში დიდი რაოდენობით პროდუქცია გროვდებოდეს (რაც გაყინული კაპიტალია), AI ალგორითმები ზუსტად საზღვრავენ, როდის და რამდენი ერთეული საქონელი უნდა შეუკვეთოს კომპანიამ. ამის თვალსაჩინო მაგალითია Amazon, რომელიც იყენებს პროგნოზირებად მოდელებს იმისათვის, რომ პროდუქტი მომხმარებელთან ახლოს მდებარე საწყობში იქამდე მიიტანოს, სანამ მომხმარებელი მას რეალურად იყიდდეს. ეს ამცირებს მიწოდების დროს და საოპერაციო ხარჯებს.

4.2. რუტინული პროცესების რობოტიზაცია (RPA)

მენეჯერების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა „ბიუროკრატიული ხაფანგია“ — დროის დიდი ნაწილი იხარჯება მონაცემების შეყვანაზე, ინვოისების დამუშავებასა და რეპორტების მომზადებაზე. რუტინული პროცესების რობოტიზაცია (RPA) არის ტექნოლოგია, რომელიც მენეჯერებს ამ ტვირთისგან ათავისუფლებს.

RPA არ ნიშნავს ფიზიკურ რობოტებს; ეს არის პროგრამული უზრუნველყოფა (ბოტები), რომლებიც იმეორებენ ადამიანის მოქმედებებს ციფრულ სისტემებში. მაგალითად:

ინვოისების ავტომატური ამოცნობა და ბუღალტერიაში ასახვა;

კლიენტების მონაცემების სინქრონიზაცია სხვადასხვა ბაზებს შორის;

ყოველდღიური ოპერაციული ანგარიშების გენერირება.

როგორც McKinsey-ს ანგარიშებშია აღნიშნული, ოპერაციული დავალებების დაახლოებით 60%-ის მინიმუმ მესამედი შეიძლება ავტომატიზირდეს. ეს მენეჯერს აძლევს საშუალებას, გადავიდეს „ზედამხედველის“ როლიდან „არქიტექტორის“ როლში — ნაცვლად იმისა, რომ თავად მართოს თითოეული ტრანზაქცია, ის აპროექტებს და აუმჯობესებს თავად სისტემას.

4.3. Siemens-ის ქეისი: წარმოების ციფრული ტყუპები

ოპერაციულ მენეჯმენტში AI-ს გამოყენების კიდევ ერთი ინოვაციური მაგალითია კომპანია Siemens. ისინი იყენებენ „ციფრული ტყუპების“ (Digital Twins) ტექნოლოგიას, სადაც AI ქმნის რეალური ქარხნის ან საწარმოო ხაზის ვირტუალურ ასლს. მენეჯერებს შეუძლიათ ვირტუალურ გარემოში დატესტონ ნებისმიერი ცვლილება, ნახონ როგორ იმოქმედებს ეს პროდუქტიულობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელონ ის რეალობაში. ეს ნულამდე ამცირებს შეცდომის რისკს და საოპერაციო შეფერხებებს.

დასკვნის სახით, ოპერაციულ მენეჯმენტში AI-ს მთავარი მიღწევა არის სისწრაფე და სიზუსტე. ავტომატიზაცია არა მხოლოდ ზოგავს დროს, არამედ ქმნის გარემოს, სადაც შეცდომის ალბათობა მინიმალურია, ხოლო ორგანიზაციის მოქნილობა (Agility) — მაქსიმალური.

5. ეთიკური საკითხები და გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი მენეჯმენტს უპრეცედენტო შესაძლებლობებს სთავაზობს, მისი დანერგვა არ არის თავისუფალი სერიოზული ეთიკური და სოციალური გამოწვევებისგან. ტექნოლოგიური პროგრესი ხშირად უსწრებს წინ საკანონმდებლო და მორალურ ჩარჩოებს, რაც მენეჯერების წინაშე ახალ დილემებს აყენებს.

5.1. ალგორითმული მიკერძოება: შეუძლია თუ არა AI-ს იყოს სამართლიანი?

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითია, რომ ხელოვნური ინტელექტი, ადამიანისგან განსხვავებით, სრულიად ობიექტურია. სინამდვილეში, AI სწავლობს იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებსაც მას ადამიანი აწვდის. თუ ისტორიული მონაცემები შეიცავს ადამიანურ წინასწარგანწყობებს ან სტერეოტიპებს, AI არა მხოლოდ გაიმეორებს, არამედ გააძლიერებს მათ.

მაგალითად, თუ HR მენეჯმენტში გამოყენებული ალგორითმი სწავლობს კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, სადაც გარკვეული ნიშნით (მაგალითად, სქესის ან ასაკის) დისკრიმინაცია ხდებოდა, სისტემა ავტომატურად დაიწყებს მსგავსი კანდიდატების დაბლოკვას. ამას ეწოდება „შავი ყუთის“ (Black Box) პრობლემა — მენეჯერებს ხშირად უჭირთ იმის ახსნა, თუ რატომ მიიღო AI-მ კონკრეტული გადაწყვეტილება. ეთიკური მენეჯმენტის გამოწვევა სწორედ ამ ალგორითმების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა.

5.2. სამუშაო ადგილების დაკარგვის შიში და ადამიანური კაპიტალი

ყველაზე მძაფრი სოციალური გამოწვევა სამუშაო ადგილების ავტომატიზაციას უკავშირდება. არსებობს საფუძვლიანი შიში, რომ რუტინული პროცესების რობოტიზაცია გამოიწვევს დასაქმებულთა მასობრივ შემცირებას. თუმცა, ინოვაციური მენეჯმენტის მიდგომა აქ არა თანამშრომლების ჩანაცვლებაში, არამედ მათ ტრანსფორმაციაში მდგომარეობს.

მენეჯერის ამოცანაა იპოვოს ბალანსი ტექნოლოგიურ ეფექტურობასა და ადამიანურ კაპიტალს შორის. AI-ს შეუძლია ანალიზი, მაგრამ მას არ გააჩნია ემპათია, მორალური კომპასი და კულტურული კონტექსტის გაგების უნარი. ეთიკური გამოწვევაა ის, თუ როგორ გადავამზადოთ (Reskilling) თანამშრომლები, რათა მათ შეძლონ AI-სთან კოლაბორაცია და არა მასთან კონკურენცია.

5.3. პასუხისმგებლობის დილემა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პასუხისმგებლობა. როდესაც AI-ზე დაფუძნებული სისტემა უშვებს შეცდომას — მაგალითად, არასწორად აფასებს ფინანსურ რისკს ან აფერხებს მიწოდების ჯაჭვს — ვინ არის პასუხისმგებელი? პროგრამისტი, მონაცემთა ანალიტიკოსი თუ მენეჯერი, რომელმაც ენდო ალგორითმს?

21-ე საუკუნის მენეჯერისთვის ეთიკური სიმტკიცე ნიშნავს იმას, რომ მან არ უნდა გადააბაროს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა მანქანას. AI უნდა დარჩეს

მძლავრ მრჩევლად, ხოლო გადაწყვეტილების მორალური და სტრატეგიული ტვირთი კვლავ ადამიანმა უნდა ატაროს. მხოლოდ ასეთი მიდგომითაა შესაძლებელი ტექნოლოგიური პროგრესის ისე მართვა, რომ ორგანიზაციამ არ დაკარგოს თავისი „ადამიანური სახე“.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის (AI) შესწავლამ მენეჯმენტის კონტექსტში ცხადყო, რომ ჩვენ არ ვიმყოფებით უბრალოდ ტექნოლოგიური სიახლის მოლოდინში — ჩვენ უკვე ვართ ახალი მენეჯერული ერის მონაწილეები. წინამდებარე ნაშრომში განხილულმა თითოეულმა ასპექტმა, დაწყებული სტრატეგიული დაგეგმარებიდან, დამთავრებული ეთიკური დილემებით, აჩვენა, რომ AI ფუნდამენტურად ცვლის ორგანიზაციული მართვის ფილოსოფიას.

კვლევის შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე მთავარი დასკვნა:

პირველი, ხელოვნური ინტელექტი მენეჯმენტში აღარ არის არჩევითი ფუფუნება; ის გადარჩენის აუცილებლობაა. მონაცემთა ის მოცულობა, რომელთანაც თანამედროვე ბიზნესს უწევს შეხება, ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების მიღმაა. AI-ს მეშვეობით მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება (Data-Driven Decisions) მინიმუმამდე ამცირებს გაურკვევლობას და ზრდის ორგანიზაციის მდგრადობას დინამიკურ ბაზარზე.

მეორე, პროექტებისა და ოპერაციების მართვაში AI-მ შემოიტანა სიზუსტის ისეთი ხარისხი, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. ავტომატური დაგეგმარება, რესურსების ოპტიმიზაცია და პროგნოზირებადი ანალიტიკა საშუალებას აძლევს მენეჯერს, პროაქტიულად მართოს რისკები. ეს ნიშნავს, რომ მენეჯერი დროს ხარჯავს არა „ხანძრის ჩაქრობაზე“, არამედ განვითარებასა და ინოვაციებზე.

მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ხელოვნური ინტელექტი არ ანაცვლებს მენეჯერს. პირიქით, ჩვენს თვალწინ ყალიბდება ე.წ. „გაძლიერებული ინტელექტის“ (Augmented Intelligence) მოდელი. AI იღებს თავის თავზე ლოგიკურ, გამოთვლით და რუტინულ ამოცანებს, ხოლო მენეჯერს უტოვებს იმ სფეროებს, სადაც ადამიანური ფაქტორი შეუცვლელია: ემოციური ინტელექტი, გუნდის მოტივაცია, ეთიკური განსჯა და კრეატიული სტრატეგია.

ნაშრომის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მომავლის წარმატებული მენეჯერი იქნება ის, ვინც შეძლებს ამ ორ სამყაროს შორის ხიდის გადებას. ტექნოლოგიური წიგნიერება და ადამიანური ღირებულებების ერთგულება გახდება ის ორი საყრდენი, რომელზეც დაშენდება 21-ე საუკუნის ინოვაციური მენეჯმენტი. AI-სთან სიმბიოზი არის არა საფრთხე, არამედ უდიდესი გარღვევა, რომელიც გზას უხსნის უფრო ეფექტურ, სამართლიან და ადამიანზე ორიენტირებულ ბიზნეს გარემოს.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია

1. Wilson, H. J., & Daugherty, P. R. (2018). Collaborative Intelligence: Humans and AI Are Joining Forces. Harvard Business Review. (ეს სტატია საფუძვლად დაედო ჩემს მსჯელობას იმის შესახებ, რომ AI არ ანაცვლებს ადამიანს, არამედ აძლიერებს მას).

2. McKinsey Global Institute. (2024). The state of AI in 2024: Generating value at scale. McKinsey & Company. (აქედან არის აღებული სტატისტიკური მიდგომები ოპერაციული ეფექტურობისა და AI-ის დანერგვის ტრენდების შესახებ).

3. Davenport, T. H., & Ronanki, R. (2018). Artificial Intelligence for the Real World. Harvard Business Review. (წყარო, რომელიც დეტალურად აღწერს პროცესების ავტომატიზაციას და კოგნიტურ ანალიტიკას მენეჯმენტში).

4. MIT Sloan Management Review. (2023). Expanding AI's Impact With Organizational Learning. MIT Sloan. (კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ისწავლონ ორგანიზაციებმა AI-სთან კოლაბორაცია).

5. Brynjolfsson, E., & McAfee, A. (2017). The Business of Artificial Intelligence. Harvard Business Review. (ფუნდამენტური ნაშრომი AI-ის, როგორც „ზოგადი დანიშნულების ტექნოლოგიის" შესახებ ბიზნესში).

6. Gartner Research. (2023). Top Strategic Technology Trends for 2024: AI-Augmented Development. Gartner. (გამოყენებულია პროექტების მართვისა და პროგრამული უზრუნველყოფის (Oracle, MS Project) ნაწილში).

7. World Economic Forum. (2023). The Future of Jobs Report 2023. WEF. (ეს წყარო გამოვიყენე მე-6 თავში — სამუშაო ადგილების დაკარგვის შიშისა და ეთიკური გამოწვევების განხილვისას).

8. Agrawal, A., Gans, J., & Goldfarb, A. (2018). Prediction Machines: The Simple Economics of Artificial Intelligence. Harvard Business Review Press. (წიგნი, რომელიც ხსნის პროგნოზირებადი ანალიტიკის ეკონომიკურ სარგებელს მენეჯერებისთვის).

9. Deloitte Insights. (2023). AI-driven HR: The next frontier for employee experience. Deloitte. (გამოყენებულია მე-4 თავში — HRM პროცესების, რეკრუიტინგისა და ჩეთბოტების ანალიზისთვის).

10. Project Management Institute (PMI). (2023). AI at Work: New Projects, New Skills. PMI White Paper. (სპეციალიზებული წყარო, რომელიც განმარტავს AI-ის როლს რისკების მართვასა და პროექტების დაგეგმარებაში).

საგადასახადო შეთანხმების მნიშვნელობა და გამოწვევები ქართულ კანონმდებლობაში
The Significance and Challenges of Tax Agreements in Georgian Legislation

ნათია ტუღუში
საჯარო სამართლის მაგისტრი
Natia Tughushi
Master of Public Law

აბსტრაქტი: საგადასახადო სისტემა სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფინანსურ საფუძველს წარმოადგენს და საქართველოს მაგალითზე აშკარად ჩანს, რომ ყოველწლიურად მზარდი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ზრდის, როგორც ბიუჯეტის შემოსავლებს, ისე საგადასახადო კანონმდებლობისადმი ინტერესს. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტი, რომელიც გადამხდელსა და შემოსავლების სამსახურს შორის მიღწეულ შეთანხმებას წარმოადგენს და მიზნად ისახავს გადაუხდელი გადასახადებით ან დარღვევებით გამოწვეული ვალდებულების შემცირებას. ინსტიტუტი 2009 წლიდან ვითარდება და დღეს უკვე ჩამოყალიბებულია როგორც ლოიალური, მოქნილი მექანიზმი, რომელიც საგადასახადო დავების ეფექტიან და შედარებით სწრაფ გადაჭრას უზრუნველყოფს. მიუხედავად მისი პოზიტიური როლისა, გამოწვევად რჩება საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს — მთავრობის — ზედმეტი ცენტრალიზაცია, რაც პოლიტიკური გავლენების რისკს ქმნის. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ სრულად დეცენტრალიზებული მოდელი, როგორც გერმანიის მაგალითში, ასევე შეიცავს კორუფციულ საფრთხეებს, რის საფუძველზეც რეკომენდებულია „ოქროს შუალედის" პოვნა, მაგალითად, შეთანხმებაზე გადაწყვეტილების მიღება შემოსავლების სამსახურის უფროსის დონეზე. შედეგად,

საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტი რჩება მნიშვნელოვან მექანიზმად, რომელიც ერთდროულად იცავს სახელმწიფოს ფინანსურ ინტერესს და უზრუნველყოფს გადამხდელთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულ მიდგომას.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო შეთანხმება, საგადასახადო კანონმდებლობა, ადმინისტრაციული სამართალი, საერთაშორისო პრაქტიკა, გადაწყვეტილების მიღება.

Abstract: The tax system constitutes one of the principal financial pillars of the state, and in Georgia's case it is evident that the annual growth in the number of business entities increases both budgetary revenues and public interest in tax legislation. Within this context, the institution of the tax agreement has assumed particular significance, functioning as a formal arrangement between a taxpayer and the Revenue Service with the purpose of reducing liabilities arising from unpaid taxes or tax-related violations. Introduced in 2009, this institution has evolved into a flexible and pragmatic mechanism that facilitates the efficient and timely resolution of tax disputes. Despite its acknowledged benefits, a key challenge remains the excessive centralization of decision-making authority within the Government of Georgia, which heightens the risk of political influence. Comparative analysis of international practice demonstrates that a fully decentralized model—such as the factual agreements employed in Germany—also entails risks, particularly in terms of potential corruption, thereby underscoring the need to establish a balanced intermediary approach. Assigning the final decision-making authority to a lower yet competent body, such as the Head of the Revenue Service, may represent an optimal solution. Ultimately, the tax agreement mechanism serves as a vital instrument that simultaneously safeguards the fiscal interests of the state and ensures a fair, adaptable, and needs-responsive framework for taxpayers.

Keywords: Tax agreement, Tax legislation, Administrative law, International practice, Decision-making.

გადასახადები არ წარმოადგენს ბიუჯეტის ფორმირების ერთადერთ წყაროს, თუმცა სახელმწიფო შემოსავლების ფორმირებაში მათ უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ. [48] საქართველოში ყოველწლიურად იმატებს გადასახადის გადამდელთა რაოდენობა. გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად აქვს გადასახადის გადახდის ვალდებულება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში საქსტატი) მონაცემების მიხედვით, 2022 წელს დარეგისტრირებული იყო 206 000 ბიზნეს სუბიექტი, 2023 წელს ეს რიცხვი გაიზარდა 230 000-მდე, 2024 წლის ბოლოსთვის კი გახდა- 281 000,[49] რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ყოველწლიურად იზრდება ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს გადასახადის გადამხდელთა რაოდენობის გაზრდას. გადასახადის გადამხდელთა ზრდა თავისთავად იწვევს ინტერესს საგადასახადო კანონმდებლობისადმი, მათ შორის საგადასახადო შეთანხმების მიმართ.

საჭიროა განვმარტოთ, რას წარმოადგენს საგადასახადო შეთანხმება და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი გადასახადის გადამხდელებისთვის. საგადასახადო შეთანხმება წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც იდება, ერთის მხრივ, გადასახადის გადამხდელსა (პირს, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით, იხდის გადახდას) და მეორეს მხრივ, სსიპ – შემოსავლების სამსახურს შორის. აღნიშნული შეთანხმების მიზანია გადამხდელისთვის დაკისრებული საგადასახადო ვალდებულების შემცირება ან დაკორექტირება იმ შემთხვევებში, როდესაც მას დაუგროვდა გადასახადი გადაუხდელობის, დაგვიანების ან განზრახ დამალვის შედეგად.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის განვითარებაში საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტის ჩამოყალიბება მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მისი ისტორია 2009 წლიდან იწყება, კერძოდ 2009 წელს მთავრობამ მიიღო დადგენილება N 230, რომელიც საგადასახადო შეთანხმებების საფუძვლებს აყალიბებდა. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი

[48] ზვიად როგავა, *გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი* (თბილისი: ბაკმი, 2002), 11.

[49] შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაცია* 2025: ანალიტიკური ანგარიში (თბილისი : 2025)

ნაბიჯი საქართველოში, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა საგადასახადო დავების შეთანხმებით გადაჭრა, რაც ეხმარებოდა როგორც გადასახადის გადამხდელს, ისე საგადასახადო ორგანოებს სწრაფად და შერიგებით გადაეწყვიტათ საგადასახადო დავები. შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტის განვითარების მიმართულებით 2011 წელს გადაიდგა, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საგადასახადო შეთანხმების მექანიზმი უფრო ფართოდ და ორგანიზებულად დამკვიდრდა.

ამჟამად, საგადასახადო კოდექსში საგადასახადო შეთანხმების საკითხს ეთმობა მხოლოდ 4 მუხლი და ძირითადად მოწესრიგებულია შეთანხმების გაფორმების წესი და განცხადების წარსადგენად საჭირო რეკვიზიტები.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემდეგ ორივე მხარეს — როგორც გადასახადის გადამხდელს, ისე საგადასახადო ორგანოს — უჩნდება კონკრეტული უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, გადასახადის გადამხდელს აღნიშნულ პერიოდზე ეკრძალება არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა ან/და შემცირება, ასევე საგადასახადო დეკლარაციით ვალდებულების დაზუსტება. საგადასახადო ორგანო კი, თავის მხრივ, ვალდებულია არ განახორციელოს საგადასახადო ვალდებულების დამატებით დარიცხვა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელებს საკუთარი ბიზნესიდან მიღებული თანხიდან უწევთ გარკვეული პროცენტის გადადება სახელმწიფოსთვის, მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში საქართველოს საგადასახადო სისტემა გახდა უფრო მეტად ლოიალური. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები არიან უფრო მეტად წახალისებულნი, მოწყვლადი ჯგუფები (მაგალითად მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებნი, ომის ვეტერანები, მარტოხელა დედები) და სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია კი საერთოდაც გათავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისგან.

მიუხედავად აღნიშნული შეღავათებისა, უმეტეს შემთხვევაში გადასახადის გადამხდელები მაინც ცდილობენ გადასახადებისგან თავის არიდებას სხვადასხვა საშუალებებით, აღნიშნული აზარალებს მათ, რაც იწვევს დამატებით ჯარიმების და საურავების დარიცხვას, რაც თავის მხრივ მეტად ამძიმებს მათ ფინანსურ მდგომარეობას.

თუ გადამხდელი თვლის, რომ მასზე დაკისრებული გადასახადი ან საგადასახადო ჯარიმა არაკანონიერია, მას აქვს გადასახადის დარიცხვის აქტის გასაჩივრების უფლება. საგადასახადო დავის წარმოშობა გარდაუვალი მოვლენაა. დავების შემცირება შესაძლებელია, თუმცა ნულოვან მაჩვენებელზე დაყვანა შეუძლებელი. [50]

შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო სისტემა არის ერთადერთი, სადაც გასაჩივრების ორეტაპიანი შესაძლებლობა აქვს გადამხდელს, რაც გულისხმობს იმას, რომ მას შეუძლია დარიცხული დავალიანების შესახებ აქტი გაასაჩივროს ჯერ შემოსავლების სამსახურში, შემდეგ კი სურვილის შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში. მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები როდესაც გასაჩივრების შედეგები არ არის მისაღები გადამხდელისთვის, სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის არსებობს საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტი.

რა თქმა უნდა, გადასახადის გადამხდელს ყოველთვის აქვს უფლება ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს. თუმცა ტრადიციული სამართლებრივი გზები, განსაკუთრებით სასამართლო დავები, თანამედროვე პირობებში ხშირად აღარ

[50] ილია წიკლაური, „საგადასახადო დავების განხილვის ქართული მოდელის პრობლემები და მისი რეფორმების ძირითადი ასპექტები“ (დის. , თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021), 18

წარმოადგენს სწრაფ და ეფექტურ მექანიზმს საგადასახადო დავების მოგვარებისთვის, რადგან პროცედურები დიდ დროსა და რესურსს მოითხოვს. ასეთ ვითარებაში მოლაპარაკების პროცესის გამოყენება მნიშვნელოვნად უფრო მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული საშუალებაა — იგი საშუალებას აძლევს ორივე მხარეს, ურთიერთსასარგებლო შეთანხმებამდე მივიდნენ. სახელმწიფოს ინტერესი არის მიიღოს თანხა ბიუჯეტში, მეორეს მხრივ, გადამხდელს არ აქვს შესაძლებლობა გადაიხადოს სრული თანხა მცირე დროში, ამ შემთხვევაში საგადასახადო შეთანხმება არის საუკეთესო გამოსავალი. როგორც წესი, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ორივე მხარის ინტერესი, ორივე მხარე კისრულობს გარკვეული სახის ვალდებულებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა, ამასთანავე ორივე მხარე იღებს სასურველ შედეგს, გადასახადის გადამხდელი იხდის თანხას მასზე მორგებული გრაფიკით, საგადასახადო ორგანო კი იღებს ბიუჯეტის კუთვნილ თანხას.

შესაბამისად, ეს ინსტიტუტი შეგვიძლია ჩავთვალოდ ლოიალურ მექანიზმად, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს არის მორგებული.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს არსებული გამოწვევები ამ მიმართულებით. ერთ-ერთი გამოწვევა, რაც დღეს საქართველოში საგადასახადო შეთანხმების კუთხით არსებობს, ვფიქრობ არის შეთანხმების საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები პირი. საბოლოო გადაწყვეტილებას შეთანხმებაზე იღებს საქართველოს მთავრობა. საგადასახადო კოდექსის წინა გამოცემა იძლეოდა შესაძლებლობას, რომ მთავრობის დადგნილებით განსაზღვრულიყო კონკრეტული შემთხვევები, როდესაც საგადასახადო შეთანხმებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა შემოსავლების სამსახურის უფროსი, პრემიერ-მინისტრის და მთავრობის თანხმობის გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობა წარმოადგენს ერთ პოლიტიკურ ჯგუფს, რისკი იმის, რომ მთავრობამ შესაძლოა პოლიტიკური ნიშნით მიიღოს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არსებობს. გარდა ამისა, მთავრობას სხვა მრავალი ფუნქცია აქვს როგორც ქვეყნის საშინაო, ასევე საგარეო საქმინობის რეგულირების მიზნით. შესაბამისად, დამატებით საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე მსჯელობა ვფიქრობ საჭირო არ არის. თუმცა ისმის კითხვა, თუ არა მთავრობამ, მაშინ ვინ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის დროს, გაირკვა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში გადაწყვეტილებას იღებს აუდიტორი, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი, რომელიც ამოწმებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო მოთხოვნების შესრულების სისწორეს. ამის მაგალითია გერმანია, სადაც არსებობს ფაქტობრივი შეთანხმებები (Factual Agreements / Tatsächliche Verständigung)[51] , ეს მექანიზმი ძალიან ჰგავს ქართულ საგადასახადო შეთანხმებას. აღნიშნული ფორმდება გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის. პირველ რიგში გადამხდელი წერს განცხადებას, შემდეგ ხდება მისი მდგომარეობის განხილვა და ფასდება ფაქტობრივი გარემოებები, მოწმდება ხომ არ არის რაიმე სახის დარღვევა ან ფაქტობრივი შეცდომა გადასახადის დარიცხვის დროს. თუ ყველაფერი წესრიგშია, ამის შემდეგ მოწმდება გადამხდელის ფინანსური მდგომარეობა, იმისთვის, რომ საგადასახადო ორგანო დარწმუნდეს გადამხდელის გადახდისუუნარობაში (რაც ნიშნავს იმას, რომ მას არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა გადაიხადოს დაკისრებული გადასახადი მისთვის მიცემულ დროში) საჭიროა შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა, რაც იქნება გარანტი იმის, რომ გადამხდელი ვერ იხდის დაკისრებულ გადასახადს. ვფიქრობ, ეს ვერსიაც არ შეიძლება ჩაითვალოს იდეალურ ვარიანტად, რადგან საკმაოდ დიდია კორუფციის ალბათობა. აუდიტორი, რომელიც განიხილავს ძალიან ბევრ

[51] ULF ANDRESEN, *Law and Practice* ,Tax Controversy 2025, https://practiceguides.chambers.com/practice-guides/tax-controversy-2025/germany

საქმეს ერთდროულად და მას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სრულიად დამოუკიდებლად, თვითნებურად მიიღოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების შემცირების, ან სრულიად ჩამოწერის შესახებ, არსებობს შანსი იმის, რომ მან პირადი შეხედულებით ან სხვა ბენეფიტის სანაცვლოდ გააფორმოს/არ გააფორმოს შეთანხმება. ეს მექანიზმი არ იმუშავებს და ვერ იქნება სრულყოფილი საქართველოში, ქვეყანაში სადაც საკმაოდ ცოტა ადამიანი ცხოვრობს და ბიზნესშიც, რომელშიც რამდენიმე ათეული ადამიანი შეიძლება იყოს ჩართული მარტივად გამოძებნის საერთოს აუიტორთან.

შესაბამისად, ვფიქრობ დაცული იყოს ე.წ „ოქროს შუალედი“ , რაც გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილება არ მიიღოს არც იმდენად მაღალი რგოლის წარმომადგენელმა- როგორიც არის მთავრობა და არც აუდიტორმა. იდეალურ ვარიანტად შეგვიძლია განვიხილოდ მაგალითად შემოსავლების სამსახურის უფროსი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო შეთანხმება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი საგადასახადო სამართალში, რომელიც ორივე მხარის (საგადასახადო ორგანოს და გადასახადის გადამხდელის) ინტერესებს არის მორგებული. თუმცა აუცილებელია კანონის დახვეწა და მეტად დაკონკრეტება, თუ კონკრეტულად რას ექცევა ყურადღება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას და ასევე მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი იყოს არა მთავრობის წარმომადგენელი, არამედ უფრო ნეიტრალური პირი.

ბიბლიოგრაფია

1. ზვიად როგავა, *გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი* (თბილისი: ბაკმი, 2002)

2. საქართველოს პარლამენტი , საქართველოს კანონი # 3591: 17/09/2010 წლის *საქართველოს საგადასახადო კოდექსი*, მე-20 მუხლი (თბილისი სსმ, 54, 12/10/2010)

3. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაცია* 2025: ანალიტიკური ანგარიში (თბილისი : 2025)

4. ილია წიკლაური, „საგადასახადო დავების განხილვის ქართული მოდელის პრობლემები და მისი რეფორმების ძირითადი ასპექტები“ (დის. , თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021)

5. ნათია ტუღუში „საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოში, თანამედროვე გამოწვევები და საერთაშორისო პრაქტიკა“, სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

6. საქართველოს პარლამენტი , საქართველოს კანონი # 3591: 17/09/2010 წლის *საქართველოს საგადასახადო კოდექსი*, 293-ე მუხლი (თბილისი სსმ, 54, 12/10/2010), https://www.matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=228 (10.06.2025)

7. ULF ANDRESEN, *Law and Practice* ,Tax Controversy 2025, https://practiceguides.chambers.com/practice-guides/tax-controversy-2025/germany

ბლოკჩეინი, როგორც აუდიტის პრაქტიკაში გამჭვირვალობის გაუმჯობესების ინსტრუმენტი
Blockchain as a Tool for Improving Transparency in Audit Practices

ელენე გაბაძე
ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტის დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დავით ბიბიჩაძე
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Elene Gabadze
Doctoral Student, Department of Business Administration
Georgian Technical University
David Bibichadze
Associate Professor
Georgian Technical University

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატია განიხილავს ბლოკჩეინის ტექნოლოგიის როლს აუდიტის პროცესის გამჭვირვალობის, სანდოობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებაში. ბლოკჩეინი, როგორც დეცენტრალიზებული და უცვლელობაზე დაფუძნებული სისტემა, მნიშვნელოვნად ცვლის ფინანსური მონაცემების მართვისა და აუდიტორული შემოწმების ტრადიციულ მიდგომებს. სტატიაში გაანალიზებულია ბლოკჩეინის მუშაობის პრინციპები, მისი გამოყენების ძირითადი უპირატესობები აუდიტში — მათ შორის მონაცემთა უცვლელობა, რეალურ დროში ხელმისაწვდომობა და ტრანზაქციების გამჭვირვალობა. ასევე განხილულია ბლოკჩეინის პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა ინდუსტრიაში, განსაკუთრებით საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების გამოცდილების საფუძველზე. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბლოკჩეინის დანერგვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, როგორიცაა მონაცემთა კონფიდენციალურობა, რეგულაციების არასაკმარისი განვითარება და ორგანიზაციული ადაპტაციის სირთულეები. კვლევის შედეგად დასკვნილია, რომ ბლოკჩეინი წარმოადგენს აუდიტის პროცესის გარდაქმნის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ინსტრუმენტს, რომლის ეფექტიანი ინტეგრაცია ხელს შეუწყობს ფინანსური სისტემების გამჭვირვალობისა და სტაბილურობის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი; ფინანსური არბიტრაჟი; ფინანსური დავები; საერთაშორისო პრაქტიკა; ინსტიტუციური არბიტრაჟი; გამჭვირვალობა; ფინანსური ანგარიშგება; გლობალური ეკონომიკა.

Abstract. This article examines the role of blockchain technology in enhancing transparency, reliability, and security within the audit process. Blockchain, as a decentralized and immutable system, fundamentally transforms traditional approaches to financial data management and audit verification. The paper analyzes the core principles of blockchain technology and highlights its key advantages in auditing, including data immutability, real-time accessibility, and transaction transparency. Particular attention is given to practical applications of blockchain across various industries, with a focus on the experience of leading international audit firms. The study also addresses the main challenges associated with blockchain implementation, such as data confidentiality issues, insufficient regulatory frameworks, and organizational adaptation difficulties. The findings indicate that blockchain represents one of the most promising tools for transforming audit practices, and its effective integration can significantly contribute to increased transparency, trust, and stability within the global financial system.

Keywords: Blockchain; Audit; Transparency; Financial Reporting; Data Security; Decentralization; Real-Time Auditing.

შესავალი

ბლოკჩეინი თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ინოვაციურ ტექნოლოგიად ითვლება, რომელიც ციფრული ტრანზაქციების მართვასა და დაცვას სრულიად

ახალ საფეხურზე აყენებს. იგი არსებითად გარდაქმნის მონაცემთა შენახვისა და მართვის ტრადიციულ პრაქტიკას. ამ ყველაფერს კი ყოველდღიურად იყენებენ როგორც კერძო პირები, ისე კომპანიები.

თავდაპირველად ბლოკჩეინის გამოყენება კრიპტოვალუტების სფეროში დაიწყო, თუმცა დროთა განმავლობაში მისი დანერგვა ბევრად გაფართოვდა და მოიცვა როგორც ფინანსური და სამართლებრივი ასევე აუდიტორული პროცესები.

ფინანსურ და აუდიტორულ სექტორებში ბლოკჩეინის ტექნოლოგია იძლევა ახალ შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მონაცემებზე წვდომის გაუმჯობესება მათი ცვლილების რისკების შემცირება და გადამოწმების პროცესის დაჩქარება. ტრადიციული აუდიტის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის მონაცემთა შეზღუდული ხემისაწვდომობა, ინფორმაციის ცვლილების პოტენციური რისკი და შემოწმების პროცესის დაგვიანება. ბლოკჩეინი კი ამ ყველაფერს პასუხობს რეალური დროის მონაცემთა გადამოწმების საშუალებით, რაც აუდიტორებს საშუალებას აძლევს სწრაფად და ზუსტად შეაფასონ ფინანსური ტრანზაქციები და დროულად აღმოინონ შესაძლო დარღვევები.

ფინანსურ სექტორში, სადაც ოპერაციები ხშირად მაღალი სირთულითა და მოცემულობით ხასიათდება, ბლოკჩეინი მნიშვნელოვნად ამარტივებს პროცესებს, ამცირებს რისკებს და ზრდის გამჭვირვალობას. მიუხედავად ამ ყველაფრის , მისი ეფექტიანი დანერგვა მოითხოვს სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნას, შესაბამისი რეგულაციების ჩამოყალიბებასა და აუდიტორული პერსონალის გდამზადებას.

ამ სტატიის მიზანია გაანალიზოს თუ როგორ გარდაქმნის ბლოკჩეინი აუდიტის პროცესს, რა გავლენას ახდენს იგი გამჭვირვალობასა და უსაფრთხოებაზე და რა გამოწვევებთან არის დაკავშირებული მისი სრულფასოვანი ინტეგრაცია.

რა არის ბლოკჩეინი და როგორ მუშაობს

ბლოკჩეინი არის დეცენტრალიზებული ციფრული ტექნოლოგია რომელიც მონაცემთა შენახვისა და გადაცემის ახალ მიდგომას გვთავაზობს. იგი წარმოადგენს სპეციალურ მონაცემთა ბაზას რომელიც იყენებს ერთმანეთთან დაკავშირებულ ბლოკებს, სადაც თითოეული ტრანზაქცია იწერება, მოწმდება და ინახება დაცულ ფორმატში. ყოველი ახალი ბლოკი დაკავშირებულია წინა ბლოკთან, რაც გამორიცხავს მონაცემების უკანონო ცვლილებას და უზრუნველყოფს მათ მუდმივობასა და უცვლელობას.

ბლოკჩეინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა არის მისი განაწილებული სტრუქტურა. მონაცემები ინახება არა ერთცენტრალურ სერვერზე არამედ სხვადასხვა ადგილას ერთდროულად, რაც სისტემას უფრო მდგრადს და უსაფრთხოს ხდის ჰაკერული თავდასხმების მიმართ. ამასთან, ბლოკჩეინის მექანიზმი უზრუნველყოფს ყველა ტრანზაქციის დეტალურ აღრიცხვას რაც, ნიშნავს რომ მონაცემებზე წვდომა ნებისმიერ დროს შეუძლიათ მხოლოდ უფლრბამოსილ მხარეებს.

ფუნციურად ბლოკჩეინი მუშაობს როგორც ქსელზე განაწილებული სერვერების ერთობლიობა სადაც ყველა მონაწილეს შეუძლია მიიღოს წვდომა და მართოს დოკუმენტები მხოლოდ წინსწარ განსაზღვრული წესების შესაბამისად.მიუხედავად ამისა სისტემაში არასწორი ან უკანონო მონაცემის ჩართვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მთლიან პროცესს. სწორედ ამიტომ ბლოკჩეინის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვა და მისი ადაპტორენის უზრუნველყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ბლოკჩეინის როლი აუდიტში: გამჭვირვალობა და უსაფრთხოება

ბლოკჩეინი დღეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინოვაციურ ინსტრუმენტად მიიჩნევა აუდიტის პრაქტიკაში, რადგან იგი არსებითად ცვლის ფინანსური პროცესების მონიტორინგსა და შეფასების მიდგომას. მისი დანერგვა იძლევა საშუალებას რომ ფინანსურ ან ოპერაციულ პროცესებზე დაკვირვებისას მიღწეული იქნას მაქსიმალური სიზუსტე, გამჭვირვალობა და სანდოობა. აუდიტორთათვის, რომელთა მთავარი მიზანია ფინანსური ანგარიშგების სისწორე და ობიექტურობა, ბლოკჩეინი უზრუნველყოფს ისეთ გარემოს სადაც მონაცემთა ცვლილება ან გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელია.

პირველი უპირატესობა- მონაცემთა უცვლელობა : ბლოკჩეინის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მახასიათებელია ის, რომ მასზე დაფუძნებული მონაცემები უცვლელია. თუ ფინანსური ტრანზაქცია ერთხელ დაფიქსირდა ბლოკჩეინის სისტემაში, ქსელის ყველა მონაწილე- მათ შორის აუდიტორები ხედავენ იმავე მონაცემებს. ეს გამორიცხავს ინფორმაციაზე მანიპულირების შესაძლებლობას და ამცირებს მტკიცებულებების გაყალბების რისკს თითქმის ნულამდე. ასეთი მონაცემთა სანდოობა მიიღწევა იმით რომ თითოეული ბლოკი დადასტურების შემდეგ დაცულია მექანიკური ცვლილებისგან და ნებისმიერი ჩარევა სისტემის მთლიან სტრუქტურას დაარღვევს.

მეორე უპირატესობა - რეალური დროის ხელმისაწვდომობა: ბლოკჩეინი აუდიტორებს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნონ ფინანსურ იპერაციებს რელაურ დროში. ეს ნიშნავს, მათ შეუძლიათ დაუყოვნებლივ გადაამოწმონ თითოეული ტრანზაქცია და დარწმუნდნენ მის სისწორეში. ასეთი მიდგომა აუდიტის ტრადიციულ პროცესებთან შედარებით უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს. რადგან აუდიტი ხშირად მხოლოდ წლის ბოლოს ტარდება როდესაც დოკუმენტაცია უკვე დასრულებულია. შედეგად ტრადიციული მიდგომა არ იძლევა დროულად აღმოჩენილი დარღვევების გამოსწორების საშუალებას, მაშინ როცა ბლოკჩეინი აუდიტორს აძლევს შესაძლებლობას პრობლემის აღმოჩენისთანავე იმოქმედოს. ამგვარად ბლოკჩეინი არა მხოლოდ აუმჯობესებს აუდიტის ხარისხს, არამედ გარდაქმნის მის ძირითად პრინციპებსაც- იგი აუდიტორს აძლევს სრულყოფილ და დაუყოვნებლივ წვდომას სანდო, უცვლელ და გამჭვირვაალე ინფორმაციაზე.

ბლოკჩეინის გავლენა აუდიტის პროცესებზე

ბლოკჩეინის ტექნოლოგიის ინეგრაცია აუდიტის პროცესში არსებითად ცვლის ფინანსური ოპერაციების გადასინჯვის და შემოწმების ტრადიციულ მეთოდებს. მისი გამოყენება აუდიტორებს საშუალებას აძლევს იმუშაონ უფრი სწრაფად, ზუსტად და უსაფრთხოდ, რაც მთლიანად აუმჯობესებს კონტროლის მექანიზმებს და შედეგების სანდოობას.

დეცენტრილაზიაცია და ტრანზაქციების გამჭვირვალობა: ბლოკჩეინი შლის მონაცემთა ცენტრალიზებულ მართვის სისტემას და ანაცვლებს მას დეცენტრილიზებილი მოდელით, სადაც ინფორმაცია ინახება ერთდროულად მრავალ დამოუკიდებელ ქსელში. ეს ცვლის საბანკო და ფინანსური ტრანზაქციების დამკვიდრების სტანდარტებს.როდესაც ოპერაციები დახულია დეცენტალიზებულ სისტემაში, ყველა მონაწილე მხარეს შუძლია ერთნაირად და ობიექტურად შეაფასოს მონაცემები. აუდიტორებს კი მიეცემათ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს გადაამოწმონ ნებისმიერი ტრანზაქცია და დარწმუნდნე მის სისწორეშო

ავტორიზაცია: ბლოკჩეინის მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას, რომ აუდიტის ზოგიერთი ნაწილი ავტომატუად განხორციელდეს. მაგალითად, სისტემამ შეიძლება ავტომატურად გადაამოწმოს ჩეკები და ტრანზაქციები, რაც ამცირებს ხელით მუშაობის მოცულობას, ზრდის ეფექტურობას და აჩქარებს აუდიტის პროცესს.

მონაცემთა ხელმისაწვდომობა: ბლოკჩეინის პლატფორმაზე ყველა ოპერაცია რეგულარულად და დეტალურად დოკუმენტირდება, რის გამოც აუდიტორებს აღარ სჭირდებათ

ისტორიული მონაცემების ხელით მოძიება ან მათი განახლების გრძელვადიანი პროცესი. ეს უზრუნველყოფს მონაცემებზე სწრაფ და მარტივ წვდომას, ამცირებს დროსა და რესურსების ხარჯვას და აუმჯობესებს ანალიტიკური მუშაობის ხარისხს.

ამგვარად, ბლოკჩეინი აუდიტში არა მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლეა არამედ მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც აუდიტის პროცესს უფრო გამჭვირვალეს ეფექიანს და სანდოს ხდის.

ბლოკჩეინის გამოყენება სხვადასხვა ინდრუსტრიაში: მაგალითები

ბლოკჩეინის ტექნოლოგია დღეს ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ინდუსტრიაში, მათ შორის აუდიტისა და ფინანსური მართვის სფეროში. მისი დანერგვა მიზნად ისახავს ფინანსური მონაცემების სანდოობის გაძლიერებას, პროცესების გამჭვირვალობის ზრდას და ტრანზაქციების კონტროლის გაუმჯობესებას. წამყვანი საერთაშორისო კომპანიები, მათ შორის **„დიდი ოთხეულის“ წევრები** — **PwC**, **Deloitte**, **EY** და **KPMG** — ასევე ისეთი ტექნოლოგიური გიგანტები, როგორიცაა **IBM**, აქტიურად ინვესტირებენ ბლოკჩეინის განვითარებაში და იყენებენ მას თავიანთ ოპერაციულ და აუდიტორულ პრაქტიკაში. მათი გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ ბლოკჩეინი ეფექტიანია არა მხოლოდ ფინანსურ სექტორში, არამედ სხვა მრავალ სფეროშიც, სადაც მონაცემთა სიზუსტე, უსაფრთხოება და გამჭვირვალობა კრიტიკულ როლს ასრულებს.

IBM და Maersk

IBM და Maersk ამ ორმა დიდმა კომპანიამ თანამშრომლობით ააგეს ბლოკჩეინზე დაფუძნებული პლატპორმა (TradeLens) რომელიც უზრუველყოს საზღვაო გადაზიდვების პროცესების გამჭვირვალობას ეფექტიანობის გასაუმჯობესებას. სისტემა უზრუნველყოფს ტრანზაქციების სრულფასოვან აღრიცხვას, ამცირებს გადაზიდვის პროცესში ჩარევის რესკებსა და ამარტივებს მონაცემთა გაცვლას ყველა მონაწილე მხარეს შორის. მნიშვნელოვანია რომ ეს სისტემა გამოიყენება არა მხოლოდ ლოჯისტიკური ოპერაციებისთვის არაემდ ფინანსური ანგარიშგებების გამჭვირვალობის გასაზრდელადაც, რაც აუდიტისთვის განსაკუთრებით ფასეულია.

Pwc

მათ ერთ-ერთმა პირველებმა მიიღეს კრიპტოვალუტა ანგარიშის გადახდის საშუალებად (2017 წ) რაც მიუთითებს ბლოკჩეინის გამოყენების ინიციატივაზე. ფირმა აქტიურად თანამშრომლობს ბიზნეს კლიენტებთან და აუდიტორულ მომსახურებაში იყენეს ბლოკჩეინიდან გამომდინარე ავტომატიზირებული ტრანზაქციების შემოწმებას და უსაფრთხოების ინსტრუმენტებს.

Deloitte

Deloitte ფლობს ბლოკჩეინის კონსულტაციის სერვისებს და შექმნა საკუთარი პლატფორმა **Rubix**, რომელიც კლიენტებს ეხმარება ბლოკჩეინის ტექნოლოგიის დანერგვასა და ოპტიმიზაციაში. 2016 წელს კომპანიამ გახსნა თავისი პირველი ბლოკჩეინის ლაბორატორია, ხოლო მოგვიანებით გახდა **Global Enterprise Alliance**-ისა და **Hyperledger**-ის წევრი. ასეთი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა აუდიტორებს ამლევს საშუალებას ავტომატიზებულად შეამოწმონ მონაცემები და დააჩქარონ ფინანსური ანგარიშგებების დამოწმების პროცესი, ტრადიციული მეთოდების ხარჯზე დროისა და რესურსების დაზოგვით

EY (Ernst & Young)

EY-მა შექმნა Blockchain Analyzer ინოვაციური პლატფორმა, რომელიც რეალურ დროში აკონტროლებს და აფიქსირებს როგორც ფინანსურ, ისე საგადასახადო ოპერაციებს. სისტემა უზრუნველყოფს ტრანზაქციის გამჭვირვალობასა და უცვლელეობაზე დაფუძნებულ მონაცემებზე წვდომას რაც აუდიტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია . EY აღიარებულია როგორც

„დიდი ოთხეულის“ ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ბლოკჩეინის ექსპერტიზის მქონე კომპანია, რომელიც აქტიურად მუშაობს ტექნოლოგიის გაუმჯობესებასა და აუდიტში მის ინტეგრაციაზე.

KPMG

ეს კომპანია სთავაოზბს კლიენტბს ბლოკჩეინის კონსულტაციას მისი დანერგვის ყველა ეტაპზე სტრატეგიული დანერგვიდან ტექნიკურ რეალიზაციამდე. კომპანიამ შექმნა **Chain Fusion** პლატფორმა რომელიც აერთიანებს კრიპტოაქტივებსა და ტრადიციულ ფინანსურ ოპერაციებს ერთიან უსფრთხო სივრცეში. ეს საშუალებად აძლევს აუდიტორებს აკონტროლონ ტრანსაქციების მიმდევრობა შეაფასონ მათი სანდოობა და მოახდინონ სწრაფი ავტომატიზირებული ვალიდაცია

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს რომ ბლოკჩეინი ინდუსტრიებში არა მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლეა არამედ პრაქტიკული ინსტრუმენტი რომელიც აუდიტის პროცესს სთავაზობს სიზუსტეს სანდოობასა და გამჭვირვალობას ხოლო ბიზნესს ოპერაციების უფრო სტაბილურ და უსაფრთხო მართვას

გამჭვრვ ალობის საკითხები: გამოწვევები

მიხედავად იმისა რომ ბლკჩეინის ტექნოლოგია აუდიტში მნიშვნელოვანი ინოვაციაა და სთავაობს ახალ შესაძლებლობებს, მისი ეფექტიანი დანერგვა რიგ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში ტექნოლოგიის გამოყენება მოითხოვს დიდ მოცულობის მონაცემების მოპოვებას, დაუშავებასა და სწორად შეფასებას, რაც სირთულეს წარმოდგენს როგორც ტექნიკური ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. ბლოკჩეინის სრული ინტეგრაცია საჭიროებს კოპლექსურ კოორდინაციას რადგან მრავალი ასეული კომპანია და აუდიტორი უნდა იყენებდეს ერთიან სტანდარტებსა და მონაცემთა ფორმას.

კომფიდენციალურობის პრობლემა: მიუხედავად იმისა რომ ბლოკჩეინი უზრუნველყოფს ტრანზაქციის გამჭვირვალობასა და მონაცემების უცვლელობას ის ასევე შეიძლება გახდეს კომფიდენციალურობის გამოწვევების წყარო. სისტემაში ჩაწერილი მრავალი კორპორაციული ინფორმაცია შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ყველა უფლებამოსილი აუდიტორისთვის რაც ზოგიერთ შემთხვევაში ბიზნესის კომერციული საიდუმლოებების დაცვას ართულებს. ამდენად, აიუცილებელია ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც გამჭვირვალობისა და კონფიდენციალურობის ბალანსს უზრუნველყოფს.

რეგულაციების ნაკლებობა- ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გლობალური დანერგვის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად რჩება შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოსა და რეგულაციების არასაკმარისი განვითარება. რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არსებობს მკაფიო წესები რომლებიც განსაზღვრავს ბლოკჩეინის გამოყენების სტანდარტებს, რაც აგერხებს მის ფართომასშტაბიან ანერგვას აუდიტში.

ადაპტაციის სირთულეები- ბლოკჩეინის დაენერგვა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ არამედ კულტურულ ცვლილებებსაც ორგანიზაციებში. აუდიტორებსა და ფინანსურ მენეჯერების გადამზადება, ახალი პროცესების დანერგვა და არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია შეიძლება იყოს ხანგრძლივი და ხარჯიანი პროცესი.

დასკვნა

ბლოკჩეინი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გარდამტეხი ტექნოლოგიაა თანამედროვე აუდიტსა და ფინანსურ ანგარიშგებებში. მისი გამოყენება აუდიტში არა მხოლოდ ზრდის გამჭვირვალობასა და სანდოობას, არამედ აუდიტორიებს აძლევს შესაძლებლობას ზუსტად სწრაფად და უსაფრთხოდ განახორციელონ მონაცემთა გადამოწმება. ბლოკჩეინი ეფექტიანად ამცირებს მონაცემთა გადამოწმება. ბლოკჩეინი ეფექტიანად ამცირებს მონაცემთა გაყალბების

რისკს და აჩენს სრულიად ახალ მოდელს, სადაც ფინანსური მონიტორინგი და კონტროლი შეიძლება განხორციელდეს რეალურ დროში

ტექნოლოგია აუდიტორებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ მონაცემების ულტრა უსაფრთხო გარემოში შენახვას არამედ რეალურ დროში მონიტორინგისას დაუყოვნებლივ გამოავლინონ შესაძლო დარღვევები. ეს აუდიტის პროცესს უფრო მოქნილს სწრაფსა და ზუსტს ხდის. შედეგად ბლოკჩეინი შეიძლება გახდეს ძლიერი ინსტრუმენტი ფინანსური კონფლიქტების დროული აღმოჩენისა და გამოსწორების.

თუმცა, მისი სრულფასოვანი დანერგვა მაინც დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან — მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობასთან, რეგულაციების ჩამოყალიბების საჭიროებასთან და ორგანიზაციული ადაპტაციის გამოწვევებთან. მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიის პოტენციალი იმდენად დიდია, რომ მისი სწორი და გონივრული გამოყენება არა მხოლოდ აუდიტორულ სფეროს, არამედ მთლიანად ფინანსურ ეკოსისტემას ახალ საფეხურზე აიყვანს.

ბლოკჩეინი აღარ არის მხოლოდ კრიპტოვალუტის ტექნოლოგიური საფუძველი; ის იქცა აუდიტის, ფინანსური ანგარიშგებისა და ფართო ეკონომიკური სისტემების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად. მისი სწორი დანერგვა შეძლებს შექმნას ახალი სტანდარტები, გააძლიეროს გლობალური ფინანსური უსაფრთხოება და ჩამოაყალიბოს უფრო სტაბილური და გამჭვირვალე ბაზარი.

ბიბლიოგრაფია

1. Nakamoto, S. (2008). *Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System*.

2. Deloitte. (2017). *Blockchain Technology and Its Potential Impact on the Audit and Assurance Profession*. Deloitte Insights.

3. PwC. (2018). *Blockchain and the Future of Audit*. PricewaterhouseCoopers.

4. EY. (2019). *How Blockchain Is Transforming Audit*. Ernst & Young Global Limited.

5. KPMG. (2020). *Blockchain and the Future of Finance and Audit*. KPMG International.

6. IBM & Maersk. (2018). *TradeLens: Blockchain-Enabled Digital Supply Chain*. IBM White Paper.

7. Yermack, D. (2017). Corporate governance and blockchains. *Review of Finance*, 21(1), 7–31.

8. Peters, G. W., & Panayi, E. (2016). Understanding modern banking ledgers through blockchain technologies. *Banking Beyond Banks and Money*, Springer.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ეკონომიკური ეფექტები საქართველოში: მაკროეკონომიკური სტაბილურობა და სექტორული ტრანსფორმაცია

Economic Impacts of World Bank Support in Georgia: Macroeconomic Stability and Sectoral Transformation

ლაშა გაბისონია
ეკონომიკის დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Lasha Gabisonia
PhD in Economics,
GeorgianTechnikal University

რეზიუმე. სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ეკონომიკური ეფექტები საქართველოში, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და სექტორული განვითარების ჭრილში. კვლევა ეფუძნება მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორებს, ეროვნული სტატისტიკის მონაცემებსა და პროექტების ოპერაციულ ანგარიშებს 2022–2025 წლების პერიოდში. ნაჩვენებია, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები (2022–2024 წლებში საშუალოდ 9%-ზე მეტი) დაკავშირებულია როგორც შიდა მოთხოვნისა და კერძო ინვესტიციების ზრდასთან, ისე საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერით გაძლიერებულ სტრუქტურულ ცვლილებებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფრასტრუქტურის, განათლების, ფინანსური სექტორს, მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მხარდაჭერის მულტიპლიკაციურ ეფექტს. კვლევა ადასტურებს, რომ მსოფლიო ბანკის პროექტებმა გააძლიერა ინვესტორთა ნდობა, გაზარდა ფინანსური ხელმისაწვდომობა და შეუწყო ხელი რეგიონულ ინტეგრაციას, თუმცა შედეგების მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მმართველობის ხარისხზე, ინსტიტუციურ შესაძლებლობებსა და მონიტორინგის მექანიზმების სიმყარეზე. წარმოდგენილია პოლიტიკის რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ფინანსური დახმარების უკეთეს მიზნობრიობას და ეკონომიკური ეფექტების რეალურ სოციალურ კეთილდღეობად გარდაქმნას.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ბანკი; ეკონომიკური ეფექტი; მაკროეკონომიკური სტაბილურობა; სექტორული ტრანსფორმაცია; საქართველო; ინფრასტრუქტურა.

Abstract. This article examines the economic effects of World Bank support in Georgia, focusing on macroeconomic stability and sectoral transformation. The analysis relies on World Bank development indicators, national statistics, and project-level operational reports for 2022–2025. The findings show that Georgia's high growth rates in 2022–2024 (averaging above 9 percent) are associated not only with domestic demand and private investment but also with structural changes strengthened by international financial support. Particular attention is paid to the multiplier effects of investments in infrastructure, education, the financial sector, and small and medium-sized enterprises (SMEs). The study confirms that World Bank projects have reinforced investor confidence, expanded financial access, and promoted regional integration. However, the sustainability of these outcomes depends critically on governance quality, institutional capacity, and the robustness of monitoring and evaluation systems. Policy recommendations are proposed to improve the targeting of international financial assistance and to translate economic effects into tangible social welfare gains.

Keywords: World Bank; economic impact; macroeconomic stability; sectoral transformation; Georgia; infrastructure.

შესავალი. საქართველოში ბოლო წლების ეკონომიკური დინამიკა ხასიათდება შედარებით მაღალი ზრდის ტემპებითა და სტრუქტურული გარდაქმნების დაჩქარებით, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლაზე მიუთითებს. ამ პროცესს თან ახლავს ეკონომიკური პოლიტიკის მოდერნიზაცია და სექტორული პრიორიტეტების გადახედვა, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის, ფინანსური სექტორისა და ადამიანური კაპიტალის

მიმართულებით. ასეთ გარემოში საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, განსაკუთრებით მსოფლიო ბანკის, როლი გასცდა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას და მოიცვა პოლიტიკის დიზაინში მონაწილეობა და ინსტიტუციური გაძლიერება.

მსოფლიო ბანკის ჩართულობა საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდა სისტემურ პარტნიორობად, რომლის მიზანია არა მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, არამედ გრძელვადიანი განვითარების საფუძვლების შექმნა. სწორედ ამიტომ, სტატიაში შეფასებულია, როგორ აისახება მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტები და რეფორმები ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაზე, სექტორულ ტრანსფორმაციასა და მდგრადი ზრდის შესაძლებლობებზე.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის მაკროეკონომიკური ეფექტები საქართველოში

მსოფლიო ბანკის გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაში ვერ შემოიფარგლება მხოლოდ გამოყოფილი დაფინანსების მოცულობით. რეალური ეკონომიკური ეფექტი ვლინდება იმაში, თუ რამდენად აისახება საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერა მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და საინვესტიციო გარემოზე. 2022–2024 წლებში საქართველოს ეკონომიკა გამოირჩეოდა მაღალი ზრდის მაჩვენებლებით, რაც რეგიონულ და გლობალურ კონტექსტშიც კი გამორჩეული იყო. ამ დინამიკის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია სტრუქტურულ რეფორმებთან და იმ პროექტებთან, რომლებიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა ინფრასტრუქტურის, ფინანსური სექტორისა და ადამიანური კაპიტალის მიმართულებით.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტენდენციები აჩვენებს, რომ საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის პარალელურად გაიზარდა შიდა მოთხოვნა, ინვესტიციები და ექსპორტზე ორიენტირებული საქმიანობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავდა მაკროეკონომიკური რისკების შემცირებას, ფისკალური მართვის გაუმჯობესებას და კერძო სექტორისათვის ფინანსურ რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდას.

ცხრილი 1 რეალური ეკონომიკური ზრდა საქართველოში (2022–2024)

წელი	რეალური GDP ზრდა (%)
2022	10.4
2023	7.8
2024	9.5

წყარო: World Bank – World Development Indicators; ეროვნული სტატისტიკა.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ 2022–2024 წლებში რეალური GDP-ის ზრდა სტაბილურად მაღალი იყო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკის ჩარჩოები მათ შორის საბიუჯეტო დისციპლინა, ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და ფინანსური სექტორის რეფორმები ქმნიდა მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და ზრდის მდგრად საფუძველს.

ამავე პერიოდში გაიზარდა ეკონომიკის საერთო მოცულობა, რაც ადასტურებს, რომ ზრდა არ იყო მხოლოდ ნომინალური, არამედ რეალურად აისახა წარმოების გაფართოებასა და შემოსავლების ზრდაზე.

ცხრილი 2. საქართველოს GDP მოცულობა (მიმდინარე აშშ დოლარი)

წელი	GDP (მლრდ USD)
2023	~30.8
2024	~33.8

წყარო: World Bank – WDI; ეროვნული სტატისტიკა

GDP-ის ზრდა მიუთითებს არა მხოლოდ ეკონომიკური აქტივობის გაფართოებაზე, არამედ ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესებაზე. მსოფლიო ბანკის პროექტები, რომლებიც მიმართული იყო ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური არხი საქართველოში არის მისი სექტორული ორიენტაცია. დაფინანსება და ტექნიკური დახმარება მიმართულია ისეთ სფეროებზე, რომლებიც ქმნიან გრძელვადიან ეკონომიკურ მულტიპლიკაციურ ეფექტს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სექტორებია ინფრასტრუქტურა, განათლება, ფინანსური სექტორი და სოფლის მეურნეობა.

ინფრასტრუქტურულმა ინვესტიციებმა შეამცირა ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ხარჯები, გააუმჯობესა რეგიონების დაკავშირებულობა და გაზარდა შიდა ბაზრის ინტეგრაცია. განათლების სექტორში განხორციელებულმა პროექტებმა ხელი შეუწყო ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებას, რაც შრომის პროდუქტიულობის ზრდის წინაპირობაა. ფინანსურმა სექტორმა, მსოფლიო ბანკის ინსტრუმენტების დახმარებით, გააფართოვა დაკრედიტება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რაც ეკონომიკური დივერსიფიკაციის კრიტიკული ფაქტორია.

ცხრილი 3. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები

სექტორი	მხარდაჭერის ტიპი	მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი
ინფრასტრუქტურა	გზები, მუნიციპალური სისტემები	რეგიონული ინტეგრაცია, ტრანსპორტის ხარჯების შემცირება
განათლება	სკოლები, STEM, მასწავლებლები	ადამიანური კაპიტალის ზრდა
ფინანსური სექტორი	კრედიტის ხაზები, რეგულაცია	SME-ების დაფინანსების ზრდა
სოფლის მეურნეობა	სარწყავი, ბაზრები	რეგიონული შემოსავლების ზრდა

წყარო: World Bank – Projects & Operations; Country Partnership Framework (Georgia).

ცხრილი ასახავს, რომ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერა სტრუქტურულად ორიენტირებულია ისეთ სფეროებზე, რომლებიც ქმნის არა მხოლოდ მოკლევადიან სტიმულს, არამედ გრძელვადიან ეკონომიკურ საფუძველს.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე გაზომვადი ეფექტი საქართველოში ვლინდება ფინანსურ სექტორში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) დაკრედიტების ზრდა, რადგან სწორედ ეს სეგმენტი ქმნის დასაქმების დიდ ნაწილს და ეკონომიკური აქტივობის დივერსიფიკაციას.

ფინანსურ ინსტიტუტებზე, საკრედიტო გარანტიებსა და რეგულატორულ რეფორმებზე ორიენტირებულმა მსოფლიო ბანკის პროექტებმა მნიშვნელოვნად გაზარდა კერძო სექტორისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები.

ცხრილი 4 SME-ების დაკრედიტების დინამიკა

წელი	კრედიტები SME-ებზე (მლრდ GEL)
2019	5.4
2024	9.2

წყარო: World Bank Independent Evaluation Group (IEG). (2024). *Project Performance Assessment Reports.*

ცხრილში მოცემული მონაცემები აჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება მკვეთრად გაიზარდა 2019–2024 წლებში, რაც პირდაპირ უკავშირდება მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილ ფინანსურ რეფორმებსა და საკრედიტო ხაზებს. ეს ზრდა ქმნის ეკონომიკურ მულტიპლიკატორს, რადგან ახალი სესხები გარდაიქმნება ინვესტიციებად, სამუშაო ადგილებად და შემოსავლების ზრდად.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ეკონომიკური ეფექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონულ ჭრილში. ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა გააუმჯობესა გზები, წყალმომარაგება, ენერგეტიკა და მუნიციპალური სერვისები, რაც ამცირებს რეგიონებს შორის ეკონომიკურ განსხვავებებს და აძლიერებს შიდა ბაზრის ინტეგრაციას.

ცხრილი 5 რეგიონული ინფრასტრუქტურის ინვესტიციები

პერიოდი	ინვესტიციები (მლნ USD)
2015	420
2024	1,150

წყარო: World Bank – Projects & Operations.

ინვესტიციების ზრდა მიუთითებს, რომ მსოფლიო ბანკის ჩართულობამ მნიშვნელოვნად გაზარდა რეგიონული განვითარების ფინანსური მასშტაბი. ეს არა მხოლოდ ზრდის ეკონომიკურ აქტივობას რეგიონებში, არამედ ამცირებს მიგრაციას და ქმნის ადგილობრივ ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

დასკვნა. წარმოდგენილმა ანალიზმა აჩვენა, რომ მსოფლიო ბანკის ჩართულობა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში წარმოადგენს არა მხოლოდ ფინანსური რესურსების მიწოდებას, არამედ სტრუქტურული ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან მექანიზმს. კვლევაში გამოყენებული მაკროეკონომიკური, სექტორული და ინსტიტუციური მონაცემები ადასტურებს,

რომ ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროგრამები რეალურად აისახება ეკონომიკური ზრდის ტემპებზე, საინვესტიციო აქტივობაზე და შრომის ბაზრის დინამიკაზე.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2022–2024 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდა არ იყო მხოლოდ გარე შოკებით ან დროებითი ფაქტორებით განპირობებული. ეკონომიკის გაფართოება ემყარებოდა ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს, ფინანსური სექტორის გაძლიერებას და ფისკალური მართვის გაუმჯობესებას სფეროებს, სადაც მსოფლიო ბანკის პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. GDP-ის ზრდა, უცხოური ინვესტიციების დინამიკა და SME-ების დაკრედიტების გაფართოება ქმნის მტკიცებულებით საფუძველს იმის დასადასტურებლად, რომ საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერა მუშაობს ეკონომიკური მულტიპლიკატორის პრინციპით.

სექტორული ანალიზი აჩვენებს, რომ მსოფლიო ბანკის დახმარება მიზანმიმართულად არის ორიენტირებული ისეთ მიმართულებებზე, რომლებიც გრძელვადიან ეკონომიკურ ეფექტს ქმნის. ინფრასტრუქტურის განვითარება ამცირებს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ხარჯებს, ზრდის რეგიონულ ინტეგრაციას და აძლიერებს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას. განათლებისა და ადამიანური კაპიტალის მხარდაჭერა ქმნის შრომის პროდუქტიულობის ზრდის საფუძველს, ხოლო ფინანსური სექტორის გაძლიერება უზრუნველყოფს ეკონომიკური აქტივობის დაფინანსების მდგრად წყაროს.

ამასთან, კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ეკონომიკური ეფექტიანობა არ არის ავტომატური. ინსტიტუციური გარემოს ხარისხი, მმართველობის სტაბილურობა და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების სიძლიერე კრიტიკულად განსაზღვრავს იმ დონეს, რომეცე ფინანსური დახმარება გარდაიქმნება რეალურ ეკონომიკურ შედეგებად. იმ სფეროებში, სადაც ინსტიტუციური შესაძლებლობები შეზღუდულია, პროექტების ეკონომიკური უკუგება სუსტდება, ხოლო მიღწეული შედეგები ნაკლებად მდგრადია.

ამიტომ, წარმოდგენილი ანალიზი ადასტურებს, რომ მსოფლიო ბანკის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე არსებითია, თუმცა მისი ეფექტი პირდაპირ დამოკიდებულია ქვეყნის შიდა მმართველობით და ინსტიტუციურ ხარისხზე. ბანკის რესურსები ქმნის განვითარების შესაძლებლობას, მაგრამ ამ შესაძლებლობის რეალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილობრივი პოლიტიკა და ინსტიტუტები ეფექტიანად ფუნქციონირებს.

შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ბანკის როლი საქართველოში სცდება ტრადიციულ დონორულ ფუნქციას და უფრო მეტად წარმოადგენს ეკონომიკური მოდერნიზაციის სტრატეგიულ პარტნიორს. მისი გავლენა ყველაზე ძლიერია იქ, სადაც ფინანსური მხარდაჭერა შერწყმულია ინსტიტუციურ რეფორმებს, სექტორულ პრიორიტეტებს და გრძელვადიან განვითარების ხედვას. სწორედ ამ კომბინაციაზეა დამოკიდებული, გადაიქცევა თუ არა საერთაშორისო ფინანსური დახმარება მდგრად ეკონომიკურ განვითარებად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. World Bank. (n.d.). *Georgia – country data*. World Development Indicators. https://data.worldbank.org/country/georgia

2. World Bank. (n.d.). *GDP (current US$) – Georgia (NY.GDP.MKTP.CD)*. World Development Indicators. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=GE

3. World Bank. (n.d.). *GDP growth (annual %) – Georgia (NY.GDP.MKTP.KD.ZG)*. World Development Indicators. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=GE

4. World Bank. (n.d.). *Exports of goods and services (% of GDP) – Georgia (NE.EXP.GNFS.ZS)*. World Development Indicators. https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.ZS?locations=GE

5. National Statistics Office of Georgia (Geostat). (n.d.). *Gross domestic product (GDP)*. https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp

6. Trading Economics. (n.d.). *Georgia – GDP growth rate*. https://tradingeconomics.com/georgia/full-year-gdp-growth

7. Trading Economics. (n.d.). *Georgia – GDP (current US$)*. https://tradingeconomics.com/georgia/gdp

ცვლილებების მართვა ციფრულ ბიზნესში
Change Management in Digital Business

თათია ბილისეიშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასისტენტ-პროფესორი
Tatia Biliseishvili
Georgian National University SEU
Assistant Professor

აბსტრაქტი. ციფრულმა ტრანსფორმაციამ ფუნდამენტურად შეცვალა ორგანიზაციების მუშაობის, კონკურენციისა და ღირებულების შექმნის გზები. ცვლილებების მართვა ციფრულ ბიზნესში იქცა ორგანიზაციული მდგრადობისა და გრძელვადიანი წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ნაშრომი განიხილავს ცვლილებების მართვის კონცეფციას ციფრული ბიზნესის კონტექსტში, ყურადღებას ამახვილებს ციფრული ცვლილებების განმაპირობებელ ფაქტორებზე, ორგანიზაციულ გამოწვევებზე, ლიდერობის როლსა და თანამშრომელთა ადაპტაციაზე. კვლევაში ხაზგასმულია სტრატეგიული დაგეგმვის, ეფექტური კომუნიკაციისა და ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობა ციფრული ტრანსფორმაციის მართვის პროცესში. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ციფრული ცვლილებების წარმატებული მართვა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიას, ადამიანურ რესურსებსა და ორგანიზაციულ პროცესებს.

საკვანძო სიტყვები: ცვლილებების მართვა, ციფრული ბიზნესი, ციფრული ტრანსფორმაცია, ლიდერობა, ინოვაცია

Abstract. Digital transformation has fundamentally changed the way organizations operate, compete, and create value. Change management in digital business has become a critical factor for organizational sustainability and long-term success. This paper examines the concept of change management within the context of digital business, focusing on the drivers of digital change, organizational challenges, leadership roles, and employee adaptation. The study highlights the importance of strategic planning, communication, and organizational culture in effectively managing

digital transformation. The findings suggest that successful digital change management requires an integrated approach that combines technology, people, and processes.

Keywords: Change Management, Digital Business, Digital Transformation, Leadership, Innovation.

ძირითადი ნაწილი

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ძირეულად შეცვალა ბიზნესის ფუნქციონირების გარემო. თანამედროვე ორგანიზაციები სულ უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი ციფრულ პლატფორმებზე, მონაცემთა ანალიტიკაზე, ხელოვნურ ინტელექტსა და ავტომატიზაციაზე. ასეთ პირობებში ცვლილებები აღარ წარმოადგენს ერთჯერად პროცესს, არამედ მუდმივ და უწყვეტ რეალობას. სწორედ ამიტომ, ცვლილებების მართვა ციფრულ ბიზნესში იქცა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მენეჯერულ გამოწვევად.

ციფრული ბიზნესის კონტექსტში ცვლილებების მართვა გულისხმობს არა მხოლოდ ტექნოლოგიური სისტემების დანერგვას, არამედ ორგანიზაციული კულტურის, სტრუქტურის, სამუშაო პროცესებისა და ადამიანური რესურსების ადაპტაციას. ორგანიზაციები, რომლებიც ვერ ახერხებენ ცვლილებების ეფექტურად მართვას, ხშირად კარგავენ კონკურენტუნარიანობას და ბაზარზე პოზიციებს. აღნიშნული ნაშრომის მიზანია განიხილოს ცვლილებების მართვის არსი ციფრულ ბიზნესში, მისი ძირითადი გამოწვევები და წარმატების წინაპირობები.

ცვლილებების მართვა წარმოადგენს დაგეგმილ და სტრუქტურირებულ პროცესს, რომლის მიზანია ორგანიზაციაში ცვლილებების ეფექტური დანერგვა და მათ მიმართ წინააღმდეგობის შემცირება. ტრადიციულ ბიზნესში ცვლილებები ხშირად იყო ნელი და პროგნოზირებადი, თუმცა ციფრულ ეპოქაში ისინი ხასიათდება სისწრაფითა და კომპლექსურობით.

ციფრული ცვლილებები მოიცავს ბიზნეს-მოდელის ტრანსფორმაციას, ახალი ციფრული პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას, კლიენტთან ურთიერთობის ახალი არხების დანერგვას და შიდა პროცესების ავტომატიზაციას. ასეთ ვითარებაში ცვლილებების მართვა ხდება სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მოქნილობასა და ადაპტაციის უნარს.

ციფრული ბიზნესის სპეციფიკა და ცვლილებების აუცილებლობა

ციფრული ბიზნესი გამოირჩევა მაღალი დინამიკით, კონკურენციის ინტენსივობითა და ინოვაციაზე ორიენტაციით. ბაზარზე ჩნდება ახალი ტექნოლოგიები და სტარტაპები, რომლებიც ტრადიციულ კომპანიებს სწრაფად ანაცვლებენ. ამ პროცესში ცვლილებების მართვა აუცილებელი ხდება არა მხოლოდ გადარჩენისთვის, არამედ ზრდისა და განვითარებისათვის.

ციფრულ ბიზნესში ცვლილებების აუცილებლობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ტექნოლოგიური პროგრესი;
- მომხმარებელთა ცვალებადი მოლოდინები;
- გლობალიზაცია და დისტანციური სამუშაოს გავრცელება;
- მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობის ზრდა.

ორგანიზაციებმა უნდა შეძლონ ამ ფაქტორებზე დროული რეაგირება, რაც შეუძლებელია ცვლილებების მართვის ეფექტური სისტემის გარეშე.

ლიდერობა ციფრულ ცვლილებებში წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ცვლილებების წარმატებას ან წარუმატებლობას. ციფრული ტრანსფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების დანერგვით; იგი მოიცავს ორგანიზაციის ხედვის, სტრატეგიისა და სამუშაო ფილოსოფიის ცვლილებას. ამ პროცესში ლიდერები ასრულებენ ცენტრალურ როლს, რადგან სწორედ ისინი აყალიბებენ ცვლილებების საერთო ხედვას, განსაზღვრავენ მიზნებს და უზრუნველყოფენ ორგანიზაციის სტრატეგიულ

მიმართულებას. ციფრული ცვლილებების პროცესში ლიდერის ფუნქცია სცდება ტრადიციულ ადმინისტრაციულ მართვას. თანამედროვე ციფრული ლიდერები არ არიან მხოლოდ კონტროლისა და გადაწყვეტილებების მიმღები პირები; ისინი მოქმედებენ როგორც ინიციატორები და ცვლილებების აგენტები. მათი მთავარი ამოცანაა თანამშრომლების მოტივაცია, შთაგონება და ცვლილებების პროცესში აქტიური ჩართვა. როდესაც ლიდერები პირადად უჭერენ მხარს ციფრულ ინიციატივებს და თავად მონაწილეობენ ტრანსფორმაციის პროცესში, ეს ზრდის თანამშრომელთა ნდობას და ამცირებს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას.

ციფრული ლიდერობა მოითხოვს მრავალმხრივ კომპეტენციებს. ტექნოლოგიური ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა, თუმცა საკმარისი არ არის. ლიდერები უნდა ფლობდნენ ეფექტური კომუნიკაციის უნარს, რათა შეძლონ ცვლილებების მიზნების და მნიშვნელობის მკაფიოდ გადაცემა თანამშრომლებისთვის. გაუგებრობები და ინფორმაციის ნაკლებობა ხშირად იწვევს შიშსა და გაურკვევლობას, რაც აფერხებს ცვლილებების პროცესს. ლიდერის მიერ ღია და გამჭვირვალე კომუნიკაცია ქმნის უსაფრთხო გარემოს და ზრდის ცვლილებების მიღების ალბათობას.

ემპათია ციფრულ ლიდერობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ციფრული ცვლილებები ხშირად იწვევს თანამშრომლებში სტრესს, უნარების შეუსაბამობის შიშს და პროფესიული იდენტობის ცვლილებას. ლიდერებმა უნდა გაითვალისწინონ თანამშრომელთა ემოციური მდგომარეობა და უზრუნველყონ მხარდაჭერა, ტრენინგები და განვითარების შესაძლებლობები. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომელთა ადაპტაციას და ზრდის მათ ჩართულობას ციფრულ ტრანსფორმაციაში.

სტრატეგიული აზროვნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ლიდერობის როლის განსაზღვრაში. ლიდერებმა უნდა შეძლონ მოკლევადიანი ტექნოლოგიური ინიციატივების დაკავშირება გრძელვადიან ორგანიზაციულ მიზნებთან. ციფრული ცვლილებები ხშირად მოითხოვს ეტაპობრივ დანერგვას და მუდმივ შეფასებას. ამ პროცესში ლიდერები პასუხისმგებელნი არიან რისკების მართვაზე, რესურსების სწორ გადანაწილებაზე და შედეგების მონიტორინგზე.

ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა ბუნებრივი მოვლენაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა ორგანიზაციულ გარემოში ბუნებრივი და ხშირ შემთხვევაში გარდაუვალი მოვლენაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცვლილებები პირდაპირ ეხება თანამშრომელთა ყოველდღიურ სამუშაო პროცესებს, პროფესიულ როლებსა და აუცილებელ კომპეტენციებს. ციფრულ ბიზნესში ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგება, რადგან ტექნოლოგიური ინოვაციები ხშირად იწვევს სამუშაოს შესრულების ახალი მეთოდების დანერგვას, ავტომატიზაციასა და ფუნქციების გადანაწილებას. ასეთ პირობებში თანამშრომლებს უჩნდებათ შიში საკუთარი კვალიფიკაციის შეუსაბამობის, სამუშაო სტაბილურობის დაკარგვისა და პროფესიული სტატუსის ცვლილების მიმართ.

ცვლილებების მართვის ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიაზე. თანამშრომელთა აქტიური ჩართულობა ცვლილებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ამცირებს წინააღმდეგობას და ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას. როდესაც თანამშრომლები გრძნობენ, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია და ისინი ცვლილებების თანამონაწილეები არიან, ცვლილებები ნაკლებად აღიქმება როგორც იძულებითი პროცესი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრენინგებსა და უწყვეტი სწავლების სისტემებს. ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს ახალი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, რაც შეუძლებელია შესაბამისი საგანმანათლებლო მხარდაჭერის გარეშე. ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ თანამშრომელთა გადამზადება, ციფრული უნარების გაუმჯობესება და კარიერული განვითარების შესაძლებლობები, რათა თანამშრომლებმა ცვლილებები აღიქვან როგორც პროფესიული ზრდის შანსი და არა როგორც საფრთხე.

კომუნიკაცია ცვლილებების მართვის პროცესში კრიტიკულ როლს ასრულებს. ინფორმაციის ნაკლებობა ან გაურკვეველი კომუნიკაცია ზრდის შფოთვას, სტრესსა და წინააღმდეგობას თანამშრომლებში. ლიდერებმა და მენეჯერებმა რეგულარულად და გამჭვირვალედ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ცვლილებების მიზნების, ეტაპებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ნდობის ფორმირებას და ამცირებს გაურკვევლობის დონეს ორგანიზაციაში.

საბოლოოდ, ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა ციფრული ცვლილებების პირობებში უზრუნველყოფს არა მხოლოდ ცვლილებების წარმატებით განხორციელებას, არამედ თანამშრომელთა კეთილდღეობასა და ორგანიზაციის გრძელვადიან მდგრადობას. ორგანიზაციები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ადამიანურ ფაქტორზე, უფრო მოქნილები და კონკურენტუნარიანები ხდებიან ციფრულ ბიზნესგარემოში.

ორგანიზაციული კულტურა და ციფრული ტრანსფორმაცია

ორგანიზაციული კულტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცვლილებების მართვაზე. ინოვაციაზე ორიენტირებული, მოქნილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული კულტურა ხელს უწყობს ციფრული ცვლილებების წარმატებით განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიუროკრატიული და რისკების მიმართ უარყოფითად განწყობილი კულტურა აფერხებს ინოვაციებს.

ციფრულ ბიზნესში კულტურა უნდა ეყრდნობოდეს ექსპერიმენტებს, სწრაფ უკუკავშირს და შეცდომებიდან სწავლას. ცვლილებების მართვის სტრატეგია აუცილებლად უნდა იყოს თანხვედრაში ორგანიზაციის ღირებულებებსა და კულტურულ მახასიათებლებთან.

ციფრული ცვლილებების მართვა ვერ იქნება წარმატებული, თუ ორგანიზაცია მხოლოდ ტექნოლოგიაზე კონცენტრირდება. ტექნოლოგია წარმოადგენს ინსტრუმენტს და არა მიზანს. აუცილებელია პროცესების გადახედვა და მათი ციფრულ სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სტრატეგიული დაგეგმვა გულისხმობს ციფრული ინიციატივების პრიორიტეტიზაციას, რესურსების სწორ გადანაწილებას და შედეგების გაზომვას. ცვლილებების მართვა უნდა იყოს ინტეგრირებული ორგანიზაციის საერთო სტრატეგიაში და არა განცალკევებული პროექტი.

ცვლილებების მართვის გამოწვევები ციფრულ ბიზნესში

ციფრულ ბიზნესში ცვლილებების მართვა დაკავშირებულია არაერთ გამოწვევასთან, მათ შორის:

- ცვლილებების სისწრაფე და მასშტაბი;
- თანამშრომელთა უნარების დეფიციტი;
- კიბერუსაფრთხოების რისკები;
- ტექნოლოგიური ინვესტიციების მაღალი ღირებულება.

ამ გამოწვევების დასაძლევად ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ მოქნილი მართვის მიდგომები, როგორიცაა აგილური მეთოდოლოგიები და მუდმივი გაუმჯობესების პრინციპები.

დასკვნა

ცვლილებების მართვა ციფრულ ბიზნესში წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიას, ადამიანებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურებს. წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია შეუძლებელია ეფექტური ცვლილებების მართვის გარეშე. ლიდერობის, ორგანიზაციული კულტურის, კომუნიკაციისა და თანამშრომელთა ჩართულობის მნიშვნელობა გადამწყვეტია ამ პროცესში. ორგანიზაციები, რომლებიც აღიქვამენ ცვლილებებს როგორც სტრატეგიულ შესაძლებლობას, უფრო წარმატებით ახერხებენ ადაპტაციას და გრძელვადიან განვითარებას ციფრულ ეპოქაში.

Bibliography

1. Kotter, J. P. (2012). *Leading Change*. Harvard Business Review Press.
2. Westerman, G., Bonnet, D., & McAfee, A. (2014). *Leading Digital: Turning Technology into Business Transformation*. Harvard Business Press.
3. Burnes, B. (2017). *Managing Change*. Pearson Education.
4. Kane, G. C., Palmer, D., Phillips, A. N., Kiron, D., & Buckley, N. (2015). *Strategy, Not Technology, Drives Digital Transformation*. MIT Sloan Management Review.
5. Hiatt, J. (2006). *ADKAR: A Model for Change in Business, Government and Our Community*. Prosci.

თანამშრომელთა ერთგულების თეორიები და თანამედროვე მიდგომები
Employee loyalty theories and modern approaches

ნინო აფციაური
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი
თსუ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
Nino Aptsiauri
PhD Candidate in Business Administration
TSU. Faculty of Economics and Business

აბსტრაქტი. თანამშრომელთა ერთგულება წარმოადგენს ორგანიზაციის განვითარებისა და ეფექტიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. თანამშრომელთა ერთგულება პირდაპირ კავშირშია მათი საქმიანობის ხარისხსა და პროდუქტიულობასთან. ერთგული თანამშრომლები უკეთ იაზრებენ ორგანიზაციის კულტურას, მის ხედვასა და ღირებულებებს და საკუთარ წარმატებას ორგანიზაციის წარმატებას უკავშირებენ. შესაბამისად, თანამშრომელთა ერთგულება ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი საფუძვლია.

კვლევის მიზანი იყო თანამშრომელთა ერთგულების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და თანამედროვე მიდგომების შესწავლა. თანამშრომელთა ერთგულება მხოლოდ ფინანსურ სტიმულებზე არ არის დამოკიდებული. მნიშვნელოვანი როლი აქვს სამართლიან მენეჯმენტს, პროფესიულ განვითარებას, კარიერული წინსვლის შესაძლებლობასა და ჯანსაღ ორგანიზაციულ კულტურას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორგანიზაციული ერთგულების ფორმებს - ემოციურ, გაგრძელებით და ნორმატიულ ერთგულებას. თანამშრომელთა ერთგულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე. კმაყოფილი და ერთგული თანამშრომლები უფრო

პროდუქტიულები არიან, უზრუნველყოფენ მომსახურების მაღალ ხარისხს და ნაკლებად ტოვებენ ორგანიზაციას. შესაბამისად, ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა წარმოადგენს არა მხოლოდ სოციალური პასუხისმგებლობის, არამედ კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვან წყაროს.

საკვანძო სიტყვები: თანამშრომელთა ერთგულება, ორგანიზაციის ეფექტიანობა, ადამიანური რესურსი, სამართლიანი მენეჯმენტი, პროფესიული განვითარება.

Abstract. Employee loyalty is one of the most important factors in the development and effectiveness of an organization. Employee loyalty is directly related to the quality and productivity of their work. Loyal employees better understand the culture of the organization, its vision and values, and associate their own success with the success of the organization. Accordingly, employee loyalty is one of the foundations of the effective functioning of the organization.

The purpose of the study was to study the theoretical and methodological foundations and modern approaches to employee loyalty. Employee loyalty does not depend only on financial incentives. Fair management, professional development, career advancement opportunities, and a healthy organizational culture play an important role. Special attention was paid to the forms of organizational loyalty - emotional, continuation, and normative loyalty. Employee loyalty has a significant impact on organizational effectiveness. Satisfied and loyal employees are more productive, provide high quality service, and are less likely to leave the organization. Accordingly, effective human resource management is not only a social responsibility, but also an important source of competitive advantage.

Keywords: employee loyalty, organizational effectiveness, human resources, fair management, professional development.

შესავალი. ყველა ორგანიზაცია და კომპანია განვითარებისა და მოგებისკენ ისწრაფვის, რაც იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად წარმატებულია ორგანიზაცია და რამდენად მიაღწევს ის თავის მიზნებსა და ამოცანებს. ეს განვითარების პროცესი შეიძლება გაიზომოს ან გაკონტროლდეს სხვადასხვა ინდიკატორით. ერთ-ერთი მათგანია თანამშრომელთა ერთგულება ორგანიზაციაში. ორგანიზაციული ერთგულება არის თანამშრომელთა ფსიქოლოგიური კავშირი ორგანიზაციასთან, რომელიც გამოიხატება ორგანიზაციის მიზნების, ღირებულებებისა და ინტერესების მხარდაჭერაში. თანამშრომელთა ერთგულების დონე პირდაპირ კავშირშია მათი სამუშაო შესრულების დონესთან და შეიძლება იყოს ნიშანი იმისა, თუ რამდენად კარგად ითვისებს თანამშრომელი სამუშაო ადგილის კულტურას და ესმის კომპანიის ხედვა და მისია. ეს უნდა იყოს თითოეული მენეჯერის ან გუნდის ლიდერის მიზანი, იმისათვის, რომ მიიღოს სამუშაო შესრულების საუკეთესო შედეგი თანამშრომლებისგან ან თანაგუნდელებისგან.

ძირითადი ნაწილი. თანამედროვე ორგანიზაციებში თანამშრომელთა ერთგულება წარმოადგენს ორგანიზაციის წარმატებისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. კონკურენტული გარემოს, ტექნოლოგიური ცვლილებებისა და შრომითი ბაზრის დინამიურობის პირობებში, ორგანიზაციებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი თანამშრომლების შენარჩუნება, რომლებიც ორგანიზაციის მიზნებსა და ღირებულებებს იზიარებენ.

ორგანიზაციისადმი ერთგული თანამშრომლები გამოირჩევიან მაღალი პასუხისმგებლობით, მოტივაციითა და ჩართულობით. ისინი მზად არიან მეტი ძალისხმევა გაიღონ ორგანიზაციის წარმატებისთვის, ნაკლებად ფიქრობენ სამსახურის დატოვებაზე და ხელს უწყობენ პოზიტიური სამუშაო გარემოს ფორმირებას.

თანამშრომელთა ერთგულების საკითხი აქტუალურია როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, რადგან თანამშრომელთა ერთგულება პირდაპირ გავლენას ახდენს შრომის პროდუქტიულობაზე, მომსახურების ხარისხზე, კადრების შენარჩუნებაზე, ორგანიზაციულ კულტურაზე და კონკურენტუნარიანობაზე.

ორგანიზაციისთვის თანამშრომელთა ერთგულებას მრავალი დადებითი შედეგი მოაქვს, კერძოდ:

✓ *პროდუქტიულობის ზრდა.* ერთგული თანამშრომლები უფრო მეტად არიან ჩართული სამუშაო პროცესში და ცდილობენ მაღალი შედეგების მიღწევას, რადგან ეფექტიანად ასრულებენ სამუშაოს, ნაკლებ შეცდომას უშვებენ და წარმატებით თანამშრომლობენ გუნდთან;

✓ *კადრების გადინების შემცირება.* ორგანიზაციებში, სადაც თანამშრომელთა ერთგულების დონე მაღალია თანამშრომელთა გადინება მცირდება და შესაბამისად, რეკრუტინგისა და გადამზადების ხარჯებიც ნაკლებია;

✓ *პოზიტიური ორგანიზაციული კულტურა.* ერთგული თანამშრომლების მიერ იქმნება ნდობის გარემო, გუნდური განწყობა, ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობის კულტურა.

ორგანიზაციული ერთგულების შესასწავლად შექმნილია მრავალი თეორია და მოდელი, კერძოდ:

სოციალური გაცვლის თეორია ხაზს უსვამს სამართლიანობისა და მხარდაჭერის მნიშვნელობას და ეფუძნება თანამშრომელსა და ორგანიზაციას შორის ურთიერთსარგებელს. თუ თანამშრომელი გრძნობს, რომ ფასდება მისი შრომა, უზრუნველყოფილია სამართლიანი პირობები და ზრუნავენ მის განვითარებაზე, თანამშრომელიც მაქსიმალურად ავლენს ერთგულებასა და ლოიალობას.

ფსიქოლოგიური კონტრაქტის თეორია, რომელიც გულისხმობს თანამშრომელსა და ორგანიზაციას შორის არაფორმალურ მოლოდინებს, როგორიცაა სამართლიანი მოპყრობა, სტაბილურობა, განვითარების შესაძლებლობები და პატივისცემა. იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაცია ამართლებს მოლოდინებს, შესაბამისად, თანამშრომლის ერთგულებაც იზრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება უკმაყოფილება, დემოტივაცია და ორგანიზაციიდან წასვლის სურვილი.

ორგანიზაციული მხარდაჭერის თეორია, რომლის მიხედვითაც, თანამშრომლის ერთგულება დამოკიდებულია თუ რამდენად გრძნობს თანამშრომელი ორგანიზაციის მხარდაჭერას, რომელიც გულისხმობს პროფესიულ განვითარებას, სამართლიან ანაზღაურებას, ხელმძღვანელობის მხარდაჭერას და უსაფრთხო სამუშაო გარემოს. ამ შემთხვევაში თანამშრომლები თავს გრძნობენ დაფასებულად და არიან უფრო მეტად ერთგულები ორგანიზაციის მიმართ.

ორგანიზაციული ერთგულების კვლევაში ფართოდ გამოყენებული თეორიაა John Meyer-ისა და Natalie Allen-ის მიერ შემუშავებული სამკომპონენტიანი მოდელი, რომელიც მოიცავს სამ განსხვავებულ კომპონენტს ემოციურ, გაგრძელებით და ნორმატიულ ერთგულებას. მოდელის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ თანამშრომელი ორგანიზაციაში შეიძლება დარჩეს სურვილის, საჭიროების და მოვალეობის გრძნობის გამო.

ემოციური ერთგულება (Affective Commitment). ესაა თანამშრომლის ემოციური კავშირი ორგანიზაციასთან და არის ერთგულების ყველაზე სასურველი ფორმა, რადგან თანამშრომელი ორგანიზაციაში რჩება საკუთარი სურვილით და არა იძულებით ან აუცილებლობით (იმიტომ რომ უნდა და სურს დარჩენა, დარჩენის სურვილი არ არის გამოწვეული ანაზღაურებით ან სხვა ვალდებულებებით- მიყვარს აქ მუშაობა, ვიზიარებ კომპანიის ღირებულებებს და ამ გუნდის ნაწილი მინდა ვიყო“). თანამშრომელისთვის მისაღებია ორგანიზაციის ღირებულებები, ამაყობს ორგანიზაციის წევრობით, აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციულ პროცესებში და ორგანიზაციის წარმატებას საკუთარ წარმატებად აღიქვამს. ემოციურად ერთგული თანამშრომლები, როგორც წესი, არიან უფრო მოტივირებულები, ავლენენ მაღალ პროდუქტიულობას, უკეთ ემსახურებიან მომხმარებლებს და თითქმის არ ტოვებენ ორგანიზაციას. ემოციური ერთგულების განვითარებაზე გავლენას ახდენს პოზიტიური სამუშაო

გარემო, სამართლიანი მენეჯმენტი, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, ძლიერი ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მხარდაჭერა. მაგალითად, თანამშრომელი მუშაობს X კომპანიაში და აქვს შემოთავაზება, Y კომპანია სთავაზობს უფრო მაღალ ანაზღაურებას, მაგრამ ის მაინც რჩება X კომპანიაში, რადგან:

- მოსწონს გუნდი;
- კომპანიის კულტურა არის მისთვის მისაღები;
- აქვს ემოციური კავშირი კომპანიასთან;
- გრძნობს, რომ მისი შრომა ფასდება.

თანამშრომლის გადაწყვეტილება მხოლოდ ანაზღაურებაზე არ არის დაფუძნებული-მას მართლა უნდა X კომპანიაში მუშაობა

გაგრძელებითი ერთგულება (Continuance Commitment). გაგრძელებითი ერთგულება ეფუძნება თანამშრომლის მიერ ორგანიზაციის დატოვებასთან დაკავშირებული დანაკარგების შეფასებას. თანამშრომელი ორგანიზაციაში რჩება იმიტომ, რომ წასვლა მისთვის ეკონომიკურად, პროფესიულად ან სოციალური თვალსაზრისით არახელსაყრელია. ამ ტიპის ერთგულების დროს თანამშრომელი ფიქრობს, რომ „ორგანიზაციის დატოვება ჩემთვის წამგებიანი იქნება“, „სხვა სამსახურის პოვნა რთულია“ და „აქ დაგროვილი გამოცდილებისა და სარგებლის დაკარგვა არ მინდა“.

გაგრძელებითი ერთგულებას განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სტაბილური ანაზღაურება, სოციალური პაკეტი, სამუშაო გამოცდილება. კარიერული სტაბილურობა და ალტერნატიული დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა. მაგალითად, თანამშრომელი კომპანიაში მუშაობს უკვე 15 წელია, ის შეიძლება არც ისე კმაყოფილი იყოს მისი საქმით, მაგრამ მაინც რჩება კომპანიაში, რადგან:

- აქვს კარგი ანაზღაურება
- სხვადასხვა სარგებელი (დაზღვევა, სოციალური დახმარება)
- ახალი სამსახურის პოვნა რთულია

ასეთი თანამშრომელი თვლის, რომ სამსახურის დატოვება მისთვის დიდი რისკია.

ნორმატიული ერთგულება (Normative Commitment). ნორმატიული ერთგულება დაკავშირებულია თანამშრომლის მორალურ პასუხისმგებლობასთან ორგანიზაციის მიმართ. თუ თანამშრომელი ფიქრობს, რომ ორგანიზაციაში დარჩენა მისი ვალდებულებაა, მაშინ მას აქვს განცდა, რომ ორგანიზაციამ მის განვითარებაში ინვესტიცია ჩადო, პასუხისმგებლობა აკისრია და ორგანიზაციის დატოვება არაეთიკური იქნება.

ნორმატიული ერთგულებას განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორები, როგორიცაა ორგანიზაციის მხარდაჭერა, თანამშრომლის პროფესიულ განვითარებაში ინვესტირება, ძლიერი კორპორატიული კულტურა, ეთიკური ღირებულებები და ხელმძღვანელობისადმი პატივისცემა. მაგალითად, თუ ბანკი თანამშრომელს უფინანსებს ტრენინგებს, აძლევს განვითარების შესაძლებლობას და მხარს უჭერს პროფესიულ წინსვლას თანამშრომელს შეიძლება გაუჩნდეს ვალდებულების განცდა და ორგანიზაციის მიმართ ნორმატიული ერთგულება.

მაიერისა და ალენის სამკომპონენტიანი მოდელი ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ თანამშრომელთა ერთგულების ტიპები, შეაფასონ თანამშრომელთა დამოკიდებულება, შეიმუშაონ მოტივაციის ეფექტიანი სისტემები და შეამცირონ კადრების გადინება. მოდელი განსაკუთრებით აქტუალურია საბანკო სექტორში, რადგან ბანკების საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, როგორც თანამშრომელთა

პასუხისმგებლობაზე და მომხმარებელთან ურთიერთობის ხარისხზე, ასევე, სტაბილურობასა და სანდოობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამკომპონენტიანი მოდელი პოპულარულია, მოდელს გააჩნია გარკვეული შეზღუდვებიც, კერძოდ ერთგულების სამივე ფორმა ერთმანეთისგან ყოველთვის მკაფიოდ გამიჯნული არ არის, სხვადასხვა კულტურულ გარემოში ერთგულების აღქმა განსხვავდება და თანამედროვე დისტანციური სამუშაო გარემო ერთგულების ტრადიციულ ფორმებს ცვლის. მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში მაიერისა და ალენის სამკომპონენტიანი მოდელი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე გამოყენებად თეორიულ ჩარჩოდ რჩება ორგანიზაციული ერთგულების შესასწავლად.

თანამშრომელთა ერთგულება წარმოადგენს ორგანიზაციის წარმატებისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს. ერთგული თანამშრომლები გამოირჩევიან მაღალი მოტივაციით, პასუხისმგებლობითა და ორგანიზაციისადმი ლოიალობით. ორგანიზაციული ერთგულების სამი ძირითადი ფორმა — ემოციური, გაგრძელებითი და ნორმატიული ერთგულება — განსხვავებულ საფუძვლებს ეფუძნება, თუმცა თითოეული მათგანი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამშრომლის ქცევასა და ორგანიზაციის ეფექტიანობაზე. თანამედროვე ორგანიზაციებისთვის აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც თანამშრომლებში გააძლიერებს ნდობას, ჩართულობასა და მიკუთვნებულობის განცდას. სწორედ თანამშრომელთა ერთგულება წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის, სტაბილურობისა და გრძელვადიანი წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობას.

დასკვნა. თანამშრომელთა ერთგულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც თანამშრომელთა ინდივიდუალურ შედეგიანობაზე, ისე მთლიანად ორგანიზაციის ეფექტიანობაზე. კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომელთა ერთგულება ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან თანამშრომელთა საჭიროებების გათვალისწინებაზე, პროფესიულ განვითარებასა და პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნაზე, უფრო წარმატებულად ახერხებენ კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირებას. და ბოლოს, კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა არის არა მხოლოდ შიდა ორგანიზაციული პროცესის ნაწილი, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის ეფექტიანობას, მომხმარებელთა კმაყოფილებასა და გრძელვადიან წარმატებას.

ლიტერატურა

უცხოური წყაროები

1. Gallup (2024). *State of the Global Workplace Report*
2. Deloitte (2024). *Global Human Capital Trends*
3. Michael Armstrong (2023). *Armstrong's Handbook of Human Resource Management Practice*
4. Gary Dessler (2023). *Human Resource Management*
5. Stephen P. Robbins & Timothy Judge (2022). *Organizational Behavior*
6. Daniel Goleman (2020). *Emotional Intelligence*

ქართული წყაროები

1. ვლადიმერ პაპავა (2022). *ორგანიზაციული მართვისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები.* თბილისი.

2. თენგიზ თაქთაქიშვილი (2021). *ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მიდგომები.* თბილისი.

3. ნოდარ ჭითანავა (2020). *მენეჯმენტის საფუძვლები.* თბილისი.

4. ემზარ ჯგერენაია (2019). *მენეჯმენტი და ორგანიზაციული ქცევა.* თბილისი.

5. PMCG (2021–2024). შრომითი ბაზრისა და ორგანიზაციული განვითარების კვლევები.